მართვის გეგმა

გელათის მონასტერი, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი

2024

გელათის რეაბილიტაციის
დროებითი კომიტეტი

გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მართვის გეგმა







Contents

შესავალი 4

დოკუმენტის სტრუქტურა და შინაარსი 4

სამართლებრივი სტატუსი 5

როგორ წავიკითხოთ მართვის გეგმა სხვა დოკუმენტებთან ბმაში 5

მართვის გეგმის შემუშავების პროცესი 6

შეზღუდვები 6

მართვის ძირითადი მიდგომა და პრინციპები 9

ნაწილი 1 10

გელათის მონასტერი და მისი განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება 10

1.1. გელათის მონასტრის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება და მისი მახასიათებლები 11

განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მახასიათებლები (ატრიბუტები) 12

მახასიათებელი 1: არქიტექტურული ხარისხი 13

მახასიათებელი 2: გამორჩეული ხარისხის მოზაიკა და კედლის მხატვრობა 16

მახასიათებელი 3: მასშტაბი და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა 20

მახასიათებელი 4: სივრცითი ხარისხი 23

მახასიათებელი 5: კარგად გათვლილი ზოგადი გეგმარება 23

ნაწილი 2 25

მართვის სტრატეგიული მიზნები 25

ნაწილი 3 28

ისტორიული განვითარება, არსებული მდგომარეობა, კონსერვაცია, ზემოქმედების ფაქტორები 28

3.1. გელათის მონასტერი - რელიგიური ცენტრი 29

3.2. გელათის მონასტრის კულტურული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო როლი 31

3.3. სამონასტრო ანსამბლის არქიტექტურა და გეგმარება 33

3.3.1. ანსამბლის გეგმარებითი სტრუქტურა 33

3.4. ლანდშაფტის კულტურული და ბუნებრივი კომპონენტები 36

3.4.1 ლანდშაფტის ბუნებრივი კომპონენტები 38

3.5. კონსერვაციის ისტორია და ამჟამინდელი მდგომარეობა 39

3.6. ზემოქმედების ფაქტორები 45

3.6.1. ბუნებრივი გარემო პირობები 45

3.6.2. ვიზიტორთა პოტენციური ზემოქმედება 45

3.6.3. ხანძარი 45

3.6.4 შეუსაბამო ახალმშენებლობები 46

3.7. ბუფერული ზონის სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები 47

DRAFT

3.7.1. მოსახლეობა და სოციალური ინფრასტრუქტურა 47
3.7.2. საკუთრება 47
3.7.3. დასაქმება და ძირითადი ეკონომიკური სექტორები 48
3.7.4. ტრანსპორტი და მისაწვდომობა 49
ნაწილი 4 50
სამართლებრივი დაცვა და მართვა 50
4.1. გელათის სამონასტრო კომპლექსის სამართლებრივი დაცვის სტატუსი 51
4.2. ძეგლის მართვის ინსტიტუციები 51
4.3. მართვის განსაკუთრებული გარემოებები 53
4.4. ბუფერული ზონის დაცვა და მართვა 54
4.4.1. გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ბუფერული ზონის მართვაში ჩართული უწყებები 54
4.5. ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები 55
ნაწილი 5 58
2024-2028 მართვის ციკლის ორგანიზაციული და სამოქმედო ჩარჩო 58
5.1. ორგანიზაციული ჩარჩო 59
მიმართულება 1: ინსტიტუციური უზრუნველყოფა და განვითარება 60
მიმართულება 2: სამართლებრივი რეგულირება და დაცვა 61
მიმართულება 3: კვლევა და დოკუმენტირება 62
მიმართულება 4: კონსერვაცია და მონიტორინგი 64
მიმართულება 5: ინტერპრეტაცია და პრეზენტაცია 65
მიმართულება 6: განათლება და უნარების გაძლიერება 68
მიმართულება 7: მონასტრის განვითარება 69
ნაწილი 6 70
მონიტორინგი 70
6.1. მართვის გეგმის განხორციელების მონიტორინგი 71
6.2. განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მონიტორინგის ინდიკატორები 72

DRAFT

შესავალი

წინამდებარე მართვის გეგმა წარმოადგენს გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის 2015 წელს მომზადებული მართვის გეგმის განახლებულ ვერსიას (დოკუმენტი პირველად განახლდა 2017 წელს). დოკუმენტი მომზადდა გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის თაოსნობით, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 2023 წლის 45 COM 7B.54 გადაწყვეტილების შესაბამისად. დოკუმენტის მომზადებაზე მუშაობდა მულტიდისციპლინარული სამუშაო ჯგუფი, საერთაშორისო კონსულტანტის მეთოდოლოგიური დახმარებით. სამუშაო პროცესში ჩართულები იყვნენ შესაბამისი ეროვნული უწყებები, რეგიონული ადმინისტრაცია, ადგილობრივი თვითმმართველობები, ისევე როგორც გელათის მონასტრის თემი და სხვა მხარეები.

დოკუმენტის სტრუქტურა და შინაარსი

მართვის გეგმა ეყრდნობა გელათის მონასტრის, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის და მისი ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს დაცვისა, მდგრადი გამოყენებისა და განვითარების საკითხების ანალიზს და განსაზღვრავს ქმედებების ჩარჩოს გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, ისევე როგორც მართვის სტრუქტურას წარმოდგენილი ქმედებების განხორციელებისა და მონიტორინგისთვის რაც აუცილებელია ძეგლის გრძელვადიანი დაცვისა და მდგრადი გამოყენებისთვის.

დოკუმენტი შედგება 6 ძირითადი ბლოკისგან, რომელთაგან ნაწილი (1 და 2) უცვლელია, ეყრდნობა რა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ დამტკიცებულ ძეგლის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების განაცხადს და მსოფლო მემკვიდრეობის კონვენციის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს, ნაწილი კი (3, 4, 5 და 6) - მართვის ყოველი მომდევნო ციკლისათვის ცვალებადია ძეგლის ფიზიკური მდგომარეობის, გარემოს, სოციალურ-ეკონომიკური და მართვის პირობების, გამოწვევებისა და პერსპექტივების შესაბამისად.

დოკუმენტის 1 თავი მოიცავს ნომინაციაში მოცემული ძეგლის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების განაცხადს და ამ ღირებულების მახასიათებლების (ატრიბუტების) ჩამონათვალს, შესაბამისი განმარტებებით.

დოკუმენტის მე-2 თავი მოიცავს ძეგლისა და მისი ბუფერული ზონის მართვის გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, შესაბამისი განმარტებებით.

დოკუმენტის მე-3 თავი მოიცავს ძეგლისა და მისი გარემოს არსებული მდგომარეობის, კონსერვაციის სამუშაოებისა და ზემოქმედების ფაქტორების აღწერას. აღნიშნული გულისხმობს როგორც არქიტექტურული და არქეოლოგიური, ასევე ლანდშაფტური ნაწილის მიმოხილვას და ძეგლის რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციის არსებული მდგომარეობის ანალიზს.

მე-4 თავი მოიცავს მართვის არსებული სტრუქტურისა და საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზს.

მე-5 თავში მოცემულია მართვის მოცემული ციკლის (2024-2027) სპეციფიკური ამოცანები, ქმედებები და საგზაო რუკა (roadmap).

მე-6 თავში წარმოდგენილია მონიტორინგის მექანიზმები და ინდიკატორები, მათ შორის ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მახასიათებლების მონიტორინგის ინდიკატორები, რაც მოთხოვნილია მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ.

სამართლებრივი სტატუსი

წინამდებარე მართვის გეგმა და სამოქმედო გეგმები შემუშავებულია 2024 წლიდან - 2027 წლამდე პერიოდისთვის და დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის ..... დადგენილებით.

დოკუმენტი წარმოადგენს ძეგლის მართვის ძირითად ოფიციალურ სახელმძღვანელო სტრატეგიას და აფუძნებს ინტეგრირებული მართვის მექანიზმს, რითაც, ძეგლის ინტერესებიდან გამომდინარე, განისაზღვრება ადგილობრივი თემის, ეკლესიისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ურთიერთშეთანხმებული ქმედებების პრინციპები.

როგორ წავიკითხოთ მართვის გეგმა სხვა დოკუმენტებთან ბმაში

მართვის გეგმა დამუშავდა გელათის მონასტრის კომპლექსური საკონსერვაციო კვლევების პარალელურად, შესაბამისად, იგი ეყრდნობა აღნიშნული კვლევების მონაცემებს და სპეციალისტების მიერ განსაზღვრულ დარგობრივ საკონსვაციო გეგმებს 2024-2027 წლებისთვის:

- კედლის მხატვრობის მდგომარეობის კვლევისა და კონსერვაციის პროგრამა (მიმდინარე);
- მოზაიკის მდგომარეობის კვლევისა და კონსერვაციის პროგრამა (მიმდინარე);
- არქიტექტურის სტრუქტურული მდგომარეობის კვლევა და შესაბამისი კონსერვაცია-რესტავრაციის პროგრამა[1] (მიმდინარე[2]);
- არქეოლოგიური კვლევისა და კონსერვაციის პროგრამა[3] (დასამუშავებელი)

ასევე:

- გელათის მონასტრის კონსერვაციისა და გამოყენების სტრატეგიული გეგმა (დამუშავების პროცესში)
- ინტერპრეტაციისა და მუზეოგრაფიის პროგრამა (დასამუშავებელი)

აღნიშნული პროგრამები მუშავდება და იგეგმება დარგობრივ სპეციალისტთა ჯგუფებს შორის საკითხების შეჯერების და ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, რამაც უნდა უზრუნველყოფილყოს საკონსერვაციო სამუშაოების შეუფერხებელი წარმართვა და დაკავშირებული კომპონენტების დაცულობა და უსაფრთხოება.

[1] 2024 წლის ივლისის მდგომარეობით კვლევა ეხება მხოლოდ ღვთისმშობლის შობის მთავარ ტაძარს.

[2] ასევე მოიცავ კვლევის საფუძველზე შემუშავებულ გადახურვის პროექტს (მიმდინარე) და ქვის კონსერვაციის პროგრამას (დასამუშავებელი).

[3] 2024 წლის მაისში განხორციელდა ძეგლის ტერიტორიის გეოფიზიკური კვლევა, რაც ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვებისა და განხორციელებული გათხრების შედეგებთან ერთად, საფუძვლად უნდა დაედოს არქეოლოგიური კვლევის პროგრამის შემუშავებას.

შემუშავებული პროგრამები პასუხობს მართვის გეგმის განახლების პროცესში დამუშავებული განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ატრიბუტების დაცვისა და შენარჩუნების სტრატეგიულ ამოცანებს.

მართვის გეგმის შემუშავების პროცესი

წინამდებარე მართვის გეგმა ეფუძნება 2017 წელს შემუშავებული მართვის გეგმის შესწავლას - განხორციელებული სამუშაოებისა და ძეგლის მართვის ამჟამინდელი გამოწვევების კონტექსტში. პროექტის საერთაშორისო კონსულტანტთან ერთად შეჯერდა ძირითადი მიდგომა და პრინციპები[4], განახლდა და განივრცო ტექნიკური ინფორმაცია ბუფერული ზონის ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის ჩათვლით, განისაზღვრა ტერიტორიის მართვაში და გამოყენებაში ჩართული სუბიექტების ფოკუს ჯგუფი, განხორციელდა შეხვედრები ადგილობრივ თვითმმართველობასთან, მონასტრის თემთან, სხვადასხვა სამხარეო და ეროვნულ უწყებებთან, ადგილობრივ თემთან[5], შეხვედრები მიზნად ისახავდა გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლისა და მისი ბუფერული ზონის მართვის გაუმჯობესების მიზნით, მხარეების მიერ მიმდინარე და დაგეგმილი ქმედებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, აქტუალური საკითხების, საჭიროებების და პრიორიტეტების გამოვლენას.

უწყებების ფართო წრესთან წერილობითი კომუნიკაციის საფუძველზე განახლდა ინფორმაცია მართვის არეალის საკადასტრო მონაცემებზე და მიწის რეგისტრაციაზე, განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე, სამშენებლო ნებართვებზე, მოქმედ სამთო-მოპოვებით ლიცენზიებზე, ტურიზმზე, ბუნების ძეგლებზე, და სხვ.

პროექტის მსვლელობის პერიოდში (10.2023-05.2024) მართვის გეგმის განახლების პროცესის შესახებ ანგარიში რეგულარულად წარედგინებოდა გელათის რეაბილიტაციის დროებით კომიტეტსა და მის მრჩეველ საბჭოს. აღნიშნულ შეხვედრებზე სამუშაო ფორმატში ხდებოდა მასალის განხილვა და რეკომენდაციების მიღება.

მართვის გეგმის დამუშავდა ძეგლის კონსერვაციის პროგრამებში ჩართულ სპეციალისტთა ჯგუფებთან კოორდინაციით. მათ მიერ მოწოდებული სამოქმედო გეგმები მართვის გეგმის საკონსერვაციო მიმართულების საფუძველს წარმოადგენს.

შეზღუდვები

მართვის გეგმის განახლების პროექტი წარიმართა არსებული შეზღუდვების ჩარჩოში, რომელიც აფერხებს მხარეებს შორის თანამშრომლობას და ართულებს ინტეგრირებული სამოქმედო გეგმების დასახვას და განხორციელებას.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ძეგლის დაცვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოების საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ძეგლის მესაკუთრის -

[4] განხორციელდა ორი სამუშაო ვიზიტი 2023 წლის დეკემბერსა და 2024 წლის აპრილში.

[5] მართვის გეგმის განახლების საწყის ეტაპზე სამუშაო შეხვედრები გაიმართა: იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის, ტყიბულის, თერჯოლისა და წყალტუბოს თვითმმართველობის, ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ ნაკრძალის, იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის, სივრცითი მოწყობის და ქალაქმშენებლობითი განვითარების ეროვნული სააგენტოს, მუნიციპალური განვითარების ფონდის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციის, ქუთაის-გაენათის ეპარქიის, გელათის სამონასტრო თემის, სოფლების - კურსებისა და გელათის თემების წარმომადგენლებთან.

საქართველოს საპატრიარქოს და მასთან დაფუძნებულ გელათის რეაბილიტაციის დროებით კომიტეტს შორის თანამშრომლობის ნაკლებობა. მართვის გეგმის შემუშავების პროცესში ვერ მოხერხდა წერილობით მოთხოვნილი ინფორმაციის მიღება და სამუშაო განხილვების ორგანიზება სამინისტროსა და სააგენტოს შესაბამის სამსახურებთან, გარდა ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის წარმომადგენლისა[6]. განსაკუთრებით პრობლემატურია სამინისტროს მხრიდან სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოსთან კომუნიკაციის ნაკლებობა გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ბუფერული ზონის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის მომზადების საკითხზე. მართვის ჯგუფის მიერ საკიითხის ინიცირების შემდგომ, მიუხედავად სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მხრიდან გამოთქმული მზაობისა, სამინისტროს მხრიდან გამოხმაურების არქონამ შეაფერხა ტერიტორიის ქალაქმშენებლობითი რეგულირების საკითხის სახელმწიფო დონეზე განხილვის პროცესის დაწყება. შესაბამისად, მართვის გეგმის სამუშაო ჯგუფი მოკლებულ იქნა შესაძლებლობას ეთანამშრომლა სააგენტოსთან ტექნიკური დავალების მომზადებასა თუ სხვა წინმსწრებ მოსამზადებელ სამუშაოებში.

სტრატეგიული თანამშრომლობის ნაკლებობის გამო მართვის გეგმა შემოიფალა დღეისათვის არსებული დროებითი მართვის სტრუქტურის მანდატით და რეკომენდაციები დაამუშავა მისი ტექნიკური გაუმჯობესებისთვის. ინტეგრირებული მართვის კომპლექსური ინსტიტუციური სტრუქტურის შეთავაზების ჩამოყალიბება სასურველია მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდება არსებული გამოწვევებისა და პერსპექტივების პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებთან სამუშაო ფორმატში განხილვა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება, ასეთი სტრუქტურის განხორციელების რეალური პერსპექტივით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვა, რაც გამოვლინდა სამუშაო პროცესში ძეგლისა და მისი გარემოს თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ნაკლებობაა. მიუხედავად გელათის უდიდესი ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისა, ისტორიულ-გეოგრაფული, არქეოლოგიური, არქიტექტურული თუ სახელოვნებათმცოდნეო ანალიზი მეტად ფრაგმენტულია. მოძველებულია გრაფიკული დოკუმენტაცია (2008), რაც მართვის გეგმის ჯგუფს საკითხების უფრო მკაფიო ვიზუალიზაციის შესაძლებლობას მისცემდა. გრაფიკული დოკუმენტაციის განახლება ამჟამად მიმდინარეობს ლაზერული სკანერის მეშვეობით, რომლის საფუძველზეც განახლდება არქიტექტურული ანაზომები და შეიქმნება დაზიანებების განახლებული რუკები. არქეოლოგიური გათხრების შედეგად შედგენილი გეგმები დღემდე არაა ერთ საბაზო გეგმაზე დატანილი, რაც ართულებს სამონასტრო ანსამბლის განვითარების ქრონოლოგიის სივრცით აღქმას. მეტად სქემატურია 2008 წლის კონსერვაციის გეგმაში მოცემული არქიტექტურული კომპონენტების სტრატიგრაფიული მონაცემები. კედლის მხატვრობის პერიოდიზაციის სქემები მხოლოდ სადღეისოდ მზადდება სპეციალისტების ჯგუფის მიერ, არ არსებობს ბუფერულ ზონაში არქეოლოგიური გათხრების ერთიანი რუკა, ისტორიული გზების სქემა მხოლოდ მართვის გეგმის დამუშავების პროცესში შეიქმნა არსებული ტექსტური აღწერების საფუძველზე, და ა.შ. ბუფერულ ზონაში მითითებულ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს ხშირ შემთხვევაში არასწორად ჰქონდა მითითებული კოორდინატები, აკლდა ფოტოები, აღწერები, სააღრიცხვო ბარათები.

ისტორიული წყაროებისა და არქეოლოგიური მიგნებების ერთიან კონტექსტში გაანალიზება, ისტორიული გზებისა და არეალში გამოვლენილი მემკვიდრეობის ძეგლების ურთიერთმიმართებითი კვლევა და ა.შ. უაღრესად მნიშვნელოვანია გელათის მონასტრის

[6] ინფორმაციის მოთხოვნით და სამუშაო განხილვების ორგანიზების შეთავაზებით სამინისტროს მიემართა 2023 წლის 25 დეკემბრის (#62 და #61) და განმეორებით 2024 წლის 2 თებერვალს (#63).

განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების ატრიბუტების შემდგომი ანალიზისა და ინტერპრეტაციისათვის.

DRAFT

მართვის ძირითადი მიდგომა და პრინციპები

მართვის გეგმა წარმოადგენს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის გელათის მონასტრისა და მისი ბუფერული ზონის ინტეგრირებული მართვის საერთო პოლიტიკის ჩარჩოს. იგი ინარჩუნებს გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის წინამორბედი მართვის გეგმის (2017) ძირითადი პრინციპებს:

- დაიცვას და გაუმჯობესოს გელათის მონასტრისა და მისი ბუფერული ზონის კულტურული ლანდშაფტის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება;
- გააუმჯობესოს ადამიანის და ბუნების შორის დინამიური ურთიერთობების ცოდნა, რამაც განაპირობა ამჟამინდელი ლანდშაფტის ჩამოყალიბება, მათ შორის კულტურული, სოციალურ-ეკონომიური და ეკოლოგიური პროცესების ცოდნა;
- ხელი შეუწყოს ადგილობრივი თემის ცხოვრების ხარისხსა და კეთილდღეობაში მსოფლიო მემკვიდრეობის წვლილის გაცნობიერებას და გაზრდას;
- დაარეგულიროს რესურსების გამოყენება განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების შენარჩუნების პრიორიტეტის შესაბამისად, წაახალისოს დამატებითი გამოყენებები და შეარბილოს კონფლიქტები შესაბამისი სივრცითი და სტრატეგიული დაგეგმარებით;
- მხარი დაუჭიროს დაგეგმვაში და გადაწყვეტილების მიღებაში სექტორთაშორის და მართვის დონეებს შორის ინტეგრაციას, დააკავშიროს მსხვილმასშტაბიანი გადაწყვეტილებები ადგილობრივ ჩარევებთან;
- დანერგოს მონაწილეობითი მმართველობის პრინციპები და გააუმჯობესოს ადგილობრივი საზოგადოების მონაწილეობა დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღებაში;
- გააუმჯობესოს დაცვისა და მოვლის პოლიტიკა და რეჟიმები მსოფლიო მემკვიდრეობის ყველა მახასიათებლის (ატრიბუტის) და კომპონენტისთვის;
- შექმნას სანდო მონიტორინგის სისტემა განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების შენარჩუნებისა და მართვის გეგმის განხორციელებისათვის.

უფრო კონკრეტულად, აღიარებულია, რომ:

- გელათის მონასტერი არის ცოცხალი რელიგიური ადგილი და ისტორიულად მნიშვნელოვანი კულტურული-საგანმანათლებლო სივრცე. სხვა ატრიბუტებთან ერთად ამ ფუნქციების ავთენტურობა და მთლიანობა, ძეგლის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების ფუნდამენტია.
- მართვა უნდა წარიმართოს შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების და საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის თანამშრომლობით;
- მართვა უნდა უზრუნველყოფდეს ადგილობრივი საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას.

DRAFT

ნაწილი 1

გელათის მონასტერი და მისი განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება

DRAFT

1.1. გელათის მონასტრის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება და მისი მახასიათებლები

ამონარიდი განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მოკლე სინოპსისი, დამტკიცებული მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ 2017 წელს (41COM 8B.31).

On the lower southern slopes of the mountains of the Northern Caucasus, Gelati Monastery reflects the 'golden age' of medieval Georgia, a period of political strength and economic growth between the reigns of King David IV 'the Builder' (1089-1125) and Queen Tamar (1184-1213). It was David who, in 1106 began building the monastery near the capital Kutaisi on a wooded hill above the river Tskaltsitela. The main church was completed in 1130 in the reign of his son and successor Demetré. Further churches were added to the monastery throughout the 13th and early 14th centuries. The monastery is richly decorated with mural paintings from the 12th to 17th centuries, as well as a 12th century mosaic in the apse of the main church, depicting the Virgin with Child flanked by archangels. Its high architectural quality, outstanding decoration, size, and clear spatial quality combine to offer a vivid expression of the artistic idiom of the architecture of the Georgian "Golden Age" and its almost completely intact surroundings allow an understanding of the intended fusion between architecture and landscape.

Gelati was not simply a monastery: it was also a centre of science and education, and the Academy established there was one of the most important centres of culture in ancient Georgia. King David gathered eminent intellectuals to his Academy such as Johannes Petritzi, a Neo-Platonic philosopher best known for his translations of Proclus, and Arsen Ikaltoeli, a learned monk, whose translations of doctrinal and polemical works were compiled into his Dogmatikon, or book of teachings, influenced by Aristotelianism. Gelati also had a scriptorium where monastic scribes copied manuscripts (although its location is not known). Among several books created there, the best known is an amply illuminated 12th century gospel, housed in the National Centre of Manuscripts.

As a royal monastery, Gelati possessed extensive lands and was richly endowed with icons, including the well-known gold mounted Icon of the Virgin of Khakhuli (now housed in the Georgian National Museum) and at its peak, it reflected the power and high culture of Eastern Christianity.

Criterion (iv): Gelati Monastery is the masterpiece of the architecture of the "Golden Age" of Georgia and the best representative of its architectural style, characterized by the full facing of smoothly hewn large blocks, perfectly balanced proportions, and the exterior decoration of blind arches. The main church of the monastery is one of the most important examples of the cross-in-square architectural type that had a crucial role in the East Christian church architecture from the 7th century onwards. Gelati is one of the largest Medieval Orthodox monasteries, distinguished for its harmony with its natural setting and a well thought-out overall planning concept.

The main church of the Gelati Monastery is the only Medieval monument in the larger historic region of Eastern Asia Minor and the Caucasus that still has well-preserved mosaic decoration, comparable with the best Byzantine mosaics, as well as having the largest ensemble of paintings of the middle Byzantine, late Byzantine, and post-Byzantine periods in Georgia, including more than 40 portraits of kings, queens, and high clerics and the earliest depiction of the seven Ecumenical Councils.

DRAFT

განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მახასიათებლები (ატრიბუტები)



მახასიათებელი 1: არქიტექტურული ხარისხი

გელათის სამონასტრო კომპლექსის გამორჩეულად მაღალი არქიტექტურული და სამშენებლო ხარისხი ვლინდება მონასტრის ძირითადი ნაგებობების სრულყოფილად გაწონასწორებულ პროპორციებში, ოსტატურად გათლილ დიდ საფასადო კვადრების წყობსა და საფასადო დეკორში. მონასტრის ყველა შენობა ქვითაა ნაგები. ეკლესიები და სამრეკლო მოპირკეთებულია ავთენტური კარგად თლილი დიდი ზომის კირქვის კვადრებით. ღვთისმშობლის შობისა და წმ. გიორგის ტაძრები წარმოადგენს ჩახაზული ჯვრის ტიპის მნიშვნელოვან ნიმუშებს. ეს ტიპი აღმოსავლეთ საქრისტიანოში VII საუკუნიდან განვითარდა და შემდგომში საეკლესიო არქიტექტურის დომინანტი ფორმად იქცა.

გელათის მონასტრის ყველაზე დიდი და მთავარი ნაგებობა მისი დაარსების თანადროული **ღმრთისმშობლის შობის ტაძარია** (1106-1130 წწ.). მასში გათვალსაჩინოებულია თავისი დროის წამყვანი არქიტექტურული ტენდენციები[7]. ის გეგმით ჩახაზული ჯვრის ტიპის ტაძრია. გუმბათი აღმოსავლეთით აფსიდის კუთხეებს, ხოლო დასავლეთით ორ მასიურ ბურჯს ეყრდნობა. აღმოსავლეთ ფასადზე სამი შვერილი ხუთწახნაგა აფსიდი გამოდის. საკურთხევლის ასეთი გადაწყვეტა დავითის ეპოქაში საეკლესიო არქიტექტურის ერთ-ერთ მახასიათებელ ელემენტად იქცა. ფასადებს ამკობს სადა მაგრამ მონუმენტური დეკორატიული თაღნარი, რომელიც სარკმლების საპირეებზეც მეორდება. რელიეფური ორნამენტები ფასადთა მხოლოდ ცალკეულ ელემენტებზე გვხვდება - მაგალითად, დეკორატიული კოპი საკურთხევლის შუა სარკმლის ქვემოთ. ფასადთა სისადავე და შვერილი აბსიდი, ისევე როგორც ქართული სატაძრო ხუროთმოძღვრებისთვის ნაკლებად დამახასიათებელი ნართექსის სივრცე ბიზანტიურ ხუროთმოძღვრებასთან კულტურული "დიალოგის" გამოვლინებადაა მიჩნეულიზოგიერთი მოსაზრებით, საფასადე შემკულობის სისადავეს მკვლევრები ასევე აკავშირებენ მისი ქტიტორის, "გალობანი სინანულისანის" ავტორის ასკეთურ მსოფლგანცდასთან და მეთერთმეტე საუკუნის გამორჩეული სასულიერო და საზოგადო მოღვაწის - გიორგი მთაწმინდელის ქრისტიანული ასკეტიზმის გავლენას ქართული ეკლესიის განვითარებაზე, რომლის მიხედვით ეკლესიების მოსართავად დიდი ფინანსური სახსრების გაღება მიუღებელი იყო[8].

ტაძარს მთავარი შესასვლელი დასავლეთიდან, ნართექსიდან აქვს, საიდანაც სამი დიდი კარი ეკლესიის მთავარ სივრცეში იხსნება. ის გუმბათის ყელში გაჭრილი 16 და საკურთხევლისა და ჯვრის მკლავთა 12 ფართო სარკმლით ნათდება. მონუმენტური გუმბათი ამ პერიოდის ეკლესიების დამახასიათებელი ელემენტია. ტაძრის დასავლეთ ნაწილში პატრონიკეა მოწყობილი, რომელზე ასასვლელი კიბე დასავლეთი მკლავის სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კედლებშია გაჭრილი. საკურთხევლის ორივე მხარეს პასტოფორიუმები, სამკვეთლო და სადიაკვნეა მოწყობილი. 1519 წელს კათალიკოს მელქისედეკ საყვარელიძის ბრძანებით საკურთხევლის აფსიდში, სავარაუდოდ XII საუკუნის სინთრონონის ცენტრში, მაღალი დასაჯდომელი აიგო. ჩრდილო-დასავლეთ გუმბათქვეშა ბურჯთან მდგარი ქვით ნაგები საეპისკოპოსო დასაჯდომელი საყდარი 1760 წელს იქნა განახლებული კათოლიკოს იოსებ ბაგრატიონის მიერ, თუმცა მისი აგების თავდაპირველი პერიოდი უცნობია.

სინთრონონი განკუთვნილია წირვის დროს მღვდლების დასაჯდომად. მღვდელმთავარი სიმბოლურად განასახიერებს აღსაყდრებულ მაცხოვარს, ხოლო იერარქიის მიხედვით საფეხურებზე ჩამომსხდარი სასულიერო პირები მის მოწაფეებსა და მიმდევრებს. სინთრონონი აღმოსავლეთქრისტიანულ ეკლესიებში V საუკუნიდან გვხვდება.

ტაძარს გარშემო კარიბჭეები და ეკვდერები ეკვრის. სამხრეთი კარიბჭე ეკლესიის დასრულებიდან მალევე, 1140-იან წლებში

[7] ვ. ბერიძე, *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია*, პირველი ტომი, თბილისი, 2014, გვ. 305.

[8] დ. ბერძენიშვილი, XII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ერთი ტენდენციის გაგებისათვის, *წერილები, ნარკვევები*, თბილისი, 2001, გვ. 107-121.

დ. თუმანიშვილი, კიდევ ერთხელ გელათური ხუროთმოძღვრების თაობაზე, საქართველოს სიძველენი, 22, 2019, გვ. 113-148

მიშენდა წმ. ანდრიასა და წმ. მარინეს ეკვდერებთან ერთად. მოგვიანებით, XIII საუკუნის დასაწყისში ტაძარი კვლავ განივრცო. მას ამჯერად ჩრდილოეთი კარიბჭე და მაცხოვრის ეკვდერი მიაშენეს. ამავე საუკუნის შუა ხანებში აიგო წმ. მარინეს მეორე სამლოცველო ჩრდილოეთი კარიბჭის დასავლეთით და მისი მომიჯნავე ოთახი. მიშენებული ეკვდერებისა და კარიბჭეების ფასადები მთავარი ტაძრის მსგავსი კირქვის კარგად თლილი კვადრებითაა მოპირკეთებული და როგორც მასალით, ისე პროპორციებით ჰარმონიულად ეთანხმება ტაძრის საერთო არქიტექტურულ სახეს. ტაძრის მუდმივი გაფართოება მის აქტიურ სამონასტრო ცხოვრებაზე და მზარდ მნიშვნელობაზე მეტყველებს, თუმცა ზუსტი მონაცემები მონასტრის თემის რაოდენობაზე და განაწესზე შემონახული არაა.

მონასტრის დაარსების თანადროული ნაგებობებიდან დღემდე შემორჩენილია მკვლევრების მიერ დღეს აკადემიად მიჩნეული **შენობა, მონასტრის სამხრეთი კარიბჭე, წყარო და გალავანი.** საუკუნეების განმავლობაში ისინი რამდენჯერმე გადაკეთდა-განახლდა, თუმცა თავდაპირველი არქიტექტურული სახე არსებითად არ შეუცვლია. არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი შენობის ფრაგმენტები მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გელათის მონასტრის ტერიტორიაზე არსებულ სხვა ადრეული (სავარაუდოდ IX საუკუნის) საკულტო ნაგებობის არსებობას მოწმობს.

მონასტრის დასავლეთ კიდეზე, ციცაბო ქარაფზე აგებულ **აკადემიის შენობას** მართკუთხა გეგმა აქვს და უხეშად გათლილი ქვითაა ნაგები. ის დასავლეთ კედელში გაჭრილი თაღოვანი სარკმლებით გადაჰყურებს წყალწითელას ხეობას. გაფორმებას მოკლებული შენობის მნიშვნელოვანი ელემენტია მის ცენტრალურ - აღმოსავლეთ შესასვლელზე XIV საუკუნეში მიშენებული კარიბჭე, რომელსაც მდიდრულად მოჩუქურთმებული ვარსკვლავისებური კამარა ამშვენებს. კარიბჭის თაღები მასიური კაპიტელებით შემკულ ოთხ დაბალ შეკონილ სვეტს ეყრდნობა. ერთ-ერთ კაპიტელზე ლომის მონუმენტური გამოსახულებაა, ხოლო შესასვლელის თავზე ორმაგი ლილვით შემოსარტყლული ორამენტია.

აკადემიის, როგორც საგანმანათლებლო ფუნქციის შენობის თავდაპირველი გეგმარებისა და მისი არქიტექტურული გადაწყვეტის დეტალურად გააზრებისთვის ისტორიული ცნობები, ისევე როგორც არქეოლოგიური მასალა მწირია. სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციით შენობა მე-16 საუკუნემდე მოქმედებდა, შემდგომში კი მხოლოდ სატრაპეზოდ და იმერეთის სამეფო სახლის მნიშვნელოვანი სტუმრების მიღებისთვის იყენებდნენ. არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი სარდაფი და მასთან თაღოვანი გასასვლელით დაკავშირებული ჩრდილოეთით არსებული მინაშენების ნაშთები XII საუკუნის შემდგომ არაერთ ცვლილებაზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, აკადემიის შენობა გელათის გამორჩეული სამეცნიერო-კულტურული მნიშვნელობის სადღეისოდ იშვიათ არქიტექტურულ თვალსაჩინოებად რჩება.

მონასტრის სამხრეთ კარიბჭეს არა იმდენად არქიტექტურული, არამედ უდიდესი მემორიალური და ისტორიული მნიშვნელობა აქვს. აქ, მისივე ანდერძის თანახმად, დაკრძალულია მონასტრის დამფუძნებელი, საქართველოს გამორჩეული მეფე - დავით IV აღმაშენებელი ქრისტიანი მონარქების დაკრძალვის ტრადიციაში მონარქის ტაძრის გარეთ დაკრძალვის შემთხვევა სრულებით უნიკალური მოვლენაა და ის სწორედ დავით აღმაშენებლის ნებას ასახავს. მეტად უჩვეულოა ისიც, რომ საფლავი ქვაზე არაა მინიშნებული მეფის სახელი.

ქართული მონასტრებისთვის ტიპურ ნაგებობას ეს ფაქტი სრულიად განსაკუთრებულ ისტორიულ ღირებულებას სძენს. კარიბჭე ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სამონასტრო ანსამბლის თავდაპირველი სივრცითი ორგანიზებისა და გეგმარებითი სტრუქტურის წარმოსადგენად და შესწავლის თვალსაზრისით. მონასტრის დაარსების თანადროულია მთავარი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით მოწყობილი წყარო აუზით და მისი წყალმომარაგების საინჟინრო სტრუქტურა სათავე ნაგებობით. წყარომ და წყალმომარაგების სისტემამ დღემდე თითქმის უცვლელი სახით მოაღწია. წყაროს თაღებით გახსნილ

კვადრატული გეგმის ნაგებობას, XIII საუკუნის მეორე ნახევარში სამრეკლო დააშენეს. მთავარი ტაძრის ეზოში ან ტაძართან ახლოს მოწყობილი არქიტექტურულად გაფორმებული მსგავსი წყაროები ან შადრევნები ხშირი იყო ბიზანტიურ მონასტრებში და, სავარაუდოდ, ამის გათვალისწინებით გაკეთდა გელათშიც. საქართველოს ისტორიულ მონასტრებში მსგავსად გადაწყვეტილი წყარო სხვაგან შემორჩენილი არაა.

გელათის მონასტრის განვითარების შემდგომი უმნიშვნელოვანესი ეტაპი XIII საუკუნეა. ამ პერიოდის ნაგებობებიდან არქიტექტურული მნიშვნელობით გამოირჩევა **წმ. გიორგის და წმ. ნიკოლოზის ეკლესიები და სამრეკლო.**

წმ. გიორგის ეკლესია მთავარი ტაძრის შემცირებული ასლია და ასევე ჩახაზული ჯვრის ტიპს მიეკუთვნება, თუმცა ის გამოირჩევა უფრო ზესწრაფული პროპორციით, რაც მას XIII საუკუნის ქართულ არქიტექტურასთან აახლოებს. ისტორიული წყაროების მიხედვით, ტაძარი აშენდა როგორც ,,დედოფლის ეკლესია", თუმცა კონკრეტულად რომელი დედოფლისთვის, ცნობილი არაა[9]. მთავარი ტაძრისგან განსხვავებით, აქ არ გვხვდება პატრონიკე, რაც სწორედ მის განკერძოებულ ფუნქციაზე შეიძლება მიუთითებდეს. ეკლესიის გუმბათი აფსიდის კედლებსა და ორ მონოლითურ წრიულ სვეტს ეყრდნობა. ტაძარს დასავლეთით მიშენებული აქვს ნართექსი, რომელიც გარეთ სამთაღედად იხსნება. დასავლეთიდანაა მოწყობილი ეკლესიაში შესასვლელიც. ფასადები მთავარ ტაძართან შედარებით უფრო უხვადაა მორთული სარკმლის ორნამენტული საპირეებით.

წმ. ნიკოლოზის ეკლესია ორსართულიანია, რაც ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში ძალზედ იშვიათია. მისი პირველი სართულის არქიტექტურული გადაწყვეტა უნიკალურია, რაც სრულიად გახსნილ სივრცეს იძლვა ოთხ ბურჯზე გადაყვანილი ოთხი თაღის მეშვეობით. ზოგიერთი მოსაზრებით ეს ,,ქრისტიანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული იერუსალიმის აღდგომის ტაძრის ასლის ერთგვარ ვარიაციას"[10] წარმოადგენს. ზედა სართულზე ჯვრული გეგმარების გუმბათიან ეკლესიაა საკურთხევლის შვერილი ხუთწახნაგა აფსიდით, რომელიც დეკორატიული თაღნარითაა შემკული. სარკმლები მოჩარჩოებულია ფაქიზად პროფილირებული საპირეებით. ჩრდილოეთიდან მიშენებული ქვის კიბე უფრო გვიანდელი პერიოდისაა. თავდაპირველად სავარაუდოა, რომ ხის კიბეს იყენებდნენ.

გელათის მონასტრის სამრეკლო, ერთ-ერთი უადრესი შემორჩენილი სამრეკლოა საქართველოში. ის უნიკალურია სივრცით-გეგმარებითი გადაწყვეტის მხრივაც და ერთადერთია საქართველოში რომელიც წყაროს ნაგებობაზეა დაშენებული. ქვის კიბე, რომელსაც ოქტაგონალური სამრეკლოს ფანჩატურისკენ მივყავართ, კედლის სისქეშია გაჭრილი. წყაროს ზემოთ, მეორე სართული დაბალი, კამაროვანი სივრცეა, ბუხრითა და ორი სარკმლით, რომელიც საცხოვრებლად, გვიან შუა საუკუნეებში კი საპყრობილედაც გამოიყენებოდა.

მონასტრის განვითარების ამ ეტაპზე აგებული ნაგებობები მთავარი ტაძრის მსგავსი კირქვის კარგად თლილი კირქვის კვადრებითაა მოპირკეთებული. სამშენებლო მასალის, ნაგებობების მასშტაბის, გეგმარებითი სტრუქტურებისა და შენობათა პროპორციების თანხმობა XII-XIII საუკუნის საეტაპო ნაგებობების ერთიან ჰარმონიულად ანსამბლს ქმნის.

გელათის სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება სწორედ მისი ანსამბლურობაა. კათალიკონის შენობა განსაზღვრავ სხვა ნაგებობათა ხასიათსა და თავისებურებას. ის სამონასტრო კომპლექსის ერთგვარი კამერტონია. საერთო სამშენებლო მასალასთან ერთად, ანსამბლი ფორმისეულადაცაა გამთლიანებული - მეტად ნიშნეულია

[9] ,,შეწირულობის სიგელი ბაგრატ მეფისა გელათისადმი" (1545), *ქართული სამართლის ძეგლები*, ტომი II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1965, გვ. 183.
[10] ე. გედევანიშვილი, გელათის მონასტრის წმ. ნიკოლოზის ტაძრის სიმბოლური ინტერპრეტაციისთვის, *საქართველოს სიძველენი*, 13, 2009, გვ. 93-103.

მთავარი ტაძრის შესაბამისად, შვერილი აფსიდების გამოყენება რაც რიტმულადაც აერთიანენს ანსამბლში შემავალ ეკლესიებს. და მთელს კომპლექს გამორჩეულ ჰარმონიულობასა და თანახმიერებას ანიჭებს.

გელათის მონასტრის დაარსების დროინდელ ნაგებობათაგან მნიშვნელოვანია მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე დავრდომილთა თავშესაფარი, რომელიც XVI საუკუნეში მამათა მონასტრად გადაკეთდა და სოხასტერი ეწოდა. ქსენონები საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ საფეხურზევე იყო ცნობილი[11], მაგრამ მათი მატერიალური დადასტურების უიშვიათეს მაგალითს სწორედ სოხასტერი წარმოადგენს.

ანსამბლის სხვა ნაგებობებიდან დღეისათვის მხოლოდ სამი XIX საუკუნის საცხოვრებელი შენობაა შემორჩენილი, რომელიც ნაწილობრივ ადრეული პერიოდის ნანგრევებზეა დაშენებული. არქიტექტურული თვალსაზრისით თავისი პერიოდის ტიპიურ ნაგებობებს წარმოადგენენ. დღეისათვის ორი მათგანი ხანძრისაგან ძლიერ დაზიანებულია, ბერების სახცოვრებლები გამომსახველია ავთენტური სამონასტრო ცხოვრების განგრძობითობის, თუმცა ამ შენობების მიმართება ანსამბლის თავდაპირველ გეგმარებით სტრუქტურასთან უნდა დაზუსტდეს შესაბამისი კვლევებით.

არქიტექტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მონასტრის გალავანიც, რომელიც სხვადასხვა პერიოდის ფენებს, მათ შორის ადრეშუასაუკუნეების ბურჯებსაც შეიცავს. გალავნის დეტალური სტრატიგრაფია მნიშვნელოვანია კომპლექსის ისტორიის სხვადასხვა ეტაპის შესწავლისთვის, მისი ავთენტურობისა და მთლიანობის დაცვისთვის.

მახასიათებელი 2: გამორჩეული ხარისხის მოზაიკა და კედლის მხატვრობა

გელათის სამონასტრო ანსამბლის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი მისი მხატვრული შემკულობაა, რომელიც ერთის მხრივ წარმოადგენს ,,ოქროს ხანის" მაღალი დონის შემოქმედებითი ცხოვრების ნათელ გამოხატულებას, მეორეს მხრივ - ასახავს ქართული მონუმენტური ხელოვნების განვითარების უწყვეტ ქრონოლოგიურ, ტექნიკურ და სტილისტურ სპექტრს ოქროს ხანიდან გვიან შუა საუკუნეების ჩათვლით (XII-XVIII სს).

კედლის მხატვრობა და მისი ფრაგმენტები შემორჩენილია როგორც მთავარ ტაძარში, ასევე წმ. გიორგის ტაძარსა, სამხრეთ კარიბჭეში,მცირე ფრაგმენტის სახით წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში.მათგან ყველაზე მნიშვნელოვან თვალსაჩინოებას წარმოადგენს მონასტრის განვითარების ადრეული პერიოდის მხატვრობის და მოზაიკის ფენები: ღმრთისმშობლის შობის ტაძრის კონქში წარმოდგენილი მოზაიკა, და ამავე ტაძრის ნართექსის მოხატულობის ნაწილი (XII სკ). რაც შეეხება ღმრთისმშობლის შობის ტაძარსა და მის ეკვდერებში, და ასევე წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში არსებულ XVI და XVIII საუკუნეების კედლის მხატვრობას, ის მონასტრის ისტორიის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ძვირფას ინფორმაციას იძლევა გვიან შუა საუკუნეების პოლიტიკურ პროცესებზე და სახელოვნებო ტენდენციებზე.

მხატვრობის დათარიღების სქემა

ღმრთისმშობლის შობის ეკლესიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილში, კონქში წარმოდგენილი მოზაიკა ტაძრის აგების თანადროულია. იგი ამ პერიოდიდან შემორჩენილი მხატვრული

[11] ს. ყაუხჩიშვილი, მასალები პეტრე იბერის ბიოგრაფიისათვის, გეორგიკა, ტომი II, თბილისი, 1965, გვ. 253.

შემკულობის უიშვიათესი ავთენტური ნიმუშია და შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია როგორც ოქროს ხანაში საქართველოში სახელოვნებო განვითარების დამადასტურებელი თვალსაჩინოება. მოზაიკის ქვედა ნაწილი 1510 წელს მომხდარი ხანძრის დროს დაზიანდა და მომდევნო ათწლეულებში ფერწერით იქნა ჩანაცვლებული, შესაბამისად დღეს შემორჩენილი ნაწილი მოიცავს მხოლოდ აფსიდის კონქს (თითქმის 50 მ2 ფართობს).

მოზაიკა ძირითადად მცირე ზომის კენჭებისგანაა შედგენილი. მისი ფერადოვნება გამოირჩევა მდიდარი ტონალობითა და ელფერით. აქ ასევე გამოყენებულია გელათთან ახლოს მოპოვებული ბუნებრივი მასალა - სხვადასხვა ფერის ქვიშაქვა, კირქვა და გიშერი.

კომპოზიციის ცენტრში ჩვილედი ღმრთისმშობელია გამოსახული, რომლის ორსავე მხარეს თითო მთავარანგელოზია ნაჩვენები. გამოსახულება გაშლილია ერთიან ოქროს ფონზე.

მოზაიკური შემკულობანი საქართველოში იშვიათია. სულ რამოდენიმე ნიმუშის დასახელებაა შესაძლებელი (მაგ., მცხეთის ჯვარი, წრომი, ბაგრატის ტაძარი). ეს მედია გელათში, ერთის მხრივ, ერთიანი საქართველოს ძლიერების გამოხატულებად, მეორეს მხრივ კი ბაგრატოვანთა სამეფო გვარისა და საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობის პოლიტიკურ დეკლარირებად აღიქმებოდა. ნიშნეულია დედაღმრთისას იკონოგრაფიული ტიპი - ნიკოპეას ტიპი, რომელიც ბიზანტიელი იმპერატორების პალადიუმადაა მიჩნეული და სულ მცირე IX საუკუნიდან ქართველი მეფეების პალადიუმადაც ჩნდება. ღრმა თეოლოგიურ-საღვთისმეტყველო იდეასთან ერდად გელათის მოზაიკა მაღალ მხატვრული ღირსებითაა გამორჩეულია. ის თამამად შეიძლება დასახელდეს მოზაიკური შემკულობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად.

ფოტო+ ინტერიერის განშლა მითითებით

ღვთისმშობლის შობის ტაძრის ნართექსის კედლის მოხატულობა, მონასტრის მშენებლობის კიდევ ერთი თანადროული ავთენტური ფენაა (1125-1130).

მოხატულობა გამორჩეულია თავისი იკონოგრაფიული პროგრამით. შესრულების ხარისხის, ფიგურათა დამუშავებისა და ინდივუდუალობის, მონუმენტურობის დახვეწილი ფერადოვნების გამო იგი ოქროს ხანის ქართული კედლის მხატვრობის საუკეთესო ნიმუშად არის მიჩნეული.

კამარის ცენტრში ანგელოზთა მიერ ჯვრის ამაღლების სცენაა წარმოდგენილი, კამარები და კედლების ზედა რეგისტრები დათმობილი აქვს შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების გამოსახულებებს, დასავლეთი სარკმლის წირთხლში კი ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მომხდარი წმ. ეფემიას სასწაულის სცენაა ნაჩვენები.

ნართექსის მოხატულობის მნიშვნელობას განუზომლად ზრდის ისიც რომ აქ წარმოდგენილი შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება ჩვენამდე შემორჩენილი ამ ციკლის ყველაზე ადრეული ნიმუშია. ქრონოლოგიურ ფაქტორთან ერთად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ გელათის ციკლი გარკვეული ინდივიდუალური იკონოგრაფიული თავისებურებებით გამოირჩევა. რაც უდაოდ დავით აღმაშენებლის მეფობის ისტორიული მოვლენებითაა გაპირობებული და საეკლესიო ციკლის გამოსახულებაში ,,ეროვნული" აქცენტების არსებობასაც გულისხმობს.

ფოტო+ინტერიერის განშლა, მითითებით

ნართექსის მხატვრობის მოგვიანო ფენები წარმოდგენლია აღმოსავლეთ კედელზე კარის ორსავ მხარეს გამოსახული მეომართა ფიგურებით (სავარაუდოდ XIV სკ ან უფრო გვიანდელი) და ცენტრალური კარის ტიმპანზე მთავარანგელოზთა შორის წარმოდგენილი ჩვილედი ღვთისმშობელით (1520-იანი წლები). ნართექსის სამხრეთ ნაწილში 1650-60-იან წლებში

აგებული და მოხატული ბალდაქინი გვიანი შუა საუკუნეების სამეფო სამარხის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია[12]. ბალდაქინის მხატვრობაში წარმოდგენილია ალექსანდრე III-ისა და მისი თანამეცხედრის ნესტან-დარეჯანის გამოსახულებები.

ფოტო+ინტერიერის განშლა

ღვთისმშობლის შობის ტაძრის მოხატულობის ძირითადი სივრცის დიდი ნაწილი 1510 წლის შემდგომი აღდგენის პერიოდით თარიღდება. ფერწერა XVI საუკუნეში, სხვადასხვა ეტაპზეა შექმნილი. 1520-იან წლებს მიეკუთვნება გუმბათში ქრისტე პანტოკრატორისა და გუმბათის ყელზე აპოკალიფსური სიმბოლოებისა და წინასწარმეტყველების გამოსახულებები. 1550-იან წლებში საკურთხეველში საღმრთო ლიტურგიისა და მოციქულთა ზიარების სცენები, ხოლო საკურთხევლის ბემაზე ღმრთისმშობლის ცხოვრების სცენები შესრულდა. 1550-იან წლებში და შემდგომ 1565 და 1578 წელს მოიხატა ტაძრის სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავები (აქ დიდი საუფლო დღესასწაულებია გამოსახული) და დასავლეთი მკლავი (მაცხოვრის ვნებების გამოსახულებებით). ფერწერულ ანსამბლს ასევე ავსებს დიდი რაოდენობით საქტიტორო პორტრეტები, რომლებიც გამოსახავს როგორც საერო, ასევე სასულიერო პირებს. ჩრდილოეთი კედლის ქვედა რეგისტრში იმერეთის მეფეთა გამოსახულებების გვერდით დავით აღმაშენებლის ფიგურაც არის წარმოდგენილი. ეს დავით მეფის ფრესკული გამოსახულებათაგან ერთ-ერთი იშვიათი პორტრეტია.

დავითის ფრესკის ფოტო+განშლაზე მითითება

ეკვდერებისა და კარიბჭეების მოხატულობიდან ყველაზე ადრეული და საყურადღებოა წმ. ანდრიას ეკვდერის მოხატულობა, რომელიც 1291-1292 წლებში მეფე დავით VI ნარინის დაკვეთითაა შესრულებული და ადრეული პალეოგლოსური სტილის ქართული მხატვრობის უნიკალური ნიმუშია[13]. აქ მეფის ორი - საერო და სასულიერო პორტრეტებია გამოსახულია, რაც უაღრესად იშვიათია. ნარინის ეკვდერის დასავლეთ კედელზე, ისევე როგორც წმ. მარინეს ეკვდერში უფრო ადრეული ეპოქის მოხატულობათა სხვა ფრაგმენტების ჩნდება. კედლის მხატვრობის მიმდინარე დეტალური კვლევა სავარაუდოდ მრავალ აქამდე უცნობ დეტალს მოჰფენს ნათელს.

ფოტო+განშლაზე მითითება

წმ. მარინეს პირველი ეკვდერი ე. წ. ხალხური სტილის მოხატულობითაა დაფარული, რომელიც დასავლეთ საქართველოში XVI საუკუნიდან ვრცელდება. სხვა ეკვდერთა მოხატულობები XVI, XVII და XVIII საუკუნეებით თარიღდება.

ერთიანობაში ღვთისმშობლის შობის ტაძარი მოიცავს შუა, გვიანი და პოსტ ბიზანტიური პერიოდების (XII-XVIII სს) კედლის მხატვრობას მეფეთა, დედოფალთა და სასულიერო პირთა 40-ზე მეტი პორტრეტით.

წმ. გიორგის ეკლესიის არსებული მოხატულობა XVI საუკუნეს განეკუთვნება (1565-1583). მოხატულობის პროგრამა ხაზს უსვამს ეკლესიის, როგორც საკათალიკოსო საყდრისა და სამეფო განსასვენებლის მნიშვნელობას: გუმბათში ქრისტეს დიდების კომპოზიციაა გამოსახული; კონქში წარმოდგენილია ღმრთისმშობელი ნიკოპეა პეტრე და პავლე მოციქულებს შორის; აფსიდი და ბემა დათმობილი აქვს ევქარისტიული მსხვერპლისა და მკვდრეთით აღდგომის სიუჟეტებს. გარდა დიდ დღესასწაულთა განვრცობილი ციკლისა, აქვე

[12] მ. ლილუაშვილი, არქიტექტურულად გადაწყვეტილი საფლავის ძეგლები XVII-XIX საუკუნეების საქართველოში: ბალდაქინები, აკლდამები, ეკლესიის მოდელები, წიგნში: *საფლავის ძეგლები XVII-XIX საუკუნეების საქართველოში*, თბილისი, 2022, გვ. 133-135.

[13] ქ. მიქელაძე, დავით ნარინის ეკვდერის მოხატულობა გელათის მონასტრის მთავარ ტაძარში (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი, 2001.

გამოსახულია სცენები წმ. გიორგის ცხოვრებიდან. წინასწარმეტყველთა და წმინდანთა შორის ქართველი წმინდანები, VIII საუკუნეში არაბთა შემოსევის დროს მოწამეობრივად მოკლული დავით და კონსტანტინე მხეიძეები არიან გამოსახულნი, რომელთა სახელს უკავშირდება მოწამეთას მონასტერიც. მოხატულობის ქვედა რეგისტრი თითქმის მთლიანად დათმობილი აქვს იმერეთის მეფე-დედოფალთა პორტრეტებს.

წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთის მცირე ეკვდერია, რომელსაც XIII საუკუნის მოხატულობა ამკობს. ჩანს იგი წმ. გიორგის ეკლესიაც აშენებისთანავე მოიხატა. ძირითად სივრცეში დღესაც აქა-იქ ორიგინალური შემკულობის ფრაგმენტები ჩნდება. საგანგებოდაა არსანიშნავი ეკვდერის მოხატულობის იკონოგრაფიული თავისებურებანი. აქ წმინდანთა გამოსახულებებთან ერთად ჩნდება ამაღლების სცენა. რომელიც მეტად უჩვეულო იკონოგრაფიულ დეტალს შეიცავს - მთის პერსონიფიცირებულ გამოსახულებას, რომელიც ადამიანისსახა მთას წარმოგვიდგენს. გელათში ამგვარი მთის "პორტრეტული" გამოსახულება შესაძლებელია მივიჩნიოთ გელათის აკადემიაში კულტივირებულ ნეოპლატონიკური სწავლების გავლენად[14].

წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა პოსტ-ბიზანტიური ხელოვნების სრულებით გამორჩეული ნიმუშია. ის დიდწილად გვიანპალეოლოგოსურ ხელოვნებას ეფუძნება. ამავე დროს, მისი პროგრამის შედარებით ლაკონიური სცენები და მათი კომპოზიციური აგების ტექტონიკურობა ადგილობრივ ფერწერულ ტრადიციებზე მიუთითებს.

ფოტოები+განშლა ინტერიერის

[14] E. Gedevanishvili, Some Elements of Antiquity in Representation of Mountains in Georgian Painting of the 12th and 13th Centuries, in *Актуальние проблемы теории и истории искусства*, Санкт-Петербург, 2015, გვ. 287-293.

მახასიათებელი 3: მასშტაბი და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა

გელათი საქართველოში არსებულ მონასტერთა შორის ყველაზე დიდი მონასტერია. გამორჩეულია ის თავისი მასშტაბით მთელს ქრიატიანული აღმოსავლეთის კულტურაში. სოხასტერის კომპლექსი გელათის სამონასტრო ანსამბლის მიმდებარედ და ეკლესიების და სამლოცველოების სიმრავლე დოხორას მთაზე ასევე მოწმობს ამ კომპლექსის მასშტაბებს.

მონასტერი კომპაქტურადაა განლაგებული ქვის გალავნით შემოზღუდულ ტერიტორიაზე დოხორას მთის კალთაზე. დღეისათვის არ არის სრულად შენარჩუნებული მისი თავდაპირველი გეგმარებითი სტრუქტურა და შემადგენელი შენობები. თუმცა, შემონახულია თავდაპირველი და გვიანდელი უმნიშვნელოვანესი ნაგებობები: ღვთისმშობლის შობის მთავარი ტაძარი და ორი სხვა ეკლესია, სამრეკლო, აუზი და წყალმომარაგების სისტემა, გალავანი და კარიბჭეები, აკადემია, ასევე გვიანდელი ბერების საცხოვრებლები. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ნაგებობების მრავალრიცხოვანი ნაშთები მონასტრის ტერიტორიის ინტენსიურ სამეურნეო გამოყენებაზე მიუთითებს. ისტორიული ცნობებით, გვიან შუა საუკუნეებში ბერების საცხოვრებლად მონასტრის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული შენობები გამოიყენებოდა, თუმცა ეს ნაგებობები სრულად არაა შემორჩენილი. ასევე უცნობია გელათის სკრიპტორიუმის მდებარეობა, რომელიც მონასტრის სამეცნიერო ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღერძს წარმოადგენდა. გელათის მონასტრის დიდი კულტურული და ისტორიული მნიშვნელობა განპირობებულია მისი როლით საქართველოში სახელოვნებო და სამეცნიერო ცხოვრების აღორძინებაში და მისი კავშირით ისტორიულ მოვლენებთან და პირებთან, რომელთაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს საქართველოსა და მისი გეოკულტურული რეგიონის განვითარებაში.

ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელის მიერ მონასტერი თავიდანვე ჩაფიქრებული იყო როგორც იმ პერიოდის უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეცნიერებისა და განათლების ცენტრი. მან მონასტერში აკადემია დააფუძნა და დიდი ძალისხმევის შედეგად იქ შეკრიბა როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის საზღვრებს გარეთ მოღვაწე ქართველი მოაზროვნეები. დავითის ისტორიკოსი გელათის მონასტერს ათენსა და იერუსალიმს ადარებდს, რაც ხაზს უსვამდა გელათის მონასტრის, როგორც საერო, ასევე სასულიერო ცოდნის, ფილოსოფიისა და ღმრთისმეტყველების ცენტრის მნიშვნელობას.ისტორიული წყაროები მიუთითებს, რომ სწავლება გელათის აკადემიაში ელინურ-რომაული ტრადიციის მიხედვით ,,შვიდი თავისუფალი ხელოვნების" სისტემით მიმდინარეობდა, რაც იმდროინდელი საქართველოს ბიზანტიის დედაქალაქთან - კონსტანტინოპოლთან პოლიტიკური და კულტურული სიახლოვით აიხსნება. გელათის მონასტერი თავისი სასწავლებლით კონსტანტინოპოლურ მანგანას აკადემიის მოდელს უკავშირდება. ქრისტიანული აღმოსავლეთის უმთავრესი სასწავლო ცენტრი ,,მანგანას აკადემია" დღეს უმთავრესად არქეოლოგიური რეკონსტრუქციითაა ცნობილი. გელათი კი ამგვარი სტრუქტურის დაცულ და "ცოცხალ" ორგანიზმს წარმოგვიდგენს. რაც ქრისტიანული აღმოსავლეთის ამგვარი ინსტიტუციების რეკონსტრუირების საშუალებასაც გვაძლევს. ერთი საუკუნის შემდეგ იოანე შავთელმა გელათის სავანეს ,,ელადი" უწოდა, რაც აქ სამონასტრო და საგანმანათლებლო ცენტრების წარმატებულ თანაარსებობაზე მიუთითებს[15].

გელათი დაფუძნდა როგორც სამეფო მონასტერი, რომელიც ემსახურებოდა მეფის პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების განმტკიცებას. ის ამ ტიპის პირველი მონასტერია საქართველოში. სავარაუდოა, რომ მონასტერი ბიზანტიურ მოდელის მიხედვით შეიქმნა[16]. გელათის მონასტერი ფლობდა ვრცელ მიწებსა და მდიდარ საგანძურს, რომელიც

[15] დ. მელიქიშვილი, *გელათი სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი*, თბილისი, 2006; დ.მელიქიშვილი, გელათის აკადემია სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი სასწავლებელი ყრმათათვისთბილისი, ლოგოსი 2019; *გელათი 900, ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, განძეულობა*, თბილისი, 2007, გვ. 3.

[16] იქვე

ხატებისა და საეკლესიო შემკულობის მდიდარ კოლექციას მოიცავდა. მათ შორისა ხახულის ღმრთისმშობლის განთქმული ხატი, რომელიც X საუკუნეში შეიქმნა, ხოლო დავითის მითითებით და მისი ძის დემეტრეს ქტიტორობით მდიდრულად მომინანქრებულ და შემკულ ჭედურ ტრიპტიქში მოთავსდა (დღეს ხატი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში). ხახულის ტრიფტოქონი გელათის მოზაიკასთან ერთად ბაგრატოვანთა საგვარეულოს საკრალური წარმომავლობის ერთგავრ ნივთიერ მოწმობად ჩნდებოდა.

ფოტო

გელათის სამეცნიერო-საგანმანათლებლო მნიშვნელობას ხაზს უსვამს აქ სკრიპტორიუმის არსებობაც, სადაც ხდებოდა ხელნაწერთა გადაწერა და შექმნა. თავად შენობის მდებარეობა დღემდე არ არის დადგენილი, თუმცა აქ შექმნილ ხელნაწერთა კოლექცია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. მათ შორის ყველაზე ცნობილია მინიატურებით შემკული XII საუკუნის სახარება.

ფოტო

სამეფო მონასტერის შეწირულობებში გამოირჩევა ქ. განჯის ისტორიული რკინის კარი, რომელიც დავითის ვაჟმა, დემეტრე I-მა საომარ ალაფად წამოიღო განჯის აღების შემდეგ და გელათის მონასტერს შესწირა. კარზე დატანილი წარწერებით იგი 1062 წლით თარიღდება. თუჯისა და რკინისაგან დამზადებული ორფრთიანი კარი ქალაქ განჯის ექვსი კარიდან ერთ-ერთს კეტავდა. გელათის მონასტერში დღეისათვის კარის მხოლოდ ერთი ფრთა შემოინახა. შუა საუკუნეების ქალაქის რკინის კარები ამ ტიპის უნიკალურ ისტორიულ არტეფაქტს წარმოადგენს. დაცვის მიზნით ორიგინალი ქუთაისის ისტორიულ მუზეუმშია გადატანილი.

ფოტო

მეფე დავითის ანდერძით გელათის მონასტერი ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის განსასვენებელად იქცა. დავით აღმაშენებლის საფლავი მონასტრის სამხრეთი კარიბჭის გასასვლელის ცენტრში მდებარეობს, მასზე ამოკვეთილი ასომთავრული წარწერით: ,,ესე არს განსასუენებელი ჩემი, უკუნითი უკუნისამდე. ესე მთნავს ამას დავემკვიდრო მე''. დავითის შემდგომ, გელათის მონასტერში ჯერ საქართველოს, ხოლო შემდგომ იმერეთის მეფე-დედოფლები იკრძალებოდნენ. ისტორიული წყაროების მიხედვით, აქვე უნდა ყოფილიყო დაკრძალული მეფე თამარი. თუმცა მისი, ისევე როგორც რიგი სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული პირების საფლავის ქვები დღეისათვის არ არის შემორჩენილი. შემონახული სამეფო სამარხებიდან მხატვრული თვალსაზრისით გამოირჩევა წმ. ანდრიას ეკვდერში მოწყობილი დავით ნარინის სამეფო ოჯახის აკლდამა და ბალდაქინით გადახურული ალექსანდრე III-ის საფლავი ღვთისმშობლის შობის ტაძრის ნართექსში.

ფოტო

გელათის მონასტერი, რომელიც დავით აღმაშენებლის სამეფო ძალაუფლების სიმყარისა და სიძლიერის მოწმობა იყო, შუა საუკუნეების საქართველოს ,,ოქროს ხანის'' ყველაზე შთამბეჭდავ ვიზუალურ სიმბოლოდ იქცა.

შენარჩუნებული რელიგიური და სამონასტრო ფუნქცია

გელათის მონასტერს ცხარასაუკუნოვანი ისტორია აქვს. ისტორიული განვითარების სხვადსხვა ეტაპზე მას არ დაუკარგავს ავთენტური რელიგიური და სამონასტრო ფუნქცია. მისი, როგორც რელიგიური ცენტრის მნიშვნელობაზე მიუთითებს XVI საუკუნეში ბიჭვინთის საეპისკოპოსო კათედრის გელათში გადმოტანა, რის შემდეგაც წმ. გიორგის ეკლესია საკათედრო საკათალიკოსო ტაძარი გახდა.

მონასტრის ბერთა რაოდენობა და განაწესი ისტორიამ არ შემოინახა. თუმცა, როგორც სამეფო მონასტერი, იგი მუდამ ქართველ მეფეთა განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის საგანი იყო. რუსეთის იმპერიის მიერ იმერეთის სამეფოს მიერთების (1810) შემდეგ გელათმა დაკარგა რელიგიურ-ადმინისტრაციული ცენტრის სტატუსი. დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო 1814 წელს გააუქმეს, ხოლო გელათის საეპისკოპოსო - 1820 წელს[17]. მიუხედავად ამისა, გელათის მონასტერი ფუნქციონირებას განაგრძობდა საქართველოში საბჭოთა მმართველობის დამყარებამდე. 1923-1988 წლებში სამონასტრო ფუნქცია გელათში დროებით შეწყდა. თუმცა სამონასტრო კომპლექსი ღია იყო დამთვალიერებლებისათვის როგორც ქუთაისის მუზეუმის განყოფილება,და სახელმწიფო დაცვისა და ზრუნვის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. სწორედ ამ პერიოდში მოხდა კომპლექსის სამეცნიერო შესწავლა, რესტავრაცია და კონსერვაცია, რამაც უდიდესი როლი შეასრულა მის შენარჩუნებასა და გადარჩენაში.

ღმრთისმსახურება და სამონასტრო ცხოვრება 1988 წელს, საბჭოთა მმართველობის მიწურულს აღდგა, თუმცა თავდაპირველი მნიშვნელობა დღემდე ვერ დაიბრუნა. სამონასტრო თემი ოთხი მუდმივად მოსახლე ბერისაგან შედგება, რომელთაგან ერთ-ერთი ამჟამად წინამძღვრის მოვალეობის დროებითი შემსრულებელია. ბერები საცხოვრებლად იყენებენ როგორც გელათის მონასტრის გალავნის შიგნით XIX და XX საუკუნის ნაგებობებს, ასევე დოხორას მთაზე, წმ. საბას და წმ. ნინოს სამლოცველოების მიმდებარედ ახალაშენებულ სამონასტრო შენობებს.

სამონასტრო ცხოვრებისა და მეურნეობის სათანადოდ ორგანიზება გელათის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების შენარჩუნების ერთ-ერთ წინაპირობად მოიაზრება.

[17] მ. კეზევაძე, *გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს*, ქუთაისი, 2006, გვ. 39.

მახასიათებელი 4: სივრცითი ხარისხი

გელათის მონასტერი გამორჩეულია არქიტექტურის გარემომცველ ბუნებასთან ჰარმონიული შერწყმით, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება მონასტრის ადგილის ეფექტური შერჩევით დოხორას მთის კალთაზე და სამონასტრო ნაგებობების გეგმარებით.

მონასტერი მდ. წყალწითელას ხეობის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას მდებარეობს, ისტორიული გზების ახლოს. სამონასტრო ნაგებობები მთის ბუნებრივ ტერასაზეა აღმართული, ტყით დაფარული მთის ფონზე გამოკვეთილი სამონასტრო კომპლექსის სილუეტი ლანდშაფტის დომინანტური სივრცითი და ვიზუალური ელემენტია. მის ქვემოთ ფერდობზე გაშლილი სოფლები გელათი და მოწამეთა, სასოფლო-სამეურნეო მიწებით, მონასტრის აღქმისათვის სადა ფონურ განაშენიანებას ქმნის (იხ. დანართი 1.1. ლანდშაფტის ვიზუალური პანორამული ანალიზი)

ბუფერულ ზონაში განლაგებული ნაგებობები - დავითის კონცხზე მდებარე სათვალთვალო კოშკის ნანგრევი, სოხასტერი, წმ. ელიას, წმ. საბასა და წმ. ნინოს ეკლესიები, ისევე როგორც სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები და დასახლებების სტრუქტურა, გელათის კულტურული ლანდშაფტის სივრცითი ორგანიზაციის განუყოფელი ელემენტებია.

მახასიათებელი 5: კარგად გათვლილი ზოგადი გეგმარება

გელათის მონასტერს კარგად გააზრებული გეგმარებითი კონცეფცია აქვს. საგანგებოდ არის შერჩეული მისი სტრატეგიული განლაგება ქუთაისთან, საქართველოს იმდროინდელ დედაქალაქთან, რომლისგანაც თერთმეტიოდე კილომეტრით არის დაშორებული.

ისტორიულად მონასტერს ორი გზა ადგებოდა - ერთი ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოლო მეორე სამხრეთ-დასავლეთით. მთავარ გზას ეს უკანასკნელი წარმოადგენდა, რაზეც მიუთითებს მონასტრის ეზოში შესასვლელ სამხრეთ კარიბჭეში დავით აღმაშენებლის საფლავის არსებობა. ეს გზა რამდენჯერმე (სხვადასხვა მიმართულებით) იტოტება. აღმოსავლეთით ის სოფელ გოდოგანისკენ მიემართება და მასზე გამავალ ,,ქართლის შარას“ (ნერგეეთი) უერთდება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აკავშირებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს[18]. ისტორიული გზებისა და ისტორიულ ლანდშაფტში გვიან შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი ხიდების ნანგრევების შედარება გვაფიქრებინებს, რომ ზოგიერთი მათგანის ადგილზე ხიდი XII საუკუნეშიც იქნებოდა.

გარდა სტრატეგიული სიახლოვისა ადმინისტრაციულ ცენტრთან და მნიშვნელოვან რეგიონულ გზებთან, სამონასტრო კომპლექსი ჩაწერილია ისტორიულ ლანდშაფტში ადრეშუასაუკუნეებიდან არსებულ სათავდაცვო ინფრასტრუქტურაში. კომპლექსის დასავლეთით კლდოვან კონცხზე არსებული ციხე ადრეშუასაუკუნეებიდან წყალწითელას ხეობაში ისტორიულად გამავალ გზას აკონტროლებდა. კიდევ ერთ~~ი~~ მნიშვნელოვან გამაგრებულ პუნქტს დღევანდელი მოწამეთის მონასტერი წარმოადგენდა, რომელიც ისტორიულ უქიმერიონს[19] ემთხვევა,

გალავნით შემოზღუდული სამონასტრო კომპლექსის ფართობი XII საუკუნის შემდეგ არ შეცვლილა. XVI საუკუნიდან მისი მთავარი შესასვლელი აღმოსავლეთიდან მოეწყო, თუმცა ამ გეგმარებითი ცვლილების მიზეზი უცნობია. ეს კარიბჭე დღემდე მონასტრის ერთადერთი

[18] memkvidreoba.gov.ge/Home/Immovable/8422

[19] ო. ლანჩავა, *ქუთაისის არქეოლოგია*, ქუთაისი, 2015, გვ.

მოქმედი შესასვლელია, რასაც განაპირობებს მისკენ მიმავალი მოასფალტებული საავტომობილო გზა.

ქვის გალავნით მოფარგლულ მონასტერში ცენტრალური ადგილი უკავია ღვთისმობლის შობის ტაძარს. სხვა სამონასტრო შენობები მის გარშემოა განაწილებული, რითაც ხაზი ესმევა ტაძრის დომინანტურობას. XIII საუკუნის ბოლოსათვის მონასტრის გეგმარებითი სტრუქტურა არსებითად ჩამოყალიბებული იყო. ბერების საცხოვრებელი სენაკების და სხვა ნაგებობების ადგილმდებარეობის შესახებ მწირ ინფორმაციას იძლევა გვიან შუა საუკუნეების ისტორიული ცნობები და ტერიტორიის ფრაგმენტული არქეოლოგიური გათხრები. გათხრებით დასტურდება გალავნის შიგნით მჭიდრო სამეურნეო და სხვა ტიპის განაშენიანება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არაერთხელ შეიცვალა. მონასტრის გვიან პერიოდზე თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა დიმიტრი ერმაკოვის მიერ გადაღებული 1880-იანი წლების ფოტო, რომელზედაც აღბეჭდილია ქვისა და ხის ერთსართულიანი სამეურნეო და საცხოვრებელი შენობების რომელთა უმეტესობა დღეს აღარ არსებობს



დ. ერმაკოვის მიერ 1880-1916 წწ. გადაღებული ფოტოები აჩვენებს ცვლილებების გელათის სამონასტრო ანსამბლის ჩრდილოეთ ნაწილში. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია, წყარო: https://gelatirehabilitation.ge/uploads/documents/docs/ERMAKOV-ARCHITECTURE-1880-1916.pdf

ნაწილი 2

მართვის სტრატეგიული მიზნები

DRAFT

ეყრდნობა რა მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის სამოქმედო სახელმძღვანელოს და წინამორბედი მართვის გეგმის ძირითად პრინციპებს, წინამდებარე მართვის გეგმა განსაზღვრავს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს და მის შესაბამისად დაჯგუფებულ ამოცანებს:

I. **დაიცვას, შეინარჩუნოს და წარმოაჩინოს გელათის სამონასტრო ანსამბლის და მისი ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება;**

1.1. კონსერვაციის მაღალი ხარისხით შენარჩუნდეს სამონასტრო ანსამბლის შემადგენელი ობიექტები: ტაძრები, სამრეკლო და მათი არქიტექტურული და დეკორატიული ელემენტები, მოზაიკა და კედლის მხატვრობა, მოძრავი ძეგლები (ჯვარ-ხატები, ხელნაწერები და სხვა მოძრავი ნაწილები), ანსამბლის შემადგენელი სხვა არტიქეტურული კომპონენტები, მდგომარეობა რეგულარულად შემოწმდეს მონიტორინგის შეთანხმებული პროტოკოლებისა და შესაბამისი ინსტრუმენტების მეშვეობით.

1.2. კონსერვაციის მაღალი ხარისხით შენარჩუნდეს გათხრების შედეგად გამოვლენილი ღია და მიწით დაფარული არქეოლოგიური ნაშთები, მათ შესახებ ინფორმაცია სათანადოდ წარედგინოს დამთვალიერებელს.

1.3. მომზადდეს ჯერ კიდევ გაუთხრელი არქეოლოგიური ფენების რუკა და არქეოლოგიური კვლევის სტრატეგია;

1.4. შენარჩუნდეს მონასტრის ისტორიული გეგმარებითი სტრუქტურა და სივრცის გამოყენების სპეციფიკა;

1.5. შენარჩუნდეს ჰარმონიული კავშირი გარემო ლანდშაფტთან, როგორც ვიზუალური ასევე ფუნქციური და სიმბოლური თვალსაზრისით.

1.6. განაშენიანებისგან დაცულ იქნეს სამონასტრო ანსამბლის მიმდებარე ტერიტორია და დოხორას მთის ისტორიული ლანდშაფტი;

1.7. კონსერვაციის მაღალი ხარისხით შენარჩუნდეს სოხასტერი, მოხდეს მისი სათანადო ინტერპრეტაცია და პრეზენტაცია; კონსერვაციის მდგომარეობა შემოწმდეს საჭიროების შესაბამისად.

1.8. კონსერვაციის მაღალი ხარისხით შენარჩუნდეს ისტორიული ეკლესიები დოხორას მთაზე, კონსერვაციის მდგომარეობა შემოწმდეს საჭიროების შესაბამისად.

II. **ხელი შეუწყოს გელათის სამონასტრო ანსამბლის ისტორიული რელიგიური, კულტურული და საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებას;**

2.1. შენარჩუნდეს და განივრცოს მონასტროს საგანმანათლებლო ფუნქცია;

2.2. სამონასტრო ცხოვრება მოეწყოს ძეგლის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების შესაბამისად;

2.3. მოხდეს ბერების საცხოვრებელი და სამეურნეო ისტორიული ნაგებობების რეაბილიტაცია-ადაპტაცია;

2.4. აკადემიის შენობა ადაპტირებულ იქნას საზოგადოებრივი დანიშნულებისთვის მისი ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობის და განსაკუთრებულ ზოგადსაკაცობრიო ღირებულების შესაბამისად;

2.5. გელათთან დაკავშირებული მოძრავი ძეგლები წარმოჩენილ იქნას ფართო საზოგადოების წინაშე შესაბამისი ინტერპრეტაციით და უსაფრთხოების პირობების დაცვით.

III. **ხელი შეუწყოს მონასტრის თემის, ადგილობრივი მოსახლეობისა და ფართო საზოგადოების მიერ ძეგლის მდგრად გამოყენებას და მსოფლიო მემკვიდრეობის დადებით გავლენას ადგილობრივ სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე.**

3.1 შემუშავდეს ბუფერული ზონის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტაცია, ტერიტორიების მდგრადი განვითარების და მსოფლიო მემკვიდრეობის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების დაცვის პრინციპების შესაბამისად;

3.2 შესწავლილ და მარკირებულ იქნეს ისტორიული გზები და ბილიკები და საჭიროებისამებრ აღიჭურვოს საპრეზენტაციო პანელებით და სხვა ინფრასტრუქტურით.

3.3 დაცულ იქნეს ბუფერულ ზონაში გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები.

IV. გააუმჯობესოს მართვის მონაწილე მხარეების დარგობრივი თანამშრომლობა, მმართველობის დონეებს შორის კოორდინაცია, ადგილობრივი მოსახლეობისა და ფართო საზოგადოების ჩართულობა.

4.1. გაუმჯობსდეს მმართველობის დონეებს შორის და უწყებათაშორისი კოორდინაცია-თანამშრომლობა;

4.2. გაუმჯობესდეს ადგილზე ძეგლის მართვის მექანიზმი (in-situ management).

V. გააღრმაოს ცოდნა გელათის მონასტრის ისტორიისა და განვითარების, მის შემოგარენთან და უფრო ვრცელ გარემოსთან ურთიერთკავშირის შესახებ და მის შესაბამისად განავრცოს ძეგლის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების ინტერპრეტაცია და პრეზენტაცია.

5.1. დადგინდეს ძეგლის განვთარების დეტალური ქრონოლოგია, მათ შორის არაინვაზიური არქეოლოგიური დაზვერვებით და მიზნობრივი გათხრებით;

5.2. ეტაპობრივად განხორციელდეს კულტურული ლანდშაფტისა და მისი არქეოლოგიური ფენების მულტიდისციპლინარული შესწავლა, ისტორიული ანალიზი მისი დეტალური ინტერპრეტაციისა და პრეზენტაციისთვის.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად მართვის გეგმა განსაზღვრავს მართვის ციკლის კონკრეტულ ამოცანებსა და ქმედებებს, რომელიც დაჯგუფებულია შემდეგ სფეროებად:

1. ინსტიტუციური უზრუნველყოფა და განვითარება
2. სამართლებრივი რეგულირება და დაცვა
3. კონსერვაცია და მონიტორინგი
4. ინტერპრეტაცია და პრეზენტაცია
5. განათლება და უნარების გაძლიერება
6. სამონასტრო ცხოვრების განვითარება

კონკრეტული ამოცანები და ქმედებები შესაძლებელია გადაიხედოს, შეიცვალოს და განივრცოს მართვის მომდევნო ციკლებში მიმდინარე პრიორიტეტების შესაბამისად.

წინამდებარე მართვის ციკლი განისაზღვრება 2024-2028 წლებით, რომლის შესაბამისი საგზაო რუკა, მიმართულებებით და ქმედებებით წარმოდგენილია მართვის გეგმის მე-5 თავში და შესაბამის დანართ 5.1 ში.

წყლის ინფლილტრაციიდან გამომდინარე ღვთისმშობლის შობის მთავარ ტაძარში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო, მართვის ამ ციკლის მთავარ გამოწვევად ძეგლის საკონსერვაციო მდგომარეობის გამოსწორება მიიჩნევა. შესაბამისად, ამოცანებისა და ქმედებების განსაზღვრისას პრიორიტეტი მიენიჭა ძეგლის ფიზიკურ გადარჩენასა და კონსერვაციას და შექმნილი კრიზისული ვითარების დაძლევას.

ნაწილი 3

ისტორიული განვითარება, არსებული მდგომარეობა, კონსერვაცია, ზემოქმედების ფაქტორები

DRAFT

3.1. გელათის მონასტერი - რელიგიური ცენტრი

გელათის მონასტერი 1106 წელს დაფუძნდა დავით IV აღმაშენებლის ინიციატივით. ის იმთავითვე სამეფო მონასტერს წარმოადგენდა, რომელიც ფლობდა ვრცელ მიწებსა და მდიდარ საგანძურს. ტაძრის მდიდრულად შემკულ ხატებს შორის იყო ხახულის ღმრთისმშობლის განთქმული ხატი, რომელიც ქართული ხატწერის, ტიხრული მინანქრისა და ოქრომჭედლობის უნიკალურ ნიმუშს წარმოადგეს (დღეს ის საქართველოს ეროვნული მუზეუმშია დაცული)[20].

მონასტრის ბერთა რაოდენობა და განაწესი ისტორიამ არ შემოინახა. სავარაუდოდ, იგი იცვლებოდა ქვეყანაში არსებული ზოგადი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შესაბამისად. როგორც სამეფო მონასტერი, იგი მუდამ ქართველ მეფეთა განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის საგანი იყო.

1510 წელს მონასტერი თურქებმა გადაწვეს. იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ მალევე (1519) აღადგინა და საეპისკოპოსო საყდრად აქცია. 1565-1578 წლებს შორის, ბიჭვინთიდან გელათში, წმ. გიორგის ტაძარში გადმოტანილ იქნა დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო საყდარი. 1759 წელს მონასტერი კიდევ ერთხელ, ამჯერად ლეკების შემოსევის დროს გადაიწვა. 1770-1780-იან წლებში იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ძალისხმევით მონასტერი კვლავ აღდგა[21].

რუსეთის იმპერიის მიერ იმერეთის სამეფოს მიერთების (1810) შემდეგ გელათმა დაკარგა რელიგიურ-ადმინისტრაციული ცენტრის სტატუსი. რუსმა მმართველებმა დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო 1814 წელს გააუქმეს, ხოლო გელათის საეპისკოპოსო - 1820 წელს[22].

მიუხედავად ამისა, გელათის მონასტერი ფუნქციონირებას განაგრძობდა საქართველოში საბჭოთა მმართველობის დამყარებამდე. მონასტერი 1923 წელს დაიხურა სხვა მრავალი რელიგიური დაწესებულების მსგავსად. ამავდროულად, მაღალი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის გამო, სამონასტრო კომპლექსს კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქცია მიენიჭა და სახელმწიფო დაცვისა და ზრუნვის საგანი გახდა. 1923-1988 წლებში სამონასტრო კომპლექსი ღია იყო დამთვალიერებლებისათვის, როგორც ქუთაისის მუზეუმის განყოფილება და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

გელათის მონასტერში ღმრთისმსახურება და სამონასტრო ცხოვრება 1988 წელს, საბჭოთა მმართველობის მიწურულს აღდგა. სამონასტრო თემი მცირეა და შედგება მხოლოდ ოთხი მუდმივად მოსახლე ბერისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი ამჟამად წინამძღვრის მოვალეობის დროებითი შემსრულებელია. ბერები საცხოვრებლად იყენებენ როგორც გელათის მონასტრის გალავნის შიგნით XIX და XX საუკუნის ნაგებობებს, ასევე დოხორას მთაზე, წმ. საბას და წმ. ნინოს სამლოცველოების მიმდებარედ ახალაშენებულ სამონასტრო შენობებს.

მონასტრის ტიპიკონის მიხედვით. ბერების ყოველდღიური ცხოვრება ლოცვას და ეკლესიების მოვლა-დალაგებას მოიცავს. მოვლაში არ იგულისხმება შენობა-ნაგობებების ფიზიკური

---

[20] უშუალოდ ხატი X საუკუნეში შეიქმნა. დავით აღმაშენებელლის გადაწყვეტილების მიხედვით, მისმა მემკვიდრემ მეფე დემეტრე I-მა (1125-1156) ხატი მინანქრებითა და ჭედური ორნამენტებით მდიდრულად მორთულ ტრიპტიქში ჩაასვენა. ტრიპტიქი სამმა გელათელმა ოსტატმა შეასრულა. ლ. ხუსკივაძე, ხახულის კარედის გარე მოჭედილობა, საქართველოს სიძველენი, 7-8, 2005, გვ. 110-123; რ. ყენია, ხახულის ღმრთისმშობლის ხატი კარედის მოჭედილობა, თბილისი, 1972; ლ. ხუსკივაძე, ხახულის ტრიპტიქი, თბილისი, 2007.

[21] ბ. ლომინაძე, *გელათი*, ქუთაისი, 1958, გვ. 12-13.

[22] მ. კეზევაძე, *გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს*, ქუთაისი, 2006, გვ. 39.

მდგომარეობის მონიტორინგი, არც პრევენციული კონსერვაციის მარტივი ქმედებები, რაც შესაბამის ცოდნას და უნარებს მოითხოვს. უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის და ინფრასტრუქტურული გაუმართაობის გამო ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სამონასტრო კომპლექსში ბერების საცხოვრებელი სამი ისტორიული შენობა - XVIII საუკუნის ოდა,, 1882 წელს[23] და XIX საუკუნის ბოლოს აგებული საცხოვრებელი ნაგებობები დაიწვა[24].

მოქმედი სამონასტრო განაწესის მიხედვით მონასტრის კარიბჭე დილის 07:30 საათზე იღება და 22:30 საათზე იკეტება. დამთვალიერებელთა უწყვეტი ნაკადი მეტად ართულებს სამონასტრო ცხოვრებისათვის საჭირო განმარტოებას. სამონასტრო ცხოვრებისა და მეურნეობის სათანადოდ ორგანიზება გელათის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების შენარჩუნების ერთ-ერთ წინაპირობად მოიაზრება.

DRAFT

[23] სახლი ცნობილი იმერელი ხუროთმოძღვრების - ბერეკაშვილების მიერ არის აგებული.

[24] შენობა წინამძღვრის საცხოვრებელი იყო. მის ქვემოთ ჩანს ნაშთები XII-XIII საუკუნეების ნაგებობისა, რომელიც რამდენიმე ოთახისაგან შედგება.

3.2. გელათის მონასტრის კულტურული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო როლი

გელათის მონასტერი დაარსებისთანავე ჩაფიქრებული იყო არა როგორც უბრალოდ რელიგიური დაწესებულება, არამედ იმ პერიოდის უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეცნიერებისა და განათლების ცენტრი. მეფე დავითმა მონასტერთან ერთად დააფუძნა აკადემია, სადაც დიდი ძალისხმევის შედეგად შეკრიბა როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის გარეთ მცხოვრები ყველაზე გამორჩეული ქართველი ღმრთისმეტყველები და ფილოსოფოსები. ქართველი მემატიანეები მონასტრისა და აკადემიის დაარსების ისტორიას აღწერენ როგორც განსაკუთრებულ მოვლენას ერის ცხოვრებაში[25].

სწავლება გელათში რომაული ტრადიციის შესაბამისად ,,შვიდი თავისუფალი ხელოვნების“ სისტემით მიმდინარეობდა[26]. აქ ძირითადად იგივე დისციპლინები ისწავლებოდა, რაც ბიზანტიის იმპერიის სხვა სასულიერო სასწავლებლებში. მონასტრის წინამძღვარი ასევე ითავსებდა აკადემიის ხელმძღვანელის ანუ მოძღვართ-მოძღვარის თანამდებობას[27] .

გელათის მონასტერი დაარსების დღიდან ,,ბერთა და სწავლულთა არცთუ ჩვეულებრივი ერთობის“[28] ნიმუშს წარმოადგენდა. იგი მწიგნობრობის და მეცნიერების გამორჩეული კერა იყო. აქ ითარგმნებოდა და იქმნებოდა იმ პერიოდის მნიშვნელოვანი ფილოსოფიურ-რელიგიური შინაარსის ლიტერატურა. ასევე ფუნქციონირებდა სკრიპტორიუმიც (შენობის ადგილი უცნობია), სადაც აქტიურად მიმდინარეობდა ხელნაწერთა გადაწერა. სავარაუდოდ გელათში გადაწერილ წიგნებს შორის ყველაზე ცნობილია მინიატურებით შემკული XII საუკუნის სახარება (ამჟამად ის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული, Q-908)[29]. სავარაუდოდ, გელათშივე უნდა იყოს შედგენილი XIV საუკუნის ქართული სამართლის ძეგლი ,,გარიგება ჴელმწიფის კარისა“[30].

გელათის მონასტერში ასევე იქმნებოდა ლიტურგიული დანიშნულების ნივთები: ხატები და ჯვრები, მზადდებოდა ხის ნაკეთობები. 1770-იან წლებში გელათში არსებობდა კალიგრაფიული და სამხატვრო სკოლა, რომელიც ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ ზაქარია გაბაშვილმა დაარსა[31]. სწორედ აქ უნდა იყოს დამზადებული ღვთისმშობლის შობის ტაძრის მაცხოვრის ეკვდერის იკონოსტასი და წმ. მარინეს ეკვდერის ტემპლონი ხატებითურთ. XIX საუკუნის ბოლოს ესტატე კერესელიძემ (წმ. ექვთიმე აღმსარებელი) გელათში გადანუსხა უნიკალური სამუსიკო კრებული 3000-ამდე საგალობლით[32].

გელათის აკადემიამ XVI საუკუნემდე იარსება. წყაროების თანახმად, XVI საუკუნის შემდეგ აკადემიის შენობა მხოლოდ სატრაპეზოდ გამოიყენებოდა.

---

[25] *ქართლის ცხოვრება,* ტ. 1, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955, გვ. 318-364; ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. შანიძემ, საქართველოს ისტორიის წყაროები, ტ. 62, თბილისი, 1992.

[26] *გელათი, ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, განძეულობა*, გვ. 3.

[27] იქვე, გვ. 4.

[28] *გელათი, ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, განძეულობა*, გვ. 3.

[29] *ქართული ხელნაწერი წიგნი*, V-XIX საუკუნეები, ნ. ჩხიკვაძის რედაქციით, თბილისი, 2010, გვ. 66.

[30] ე. თაყაიშვილი, *ხელმწიფის კარის გარიგება*, ტფილისი, 1920; ივ. ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია*, წიგნი 1, ტფილისი, 1928; ნ. ქავთარია, გელათის ოთხთავი, *საქართველოს სიძველენი*, 2007, 11, გვ. 59-77.

[31] *გელათი, ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, განძეულობა*, გვ. 265.

[32] ი. თავბერიძე, *XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა*, თბილისი, 2010, გვ. 67-80.

1990 წელს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის კალისტრატე მარგალიტაშვილის ინიციატივითა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გელათის აკადემია აღდგა, როგორც სასულიერო-საგანმანათლებლო დაწესებულება. აკადემია მდებარეობს ქუთაისში (დვალიშვილის ქ. #7), თუმცა სხვადასხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიებები პერიოდულად გელათის მონასტერში, აკადემიის ყოფილ შენობაშიც იმართება[33] აკადემიასთან არსებულ სასულიერო სემინარიაში არსებობს თეოლოგიისა და ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამები, თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა და მედავითნეობის ერთწლიანი კურსი.

საბჭოთა პერიოდში, გელათის სამონასტრო კომპლექსმა, მიუხედავად იმისა, რომ დაკარგა რელიგიური მნიშვნელობა, ახალი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო ფუნქცია შეიძინა. კომპლექსი ქართული არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორიის კვლევის ობიექტად იქცა. ამასთან, იგი ღია იყო დამთვალიერებლებისათვის, რითაც ემსახურებოდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ეს ფუნქცია გელათში სამონასტრო ცხოვრების განახლების შემდეგაც არ შეწყვეტილა.

გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ვიზიტორთა ზუსტი რაოდენობის აღრიცხვა დღემდე არ მომხდარა. მონასტერში შესასვლელად ბილეთები არ იყიდება, რადგანაც საეკლესიო ტრადიციით, მოქმედ ეკლესიაში შესვლა ნებისმიერი მსურველისათვის უფასოა.

2008 წლის კონსერვაციის გეგმით ვიზიტორთა და სამონასტრო ცხოვრების გამიჯვნა ვიზიტორთა ცენტრის აგებით, დამთვალიერებელთა ნაკადის რეგულირებით და ტერიტორიის ზონირებით უნდა გადაჭრილიყო, თუმცა საკითხი დღემდე მოუგვარებელია. ვიზიტორთა ცენტრი გეგმის შესაბამისად მონასტრის გალავნის გარეთ აიგო და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს გადაეცა მართვისთვის, თუმცა იგი დღემდე გამოუყენებელია. მიუხედავად განხორციელებული მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინვესტიციისა, მონასტერთან ისევ არ ფუნქციონირებს არანაირი საპრეზენტაციო სივრცე, არ არის ხელმისაწვდომი ბროშურები და პუბლიკაციები, კვლავ მოუწესრიგებელია სასუვენირო ბიზნესი. ვიზიტორთა ცენტრის უფუნქციობის გამო დამთვალიერებელთათვის მიუწვდომელია აქ მოწყობილი საზოგადოებრივი ტუალეტები, რაც შეუძლებელს ხდის ადგილზე რაიმე სახის საჯარო საგანმანათლებლო - კულტურულ აქტივობას.

[33] https://gelati.edu.ge/2020/09/21/გელათის-სასულიერო-აკადე-8/

3.3. სამონასტრო ანსამბლის არქიტექტურა და გეგმარება

3.3.1. ანსამბლის გეგმარებითი სტრუქტურა

გალავნით მოსაზღვრული გელათის მონასტერი დოხორას მთის ბუნებრივ კალთაზეა აღმართული, რომლის დასავლეთი ნაწილი ციცაბო და მიუდგომელია. ამ ბუნებრივი პლატფორმის ქვემოთ წყალწითელასკენ დაღმავალ დასავლეთ ფერდობზე სოფელი გელათია გაშლილი, ხოლო მონასტრის აღმოსავლეთით კლდოვანი ფერდობი ფოთლოვანი ტყითაა დაფარული სადაც გელათის მონასტერში შემავალი, მისი თანადროული წმ. ელიას, წმ. საბას და წმ ნინოს მცირე ეკლესიებია (იხ. ფოტოები).

მონასტრის თავდაპირველი გეგმარების შესახებ მონაცემები მეტად მწირია. შემორჩენილი ნაგებობებიდან , თავდაპირველ კომპლექსს ღმრთისმშობლის სახელობის ღვთისმშობლის შობის ტაძარი, სამხრეთ კარიბჭე, გალავანი და აკადემია შეადგენდა მონასტრის ჩრდილოეთ ნაწილში ბერების საცხოვრებლის არქეოლოგიური ფენების დათარიღება მიუთითებს, რომ სავარაუდოდ აქ მონასტრის დაფუძნების პერიოდიდან არსებობდა ნაგებობა, თუმცა მისი მოცულობა და გეგმარებითი სტრუქტურა ბოლომდე შესწავლილი არ არის.

კომპლექსი XIII საუკუნეში შეივსო წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიებით, სამრეკლოთი და სხვა ნაგებობებით. ისტორიული წყაროები, საარქივო ფოტოები და არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი ნაშთები აკადემიის ჩრდილოეთით და წმ. გიორგის ეკლესიის მიმდებარედ, მონასტრის ეზოში მჭიდრო სამეურნეო-საცხოვრებელ განაშენიანებაზე მიუთითებს[34], თუმცა კომპლექსის განვითარების სურათი დღემდე არაა დაზუსტებული. არქეოლოგიური გათხრები მონასტრის ეზოსა და მის მიმდებარედ, სავარაუდოდ ბევრ საინტერესო გეგმარებით დეტალს გამოავლენს.

ანსამბლის გეგმა ქრონოლოგიით 2015

3.3.2. არქიტექტურა[35]

გელათის მონასტრის ღმრთისმშობლის სახელობის მთავარი ტაძარი დიდი ზომის ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა. შენობის კედლები მოპირკეთებულია კარგად თლილი მოყვითალო კირქვის კვადრებით, რომელთაგან ზოგი ძალიან დიდია. აღმოსავლეთ ფასადზე სამი შვერილი ხუთწახნაგა აფსიდია. მათ ამკობს სადა დეკორატიული თაღნარი, რომელიც სარკმლების საპირეებზეც მეორდება. რელიეფური ორნამენტები ფასადთა მხოლოდ ცალკეულ ელემენტებზე გვხვდება.

ტაძარს დასავლეთით აქვს ნართექსი, საიდანაც ეკლესიის მთავარ სივრცეში შევდივართ. გუმბათი აფსიდის კუთხეებსა და ორ მასიურ ბურჯს ეყრდნობა. ტაძრის დასავლეთით პატრონიკეა მოწყობილი, რომელზე ასასვლელი კიბე სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კედლებშია გაჭრილი. საკურთხევლის ორივე მხარეს პასტოფორიუმები, სამკვეთლო და სადიაკვნეა გამართული. ტაძარს 1140-იან წლებში სამხრეთი კარიბჭე

[34] ისაკაძე, რ (2019) არქეოლოგიური ანგარიში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

[35] გელათის ანსამბლის ნაგებობების დეტალური არქიტექტურული აღწერა და დახასიათება მოცემულია 2008 წელს შემუშავებული კონსერვაციის გეგმის მოსამზადებელ კვლევაში.

მიუშენდა. ამავე პერიოდით თარიღდება წმ. ანდრიას ეკვდერი კარიბჭის აღმოსავლეთით და წმ. მარინეს ეკვდერი კარიბჭის დასავლეთით (იგი XIII საუკუნეში იქნა აღდგენილი). ჩრდილოეთი კარიბჭე და მის აღმოსავლეთით მაცხოვრის ეკვდერი XIII საუკუნის დასაწყისით თარიღდება. მოგვიანებით, XIII საუკუნის შუა წლებში ჩრდილოეთ კარიბჭეს დაემატა წმ. მარინეს მეორე სამლოცველო და მომიჯნავე ოთახი. ეკვდერებისა და კარიბჭეების ფასადები მთავარი ტაძრის მსგავსი კირქვის კარგად თლილი კვადრებითაა მოპირკეთებული და ჰარმონიულად ეთანხმება ტაძრის საერთო იერსახეს (იხ. მთავარი ტაძრის ფოტო).

ანსამბლის ნაგებობებიდან ასევე XII საუკუნით თარიღდება აკადემიის შენობა, გალავნის დიდი ნაწილი, მონასტრის სამხრეთი კარიბჭე, აუზი და წყარო.

აკადემიის შენობა წაგრძელებული მართკუთხა გეგმის უხეშად თლილი ქვით ნაგები დარბაზია. შენობის დასავლეთი კედელი ქარაფზე გამოდის და გვიან მიშენებული მძლავრი კონტრფორსებითაა გამაგრებული. დასავლეთ კედელზევეა მიშენებული მონუმენტური დიდმალიანი თაღით გახსნილი პორტიკი, საიდანაც აკადემიის სივრცეში ორსართულიანი შესასვლელია მოწყობილი. გვიანდელი კონტრფორსებითაა გამაგრებული აღმოსავლეთ კედელიც. ამ ნაწილში XIII-XIV საუკუნეში მონუმენტური მდიდრულად შემკული კარიბჭე მიაშენეს, რომელიც დღეს შენობის მთავარი შესასვლელია. ნაგებობის თავდაპირველი ფუნქცია და გადაკეთებების ქრონოლოგია დღემდე ბევრ კითხვას აჩენს, მითუმეტეს რომ იგი გვიან შუა საუკუნეებში სატრაპეზოდ გამოიყენებოდა, ხოლო XX საუკუნემდე მხოლოდ გარე კედლების სახით შემორჩა გადახურვის გარეშე. არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი სარდაფი და მარანი სამეურნეო ფუნქციას მოწმობს შენობის ხის სტრუქტურით გადახურვა მოხდა 2009-2010 წლებში.

ფოტო ან ანაზომი

ღვთისმშობლის შობის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე აუზი, წყარო და წყალმომარაგების საინჟინრო სისტემა მონასტრის დაარსების თანადროულია. აუზი და წყარო გადახურულია სამ მხარეს თაღებით გახსნილი კვადრატული გეგმის ნაგებობით, რომელზედაც XIII საუკუნის მეორე ნახევარში სამრეკლო დაშენდა. ეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ადრეული სამრეკლოა. მეორე სართულზე დაბალი, კამაროვანი სივრცეა, ბუხრითა და ორი სარკმლით. სამრეკლო ოქტაგონალური ფანჩატურით გვირგვინდება.

წყალმომარაგების მნიშვნელოვან ელემენტს გალავნის გარეთ სათავე ნაგებობა და შემკრები აუზი წარმოადგენს, რომელიც მცირე ეკლესიითაა აღნიშნული.

ფოტო

მონასტერი შემოზღუდულია უხეშად ნატეხი ქვით ნაგები გალავნით. მისი უმეტესი ნაწილი სავარაუდოდ მონასტრის დაარსების თანადროულია. ცნობილია, რომ გალავანი შეკეთდა XIX საუკუნეში. დოკუმენტური წყაროებით და ვიზუალური დაკვირვებით შესაძლებელია აღდგენისა და შეკეთების ფენების გამოიყოფა, თუმცა დეტალური სტრატიგრაფიული შესწავლა და დოკუმენტაცია არ განხორციელებულა.

ფოტო

წყაროებით ცნობილია, რომ მონასტრისკენ ამომავალი ისტორული გზა სამხრეთი კარიბჭისკენ მოემართებოდა, რომელიც ანსამბლის დაარსებიდან მის მთავარ შესასვლელს წარმოადგენდა, რასაც, თავის მხრივ, დავით აღმაშენებლის ისტორიული საფლავიც მოწმობსკარიბჭე საუკუნეების განმავლობაში რამდენჯერმე იქნა გადაკეთებულ-განახლებული. ნაგებობა წარმოადგენს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან თაღებით გახსნილ მართკუთხა დერეფანს, რომლის ცენტრში დავით აღმაშენებლის საფლავია. მეორე

სართულზე მცირე სათავსია, სამხრეთით და ჩრდილოეთით კი გვიანი პერიოდის მინაშენები. XVI საუკუნიდან სამხრეთ კარიბჭე გაუქმდა და სამლოცველოდ გადაკეთდა, ხოლო ძირითადი შესასვლელის ფუნქცია გალავნის აღმოსავლეთ ნაწილში აგებულ მცირე კარიბჭეს დაეკისრა.

თაღზე შემორჩენილ მოხატულობის ფრაგმენტზე ძლიერ დაზიანებული "ისეს ხის" სიმბოლური გამოსახულებაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ეს მოხატულობაც კარიბჭის გადაკეთების ეპოქასთანაა დაკავშირებული. მისი აქ წარმოდგენა უდაოდ ბაგრატიონთა საკრალური გენეოლოგიის გამომხატველ სიმბოლოდაა მოხმობილი.

სამონასტრო კომპლექსის სიახლოვეს, მისი თანადროული სოხასტერის არსებობა, რომელიც თავდაპირველად დავრდომილთა თავშესაფრად აიგო, სავარაუდოს ხდის, რომ გალავნის აღმოსავლეთ ნაწილში გასასვლელი მონასტრის დაარსების პერიოდიდანვე იქნებოდა. XVI საუკუნიდან ამ ნაწილში აგებულმა კარიბჭემ[36] მონასტრის მთავარი შესასვლელის ფუნქცია შეიძინა, თუმცა ამ გეგმარებითი ცვლილების მიზეზი ცნობილი არ არის.

მონასტრის დაარსების შემდგომ, მისი განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი XIII საუკუნეა. ამ პერიოდში აიგო წმ. გიორგის და წმ. ნიკოლოზის ეკლესიები და სამრეკლო, ისევე როგორც სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობები, რომელიც არქეოლოგიური გათხრებით გამოვლინდა.

წმ. გიორგის “სადედოფლო” ეკლესია მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით აშენდა, როგორც მისი შემცირებული ასლი, თუმცა უფრო ზესწრაფული პროპორციით, რაც მას XIII საუკუნის ქართულ არქიტექტურასთან აახლოებს. მთავარი ტაძრისგან განსხვავებით, აქ არ გვხვდება პატრონიკე. გუმბათი აფსიდის კედლებსა და ორ წრიულ სვეტს ეყრდნობა. ტაძარს დასავლეთით მიშენებული ნართექსი გარეთ სამთაღედად იხსნება. ფასადები მთავარ ტაძართან შედარებით უფრო უხვადაა მორთული.

წმ. ნიკოლოზის ეკლესია მთავარი ტაძრის დასავლეთით აკადემიის შენობისა და მთავარ ტაძარს შორის "მაკავშირებელ" სივრცედ გვევლინება, თუმცა ამასთან მხატვრული ასიმეტრიულობა შემოაქვს საერთო ანსამბლში. ეკლესია ორსართულიანია, რაც ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში ძალზე იშვიათია. მისი ქვედა სართულის ოთხივე მხარე თაღებითაა გახსნილი. ზედა სართული წარმოადგენს მცირე ზომის ჯვრული გეგმარების გუმბათიან სივრცეს, საკურთხევლის შვერილი ხუთწახნაგა აფსიდით, რომელიც დეკორატიული თაღნარითაა შემკული. სარკმლები მოჩარჩოებულია ფაქიზად პროფილირებული საპირეებით.

გვიან შუა საუკუნეებში ქვეყნის მძიმე პოლიტური და ეკონომიკური ვითარება მონასტრის განვითარებაზეც აისახა. მნიშვნელოვანი ახალი ნაგებობები აქ აღარ აგებულა, საგანმანათლებლო, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების დიდი ნაწილი გადაკეთდა და ფუნქცია არაერთხელ შეიცვალა. XVII საუკუნეში რუსი ელჩების იევლევის და ტოლჩანოვის ცნობით გალავნის შიგნით თერთმეტი ან ცამეტი პალატი იყო. XVIII საუკუნის ბოლოს გიულდენშტედტის მიერ კი უკვე მხოლოდ სამი საცხოვრებელი შენობა მოიხსენიება. დღეს შემორჩენილი სამი საცხოვრებელი ნაგებობა XIX საუკუნის მეორე ნახევრით და ადრეული XX საუკუნით თარიღდება, თუმცა ისინი გაცილებით ადრეულ ფენებზეა დაშენებული. ამ პერიოდის ნაგებობებიდან ერთ-ერთია XIX საუკუნის მიწურულს არქიტექტორ ვერცინსკის პროექტით აგებული ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის სახლი, რომლის რეაბილიტაცია გელათი

[36] Р. Меписашвили, Архитектурный ансамбль Гелати, Тбилиси, 1966; რ. მეფისაშვილი, თ. ვირსალაძე, გელათი. არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები, თბილისი, 1982.

სამონასტრო კომპლექსის კონსერვაციის გეგმის მიხედვით განხორციელდა 2015 წლს. დანარჩენი ორი საცხოვრებელი ნაგებობა 2022 წლის 10 ოქტომბერსა და 16 იანვარს გაჩენილმა ხანძრარმა ძლიერ დაზიანებულია. 2014 წლის 9 ნოემბერს ხანძარის შედეგად განადგურდა მონასტრის ეზოში საპრეზენტაციოდ გადმოტანილი XVIII საუნის ოდა სახლიც (იხ. ფოტოები).

3.4. ლანდშაფტის კულტურული და ბუნებრივი კომპონენტები

გელათის მონასტერი და მისი ბუფერულ ზონა ორგანულად განვითარებული კულტურული ლანდშაფტია[37], სადაც უხვადაა შემორჩენილია სხვადასხვა პერიოდის არქიტექტურული და არქეოლოგიური ნაშთები.

მონასტრის ბუფერული ზონის მთელს ტერიტორიაზე დაზვერილი არქეოლოგიური ნაშთების და ისტორიულ წყაროების ერთობლივი ანალიზი ტერიტორიის განვითარების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა. მოწამეთას კანიონში პალეოლითის ხანის სამოსახლო გამოქვაბულები ადასტურებს უძველესი დროიდან ამ არეალის ადამიანის მიერ გამოყენებას. საველე დაკვირვებებით ჩანს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულიდან გელათის ტაფობი თითქმის მთლიანად იყო ათვისებული. დასახლებების ნაშთები იზვერება დოხორა-საქოლავის მასივის მთისწინეთსა და ჩრდილოეთ ფერდობებამდე (ილუსტრაცია რუკა ამ პერიოდის ძეგლების).

ბუფერული ზონის საველე შესწავლამ არაერთი საერო თუ რელიგიური დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი გამოავლინა. მართვის გეგმის განახლების ფარგლებში ინფორმაცია განახლდა ასამდე ობიექტზე (იხ. დანართი 3.1. საინვენტარიზაციო სამუშაოების ანგარიში), მათ შორისაა 24 ეკლესია/ნაეკლესიარი/გელათის და მოწამეთას მონასტრების ჩათვლით; 9 ხიდი/ნახიდარი; 10 სათავდაცვო კოშკი/ნანგრევი; სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების ნაშთები, გზები, ნამოსახლარები.

მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გელათის მონასტრის მიმდებარედ არსებული, მისი თანადროული სოხასტერის კომპლექსი. წყაროების მიხედვით ის დაფუძნდა გელათის მონასტერთან ერთად, როგორც დავრდომილთა თავშესაფარი, ე.წ. ქსენონი, თუმცა XVI საუკუნიდან მან მონასტრის ფუნქცია შეიძინა. მისი არსებობა თავისებურად მოწმობს დავით აღმაშენებლის ჩანაფიქრის მასშტაბურობას. სოხასტერს გალავნით შემოზღუდული ორი ეზო აქვს. დიდი ეზოს დასავლეთით აღმართულია კარგად თლილი ქვით ნაგები XII საუკუნის დარბაზული ტიპის ეკლესია. ეკლესიას სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ეკვდრები ეკვრის, ხოლო დასავლეთიდან - ნართექსი და ექსონართექსი. ეკლესიის აღმოსავლეთით დგას სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი. კომპლექსში მხატვრობის ფრაგმენტებიცაა შემორჩენილი. დღეს სოხასტერს გელათის მონასტრისგან საავტომობილო გზა ჰყოფს, რაც აფერხებს ამ ორი კომპლექსის ერთიან სისტემად აღქმას და გააზრებას.

დოხორას მთაზე არსებული მცირე სამლოცველოების დათარიღება მიუთითებს, რომ უკვე გელათის მონასტრის დაარსების დროს ბერები მის მიმდებარე ტერიტორიასაც იყენებდნენ. XII-XIII საუკუნეებში დოხორას მთის ტყიან ფერდობებზე აქ წმ. საბას და წმ. ელიას ეკლესიები აშენდა (იხ. ფოტოები). წმ. საბას დარბაზული ტიპის ეკლესია დიდი, კარგად თლილი ქვებითაა მოპირკეთებული. სამი სადა ჯვარია ამოკვეთილი აღმოსავლეთი და სამხრეთი სარკმლებისა და დასავლეთი კარის ზღუდარზე; წმ. ელიას ასევე დარბაზულ ეკლესიას

[37] იუნესკო (2023) მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის შესრულების სამოქმედო სახელმძღვანელო.

ჩრდილოეთითა და დასავლეთით მინაშენები აქვს დამატებული. სუფთად თლილი კვადრების რეგულარული წყობა და დასავლეთი კარის გაფორმება XIX საუკუნის განახლების შედეგი უნდა იყოს. ეკლესიის კედლები XVI საუკუნეში მოიხატა გვიან შუა საუკუნეებში გავრცელებულ, ე. წ. ხალხური ნაკადის სტილში.

მონასტრის სამხრეთ-დასავლეთით, კლდოვან კონცხზე XII საუკუნის ციხის ნანგრევია შემორჩენილი, რომლის აგება დავით აღმაშენებელს მიეწერება. ესაა გელათის უშუალო სიახლოვესა და მთლიანად ბუფერულ ზონაში სათავდაცვო არქიტექტურის ერთადერთი მეტ-ნაკლებად შემორჩენილი ნიმუში (იხ. ფოტო).

ბუფერულ ზონაში ეროვნული მნიშვნელობის ძეგლია მოწამეთას სამონასტრო კომპლექსი. ის აღმართულია წყალწითელას ხეობაში მაღალ და ვიწრო კლდოვან კონცხზე, სოფელ მოწამეთას მიდამოებში. ცნობილია, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში აქ იყო ციხე და ხარების ეკლესია, რომელიც არაბთა შემოსევების დროს იქნა დანგრეული. ამ შემოსევისას მოწამეობრივად აღსრულებული არგვეთის მთავრები დავითი და კონსტანტინე დაკრძალულ იქნენ დანგრეული ეკლესიის კრიპტაში. მეფე ბაგრატ IV-მ (1027-1072) ამ ადგილას მონასტერი ააშენა და წმინდანები ეკლესიაში დაკრძალა. ამ ფაქტს უკავშირდება მონასტრის სახელწოდებაც. მონასტრის მთავარმა ეკლესიამ დღევანდელი სახე 1840-60-იან წლებში მიიღო. ეკლესია წარმოადგენს ჩაწერილი ჯვრის ტიპის ნაგებობას. ეკლესიის გამოირჩევაა საკურთხევლის მდებარეობით, რომელიც ჩრდილოეთითაა მიმართული. XVIII საუკუნიდან, ყოველ 15 ოქტომბერს, მონასტერში აღინიშნება წმინდანთა ხსენების დღე (ორწიფობა).

სოფელ გელათს ჩრდილოეთით კიდევ ერთი ისტორიული სოფელი - კურსები ესაზღვრება. აქ შემორჩენილია სხვადასხვა პერიოდის რამდენიმე ისტორიული ძეგლი, რომელთაგან მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით გამორჩეულია ზენობანის მაცხოვრის ეკლესია. დარბაზული ტიპის შენობა X-XI საუკუნეების მიჯნაზეა აგებული. ფასადები თლილი კვადრებით არის მოპირკეთებული. სამხრეთი კარის ზღუდარზე ამოკვეთილი სამშენებლო წარწერა თითქმის აღარ გაირჩევა. გრძივ ფასადებზე თარო-კარნიზის ქვეშ ლომის, არწივის, ხარისა და ვერძის ჰორელიეფური გამოსახულებებია. ეკლესიის მოხატულობა XIII საუკუნის I ნახევრით თარიღდება. საუფლო დღესასწაულების ამსახველი (ის წმ. ევსტათესა და წმ. გიორგის გამოსახულებებსაც შეიცავს) ხალხური ნაკადის მხატვრობა სტილისტური ნიშნებითა და იკონოგრაფიული თემების შერჩევით დიდ მსგავსებას ავლენს გელათის წმინდა გიორგის ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთის მოხატულობასთან, რაც იმ დროისათვის გელათიდან მომდინარე ერთიანი მხატვრული ტრადიციის არსებობას ცხადყოფს[38].

ბუფერული ზონის მიმდებარე ძეგლებიდან აღსანიშნავია X-XI საუკუნეების მიჯაზე აგებული ცუცხვათის (უნაგირას) წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია (აღდგენილ იქნა 2020 წელს)[39]. ადგილობრივი ტრადიცია, ცუცხვათის ეკლესიას ბაგრატოვანთა სამეფო გვარის ჩვილთა დასაკრძალავ ადგილად მიიჩნევს. ეკლესიაში შემორჩენილი კანკელის უჩვეულო იკონოგრაფია - მეფე ჰეროდეს დამლახვრელი წმ. გიორგი - შესაძლოა სწორედ ამ კონტექსტს უკავშირდებოდეს[40].

ბუფერულ ზონაში მეტ-ნაკლებად შემორჩენილი სხვადასხვა მოხაზულობის ცხრა ხიდია წყალწითელაზე, მის შენაკად მდინარე ქორენაზე და საკირეს ღელეზე. თუმცა ისტორიული

[38] მ. დიდებულიძე, ზენობანის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა, *მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, 1990, 1, გვ. 160-175; მ. ბულია, მ. ჯანჯალია, *ქუთაისი, საქართველოს ძველი ქალაქები*, თბილისი, 2006, გვ. 150.

[39] https://www.heritagesites.ge/ka/news_item/506

[40] ე. გედევანიშვილი, ბიბლიური მოდელების ასახვა წმინდა გიორგის იკონოგრაფიაში (ურთხვის კანკელისა (XI ს.) და ცუცხვათის რელიეფის (X-XI სს.) მაგალითებზე), მოხსენება წაკითხული საერთაშორისო კონფერენციაზე ,,ბიბლია სიტყვებსა და სახეებში, თბილისი, 27-29 მაისი, 2022, აბსტრაქტები, გვ. 18-19.

გზების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ზოგიერთი მათგანის ადგილზე ხიდი XII საუკუნეშიც იქნებოდა (ილუსტრაცია ისტორიული გზების სქემა).

გელათის მონასტრის ბუფერულ ზონაში დღემდე შემორჩენილია შუასაუკუნეების რამდენიმე ისტორიული გზა. ქუთაისიდან გელათისკენ მიმავალი საავტომობილო გზა ძველი გზის კონტურს იმეორებს. თავად სოფელ გელათში ასევე შემორჩენილია სამხრეთიდან მიმავალი საფეხმავლო გზა. ,,დავითის გზის" სახელით ცნობილი ეს გზა რამდენჯერმე იტოტება. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია აღმოსავლეთი განშტოება, რომელიც სოფელ გოდოგანისკენ მიემართება და მასზე გამავალ ,,ქართლის შარას" (ნერგეეთი) უერთდება. ეს ისტორიული გზა, რომლის ავთენტური ნაწილები დღემდეა შემორჩენილი, საუკუნეების განმავლობაში აკავშირებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს[41]. გელათიდან გამომავალი გზის სამხრეთი ტოტი მოწამეთასკენ მიემართება. დღეს ის არეალის ერთ-ერთი ტურისტული მარშრუტია.

დოხორას მთის ფონზე გაშენებული გელათის მონასტერი ლანდშაფტის არქიტექტურული დომინანტია. მონასტრის სილუეტი შორი მანძილიდანვე მკაფიოდ იკვეთება ტყიანი ფერდობის ფონზე (ფოტო). ამ უნიკალური სილუეტის დაცვა ძეგლის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების შენარჩუნების ერთ-ერთი წინაპირობა და ტერიტორიის მართვის მნიშვნელოვანი ამოცანაა.

გელათის მონასტრის ლანდშაფტი დოხორას მთის ტყიანი ფერდობებით, ტაფობში გაშლილი სოფლებითა და შემოგარენში გაბნეული სხვადასხვა პერიოდისა და ტიპოლოგიის კულტურული მემკვიდრეობით ძეგლის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების აღქმისათვის უმნიშვნელოვანესი ისტორიული გარემოა, რომელსაც თავისთავად მაღალი ისტორიული და კულტურული ღირებულება გააჩნია. ამ გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარებისთვის გადაუდებლად საჭიროა შესაბამისი სივრცითი რეგულაციების შექმნა.

ილუსტრაცია - რუკა გამოვლენილი და დაზუსტებული ობიექტებით

3.4.1 ლანდშაფტის ბუნებრივი კომპონენტები

გელათის მონასტრის ლანდშაფტის მთავარ ბუნებრივ კომპონენტებს მდინარე წყალწითელა და მისი მიმდებარე ტყიანი ფერდობები და კლდოვანი ფლატეები წარმოადგენს. არეალის ბუნებრივმა პირობებმა (რელიეფი, ზომიერად ნოტიო და თბილი კლიმატი) განაპირობა ფართოფოთლოვანი კოლხური ტიპის ტყის ჩამოყალიბება, რომელიც ადრეულ შუასაუკუნეებში არეალის უდიდეს ნაწილს ფარავდა. ადამიანის მიერ მრავალსაუკუნოვანი გამოყენების შედეგად, ბუნებრივი ტყის ადგილი უმეტესად სასოფლო-სამეურნეო მიწებმა, მეორადმა ბუჩქნარმა, საძოვრებმა და დასახლებებმა დაიკავა. დღეისათვის ბუნებრივი ტყე ძირითადად შემორჩენილია დოხორას მთასა და მიმდებარე ფერდობებზე. ტერიტორიის ბუნებრივი კომპონენტების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეტანილია მართვის გეგმის 2017 წელს განახლებულ ვერსიაში.

[41] memkvidreoba.gov.ge/Home/Immovable/8422

3.5. კონსერვაციის ისტორია და ამჟამინდელი მდგომარეობა

გელათის მონასტრის თანამედროვე გაგებით კონსერვაცია-რესტავრაციის ისტორია თითქმის საუკუნეს მოიცავს. მონასტრის ნაგებობები 1952-1954 წლებში აზომეს რუსუდან მეფისაშვილმა და ვახტანგ ცინცაძემ[42]. 1953 წელს ჩატარდა ღვთისმშობლის ტაძრის ნართექსის კედლის მხატვრობის გაწმენდა-გამაგრება (მხატვარ-რესტავრატორი შალვა აბრამიშვილი). მოხატულობის ერთი ფრაგმენტი, რომელიც ჩამოვარდნის პირას იყო, გადაიტანეს ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში[43]. ამავე წელს შ. აბრამიშვილმა გაწმინდა და გადაუდებელი ღონისძიებები ჩაატარა სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერის, სამხრეთი კარიბჭის და ჩრდილო-აღმოსავლეთი კარიბჭის კედლის მხატვრობაზე[44]. 1970-იან წლებში მთავარ ტაძარზე განახლდა თუნუქის სახურავი და ფანჯრების ალათები, მოეწყო სარინელი[45]. 1979-1981 წლებში საკონსერვაციო სამუშაო ჩატარდა ჩრდილოეთი მინაშენის ოთხივე სათავსის მხატვრობაზე. გამაგრდა ბათქაში, გაიწმინდა და გამაგრდა ფერწერული ფენა, გაკეთდა თაბაშირის ქიმები და შევსებები. გაიხსნა სამხრეთ-დასავლეთი ეკვდერის მოხატულობის ადრეული (XIII ს.) ფენა. სამუშაოს აწარმოებდა მხატვარ-რესტავრატორთა ჯგუფი ამირან გოგლიძის ხელმძღვანელობით[46]. 1984-1989 წლებში გამაგრდა ღვთისმშობლის ტაძრის ცენტრალური სივრცის მოზაიკა და განხორციელდა მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოები (მხატვარ-რესტავრატორი კარლო ბაკურაძე)[47]. 1985-1990 წლებში გამაგრდა სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერის და სამხრეთი კარიბჭის მხატვრობაზე, გაკეთდა მოხატულობების ბათქაშის ქიმები და შევსებები. სამუშაო განახორციელა რესტავრატორთა ჯგუფმა ვლადიმერ გურგენაძის ხელმძღვანელობით.

საბჭოთა პერიოდის შემდგომ ჩატარებული სამუშაოებიდან განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს 2008 წელს შემუშავებული კონსერვაციის გენერალური გეგმა (დამტკიცდა 2009 წელს, განახლდა 2015 წელს), რომელიც საფუძვლად დაედო მონასტრის გრძელვადიანი კონსერვაცია-რესტავრაციის და განვითარების პროცესს.

კონსერვაციის გენერალური გეგმის მიხედვით ბოლო ათწლეულის განმავლობაში განხორციელდა:

- წმ. ნიკოლოზის ეკლესიის კონსერვაცია და რესტავრაცია;
- აკადემიის შენობის კონსერვაცია და რესტავრაცია და მისი გადახურვის აღდგენა;
- სამრეკლოს კონსერვაცია და რესტავრაცია;
- მღვდელმთავარ გაბრიელ ქიქოძის სახლის კონსერვაცია და რესტავრაცია;

---

[42] სამუშაოების ამსახველი დოკუმენტაცია გამოქვეყნებულია წიგნში: Р. Меписашвили, Архитектурный ансамбль Гелати, Тбилиси, 1966.

[43] Т. Вирсаладзе, Фрагменты древней фресковой росписи главного гелатского храма, Ars Georgiaca,V, Тб., 1959, გვ. 165, შენ. 4.

[44] საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის არქივი, ფოტოსურათები # 13113-13132/493; # 14382-14411/509.

[45] საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის არქივი, ფოტოსურათები n# 40578-40588/754; # 39459-39477/746.

[46] შესაბამისი დოკუმენტაცია არ შემდგარა. ჩრდილოეთი მინაშენის ოთხივე სათავსის ფრესკები გადაღებულია 1979 წელს რესტავრაციამდე (საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის არქივი, # 45377-45605/788).

[47] ლ. ხუსკივაძე, *გელათის მოზაიკა*, თბილისი, 2005, გვ. 9-13. სამუშაოების ანგარიშის ელექტრონული ვერსია განთავსებულია გელათის რეაბილიტაციის კომიტეტის ვებგვერდზე https://gelatirehabilitation.ge/uploads/documents/docs/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%90%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%AB%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

- სამხრეთი კარიბჭის გაწმენდა, კონსერვაცია და რესტავრაცია;
- აღმოსავლეთი კარიბჭის რესტავრაცია;
- წმ. გიორგის ეკლესიის კედლის მხატვრობის კონსერვაცია;
- მთავარი ტაძრის გუმბათის კედლის მხატვრობის კონსერვაცია;
- მთავარი ტაძრის გუმბათის სახურავის მოწყობა;
- წმ. გიორგის ტაძრის გუმბათის სახურავის მოწყობა;
- მთავარი ტაძრის გუმბათის ქვის კონსერვაცია;
- მთავარ ტაძრის გუმბათის გამაგრება არმირებული კირის სარტყლით.
- მთავარი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ეკვდერის და სამხრეთის კარიბჭის კედლის მხატვრობის კონსერვაცია;
- მთავარი ტაძრის ცოკოლის კონსერვაცია;
- მთავარი ტაძრის ეკვდერების სახურავის მოწყობა;
- მთავარი ტაძრისა და ეკვდერების მოხატულობის გადაუდებელი კონსერვაცია;
- მთავარი ტაძრის ქვედა კორპუსის სახურავის მოწყობა;
- წმ. გიორგის ტაძრის ქვედა კორპუსის სახურავის მოწყობა.
- კომპლექსის ტერიტორიაზე გამოვლენილი ისტორიული სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია;
- ე.წ. ზეთსახდელის რეაბილიტაცია;
- გელათის მონასტრის მისასვლელი გზისა და საყრდენი კედლის რეაბილიტაცია;
- გელათის ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა;
- გელათის ვიზიტორთა ცენტრის წინ არსებული დავითის წყაროდან გამყვანი გვირაბის რეაბილიტაცია.

საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების დასრულებდან მალევე, 2019 წელს, მთავარი ტაძრისა და წმ. გიორგის ტაძრის ახალი, მოჭიქული კრამიტით მოწყობილი სახურავებიდან ინტერიერში წყალი ჩავიდა, რამაც დააზიანა შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა. ინფილტრაციის მიზეზად 2016-2019 წლებში კრამიტით სახურავების მოწყობის არასწორი მეთოდი და მასალის დაბალი ხარისხი დასახელდა. 2019 წელს გადაუდებელი ჩარევა განხორციელდა ღვთისმშობლის ტაძრის მთავარი სივრცის ჩრდილოეთ მკლავის მხატვრობაზე, ხოლო 2020 წლის აგვისტოში გადაუდებელი ჩარევა განხორციელდა წმ. გიორგის სახელობის ტაძრის სამხრეთი კედელის დონორის ფიგურაზე. 2020-2021 წლებში ორივე ტაძარი თუნუქის დროებითი სახურავებით გადახურეს. 2020 წლიდანვე, დაიწყო კედლის მხატვრობის მდგომარეობის ეტაპობრივი მონიტორინგი, მთავარ ტაძარში, მხატვრობის მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით, 2021-22 წელს განხორციელდა გადაუდებელი სამუშაოები, თუმცა პრობლემების აღმოფხვრა ვერ მოხერხდა[48]. 2022 წლის მიწურულს დასავლეთი მკლავის თავზე აიხადა სახურავი და მის ქვეშ სივრცე გასუფთავდა შემავსებელი მასისაგან. ამჟამად აქ მოწყობილია თუნუქის დროებითი სახურავი ხის ნივნივებზე. თუნუქის დროებითი სახურავები არ აღმოჩნდა საკმარისი ძეგლების წყლის ინფილტრაციისაგან დასაცავად. 2024 წლის თებერვალ-მარტში ძლიერი ქარისა და წვიმის დროს წყალმა კვლავ შეაღწია მთავარი ტაძრის ინტერიერში. 2024 წლის მარტიდან ღვთისმშობლის შობის ტაძარში კვლევისა და მონიტორინგის პარალელურად დაიწყო საკონსერვაციო ფიზიკური ჩარევების მეთოდოლოგიის შემუშავება, რაც მოიცავს საველე ლაბორატორიულ პირობებში მასალების განვითარებასა და ძეგლზე ტესტირებას.

[48] კონსერვაციის მდგომარეობის და განხორციელებული ჩარევების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: https://gelatirehabilitation.ge/ka/painting

2023 წლიდან წამყვანი საერთაშორისო და ქართველი სპეციალისტების გუნდების მიერ მიმდინარეობს კედლის მხატვრობის და მოზაიკის, არქიტექტურული და კონსტრუქციული კვლევა, მონიტორინგი და ანალიზი, დამუშავდა და იუნესკოსთან შეთანხმდა მთავარი ტაძრის ერთიანი დროებითი გადახურვის პროექტი, რომელიც ხორციელდება 2024 წელს.

კონსერვაციის მიმდინარე ანგარიშები რეგულარულად ქვეყნდება პროექტის ვებგვერდზე www.gelatirehabilitation.ge. ვებგვერდი შეიქმნა გელათის დროებითი კომიტეტის ინიციატივით, რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და ფართო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. გარდა მიდინარე სიახლეებისა, აქ ასევე თავმოყრილია 2007 წლიდან დღემდე გელათის მონასტერის შენობებზე ჩატარებული კვლევითი და საკონსერვაციო სამუშაოების ამსახველი დოკუმენტაცია, საარქივო ფოტოები, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილებები და მისიების ანგარიშები.

DRAFT



კონსერვაციის გენერალური გეგმის განხორციელება

- აკადემიის შენობის კონსერვაცია-რესტავრაცია და გადახურვა
- წმ. ნიკოლოზის ეკლესიის და სამრეკლოს კონსერვაცია-რესტავრაცია და მოჭიქული კრამიტით გადახურვა
- ქიქოძის სახლის რესტავრაცია, კრამიტით გადახურვა
- სამხრეთი კარიბჭის კონსერვაცია-რესტავრაცია კრამიტით გადახურვა;
- აღმოსავლეთი კარიბჭის რესტავრაცია, კრამიტით გადახურვა
- წმ. გიორგის ეკლესიის კედლის მხატვრობის კონსერვაცია; მოჭიქული კრამიტით გადახურვა.
- მთავარი ტაძრის გუმბათის მხატვრობის კონსერვაცია; გუმბათის ქვის კონსერვაცია; გუმბათის გამაგრება არმირებული კირის სარტყლით; ეკვდერების მოხატულობის კონსერვაცია; ცოკოლის კონსერვაცია; მოჭიქული კრამიტით გადახურვა;

3.5.1. **არქეოლოგიური კვლევები**

მიუხედავად მისი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობისა, გელათის მონასტრის ტერიტორიის სისტემური არქეოლოგიური შესწავლა არც საბჭოთა პერიოდში და არც მას მერე არ განხორციელებულა. არქეოლოგიური დაზვერვები და გათხრები უმეტესად საკონსერვაციო სამუშაოების თანმხლებად ხორციელდებოდა და არა როგორც დამოუკიდებელი კვლევითი პროცესი. პირველი არქეოლოგიური კვლევები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეების 40-იან წლებში განხორციელდა გიორგი წერეთლისა და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ.

კონსერვაციის მასტერგეგმის დამუშავების და შემდგომი კონსერვაცია-რესტავრაციის პროცესების პარალელურად 2007-2019 წლებში მონასტრის ტერიტორიაზე არქეოლოგიურმა შესწავლამ შედარებით რეგულარული სახე მიიღო. კვლევები განხორციელდა ქუთაისის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ხელმძღვანელობით. ამ სამუშაოების დროს, მონასტრის ნაგებობათა კონსერვაციისათვის და მათი ისტორიის უკეთ გაგებისათვის მნიშვნელოვანი მასალა იქნა გამოვლენილი[49].

2007-2008 წლებში 15 არქეოლოგიური და 32 გეოლოგიური შურფის მონაცემებზე დაყრდნობით გამოვლინდა არქეოლოგიურად მგრძნობიარე მონაკვეთები[50] (იხ. 2008 წლის გეგმა). მიღებულმა მონაცემებმა დაადასტურა ადრე წერილობით წყაროებზე დაყრდნობით გამოთქმული მოსაზრება გელათში ადრეული შუა საუკუნეების ნაგებობათა არსებობის თაობაზე. სწორედ გათხრების შედეგად ნაპოვნი სხვადასხვა შეფერილობის მოჭიქული კრამიტი დაედო საფუძვლად მონასტრის შენომების კრამიტით გადახურვის იდეას, რომელიც 2016-2019 წლებში მთავარი ტაძრის გადახურვით დასრულდა.

აკადემიის ინტერიერში გათხრებმა გამოავლინა თავდაპირველი ქვის მერხები და ღვინის მარანი XII-XV საუკუნეების და შემდგომი არქელოგიური ფენებით. 2009 წელს აკადემიის ჩრდილოეთით გამოვლინდა XIII-XIV საუკუნეების გრძელი კამაროვანი დერეფანი, ორივე მხარეს სხვადასხვა ზომისა და პერიოდის სათავსებით, XIII საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნის დასაწყისამდე (იხ. გათხრების გეგმა).

გამოვლენილი ნაშთები დაკონსერვდა და გადაიხურა. თუმცა, დღეისათვის გადახურვა მოხსნილია. არქეოლოგიური ნაშთების კონსერვაცია გადაუდებელ გადაწყვეტას საჭიროებს.

2010 წელს მონასტრის სამხრეთ კარიბჭესთან გამოვლინდა სამი არქეოლოგიური ფენა (იხ. გაშხრების ჭრილი). გაითხარა XII საუკუნის საფეხურები, რომლებიც მიემართება დავითის საფლავიდან სამხრეთით, მოკირწყლული გზისკენ. ბოლო საფეხურთან გამოვლინდა XII საუკუნის დასაწყისის საფლავი[51] (ფოტო).

2018 წელს არქეოლოგიური მეთვალყურეობის ქვეშ განხორციელდა მონასტრის XIII-XIV საუკუნეების მიჯნის სადრენაჟო სისტემის გამოვლენა, გახსნა და გაწმენდა. როგორც სამუშაოებმა აჩვენა, სანიაღვრეები მონასტრის მთელ ტერიტორიაზე იყო მოწყობილი[52].

---

[49] ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, არქეოლოგიური კვლევები გელათსა და მოწამეთაში, *ძველი ხელოვნება დღეს*, 1, 2010, გვ. 14-20;

[50] ო.ლანჩავა, რ. ისაკაძე, არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ტაძარში, გელათსა და მოწამეთაში 2008-2009 წლებში, *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში*, 20, 2011, გვ. 153-160.

[51] ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, გელათი, დავით აღმაშენებლის კარიბჭე (არქეოლოგიური კვლევის შედეგები), *ძველი ხელოვნება დღეს*, 2, 2011, გვ. 20-24.

[52] ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, შ. ბუაძე, ნ. სილაგაძე, გელათში წმ. გიორგის მიმდებარედ 2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის ანგარიში, ქუთაისი, 2019, გვ. 1-2; gelatirehabilitation.ge/uploads/documents/docs/2019.pdf

2019 წელს არქეოლოგიური სამუშაოები გაგრძელდა წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთით. გამოვლინდა არქეოლოგიური ფენები გვიანანტიკური ხანიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით, მათ შორის II-III საუკუნეების ქვევრსამარხი, VIII-IX საუკუნეების ნაგებობა, რომელიც XII-XIII საუკუნეებში მნიშვნელოვნად გადაუკეთებიათ. ამ პერიოდში მის სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებაზე მიუთითებს მარნის, თონისა და მაცივრის ნაშთები. ასევე გამოჩნდა XIII საუკუნის სადრენაჟე არხი, რომელიც 1510 წელს გაუქმდა; გაითხარა 1510 წელს მონასტრის გადაწვის შემდეგ გაჩენილი ღია მარანი და ხის ნაგებობა (ილუსტრაცია გათხრების გეგმა) ტერიტორიის შესწავლის შემდეგ, გამოვლენილი არქეოლოგიური ნაშთები კონსერვაციის მიზნით კვლავ მიწით დაიფარა. აღნიშნული ინფორმაციის ინტერპრეტაცია და დამთვალიერებლებისათვის რაიმე სახით პრეზენტაცია ჯერჯერობით არ მომხდარა [53].

გელათის მონასტერში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი არქიტექტურული ნაშთების ზედამხედველობას და მოვლა-პატრონობას კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი ახორციელებს. ტერიტორიის დასუფთავებას და ზოგად მოვლა-პატრონობას მონასტრის თემი უძღვება. შესაბამისი ცოდნისა და უნარების ნაკლებობიდან, ასევე ადმინისტრირება-დაფინანსების სირთულეებიდან გამომდინარე არქეოლოგიური ნაშთების მდგომარეობა დღეისათვის მეტად არასახარბიელოა.

[53] იქვე, გვ. 3-18.

3.6. ზემოქმედების ფაქტორები

3.6.1. ბუნებრივი გარემო პირობები

როგორც ბოლო ათწლეულების დაკვირვება ადასტურებს ანსამბლის არქიტექტურული კომპონენტების, მოზაიკისა და კედლის მხატვრობის ფიზიკური მდგომარეობის მთავარი საფრთხე მაღალი ტენიანობა და ნესტია. ქარისა და წვიმის დროს სახურავიდან წყლის შეღწევა ისევე როგორც აღმავალი ნესტი ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი პრობლემაა, რომელიც ძეგლის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტების შეუქცევად დაზიანებას იწვევს.

საქართველო საშუალო სეისმურობის რეგიონია. ისტორიული ცნობებითა და ხელსაწყოებით გაზომილი მონაცემებით, ამგვარ რეგიონში შესაძლებელია 7 მაგნიტუდიანი მიწისძვრა და მაკრო სეისმური ეფექტი 9 ბალამდე. იკომოსისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივმა საკონსულტაციო მისიამ (21-25 იანვარი, 2015) რეკომენდაცია მისცა სახელმწიფო მხარეს ,,ჩაატაროს სეისმური აქტივობების ისტორიული ანალიზი ძეგლის რეგიონის მიკროზონაში, რამაც უნდა მოიცვას ამ აქტივობათა მახასიათებლების (მაგნიტუდა, ინტენსივობა, ეპიცენტრი და სიხშირე) სისტემატური აღნუსხვა და შესაბამისი შედეგები“. ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით, მთავარი ტაძრის გუმბათზე დამონტაჟდა სამეთვალყურეო ელექტრონული ხელსაწყო სეისმური აქტივობის მონიტორინგისათვის.

მონასტრის ნაგებობებისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ზემოქმედების ფაქტორია ძლიერი ქარი. მაგალითად 2024 წლის თებერვალში, მონასტრის ტერიტორიაზე განლაგებულმა მეტეოროლოგიურმა სადგურმა 30 მ/წმ-ზე ძლიერი ქარი დააფიქსირა. გრიგალს თან ახლდა ძლიერი წვიმა, რამაც ტაძრების ინტერიერში ნალექის შეღწევა გამოიწვია.

3.6.2. ვიზიტორთა პოტენციური ზემოქმედება

გელათის მონასტერი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული ადგილია საქართველოში, თუმცა რაიმე საგანგებო რეგულაცია არ არის დაწესებული. ვიზიტორთა რაოდენობასთან დაკავშირებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. ტურისტების უკონტროლო მიმოსვლის ძეგლზე ამჟამინდელი ან პოტენციური ზეგავლენა უცნობია, თუმცა მრავლადაა საბჭოთა პერიოდში ვანდალიზმის აქტები სამახსოვრო ნაკაწრების და წარწერების სახით. ვიზიტორთა მეთვალყურეობა, უსაფრთხოების დაცვა და სისუფთავის შენარჩუნება დღეისათვის არ არის სათანადოდ ორგანიზებული.

3.6.3. ხანძარი

ბოლო წლების მოვლენების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ხანძარი მონასტრის ყველაზე სერიოზული ხელოვნური საფრთხეა. 2014-2022 წლებში მონასტრის ტერიტორიაზე ბერების საცხოვრებელი სამი ისტორიული შენობა დაიწვა. ბოლო ხანძარს კი თავად არქიმანდრიტი იოსებ ბურჯანაძე ემსხვერპლა. სამონასტრო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემის დანერგვა გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ფოტო დამწვარი შენობების

DRAFT

3.6.4 შეუსაბამო ახალმშენებლობები

გელათის მონასტრის და სოხასტერის მიმდებარედ მიწების რეგისტრაცია კერძო საკუთრებაში ამ ნაკვეთებზე სამშენებლო განვითარების პოტენციურ შესაძლებლობას განაპირობებს. დოხორას ფერდის განაშენიანება პირდაპირ საფრთხეს უქმნის ძეგლის ჰარმონიულ აღქმას ბუნებრივი ლანდშაფტის ფონზე და შესაბამისად, ზოგადსაკაცობრიო ღირებულების (მახასიათებელი 4) ხელყოფად მოიაზრება.

აღნიშნული ტერიტორიის განაშენიანებისგან დაცვა ქალაქმშენებლობითი გეგმების ერთ-ერთი ამოცანად უნდა დაისახოს. გეგმების შემუშავებამდე, შესაძლებელია დროებითი რეგულირების რეჟიმის დაწესებაც, თუმცა როგორც საქართველოში სხვა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების პრაქტიკა აჩვენებს, დროებითმა გადაწყვეტამ საკითხის გადაჭრის განუსაზღვრელი დროით გადავადებაც შეიძლება გამოიწვიოს.

მიუხედავად იმისა რომ სამონასტრო და რელიგიური ფუნქცია გელათის მონასტრის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების ერთ-ერთი მახასიათებელია, სამონასტრო ინფრასტრუქტურის შეუსაბამო განვითარებამაც შესაძლოა საფრძხე შეუქმნას ძეგლის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებას, თუკი არ იქნება ერთიანად, ჰარმონიულად დაგეგმილი და დამუშავებული. 2008 წლის კონსერვაციის გეგმაში და მის განახლებულ ვერსიაში მოცემული იყო მონასტრის კეთილმოწყობისა და გაფართოების შესაძლებლობა. დღეისათვის ეს საკითხი ნაწილობრივ დაბალანსებულია, რადგან ბერები და მორჩილები გელათის მონასტრის სიახლოვეს დოხორას მთაზე ახლადაშენებულ საცხოვრებელ-სამეურნეო კომპლექსსაც იყენებენ. თუმცა, მონასტრის ტერიტორიაზე სამონასტრო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა კვლავ რჩება ძირითად გამოწვევად. სამონასტრო ფუნქციის აღორძინება-განვითარება უნდა წარიმართოს ძეგლის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების დაცვით და მის მახასიათებლებთან ჰარმონიაში.

DRAFT

3.7. ბუფერული ზონის სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები

3.7.1. მოსახლეობა და სოციალური ინფრასტრუქტურა

გელათის მონასტერი და მისი ბუფერული ზონის უდიდესი ნაწილი ტყიბულის მუნიციპალიტეტის ნაწილს წარმოადგენს (იხ. თავი 4). მთლიანად მუნიციპალიტეტში 16 848 მოსახლე ცხოვრობს (2023)[54]. კურსების რეგიონული თემი 1603 მაცხოვრებლით (820 ოჯახი, თემის რწმუნებულის მიერ მოწოდებული ინფორმაციით) წარმოადგენს თემის ადმინისტრაციულ ცენტრს და სოფელ კურსების გარდა ასევე მოიცავს გელათსა (408 კაცი) და მოწამეთას (187 კაცი) (2014)[55]. თემს ემსახურება ორი საჯარო სკოლა კურსებსა და გელათში. 2023 წლის მონაცემით კურსების სკოლაში 150, ხოლო გელათის სკოლაში 140 მოსწავლე სწავლობს. დაწყებითი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ფუნქციონირებს ორი საბავშვო ბაღი, რაც ქალთა დასაქმების ხელშეწყობისთვის მეტად მნიშვნელოვანია. თემში ასევე ხელმისაწვდომია პირველადი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა ორი ამბულატორიის სახით. უფრო კომპლექსურ ჯანდაცვის მომსახურებას ადგილობრივი მოსახლეობა ტყიბულსა და ქუთაისში იღებს.

2002, 2014 და 2023 წლებში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერები ტყიბულის მუნიციპალიტეტში მკვეთრ დემოგრაფიულ კლებას აჩვენებს. კურსების თემის წარმომადგენლების თქმით, დემოგრაფიული კლების მნიშვნელოვანი ფაქტორი ახალგაზრდების გადინებაა. ზესტაფონში და ქუთაისში არსებული პროფესიული კოლეჯები გარდა ხელოსნობისა (სამშენებლო საქმე, ქვის დამუშავება, ელექტრო, სანტექნიკა ა.შ.) მომსახურების და სტუმართმასპინძლობის სფეროს კადრებსაც ამზადებს, მათ შორის არის ტურისტული გიდების კურსი, რომელიც თანამშრომლობს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციასთან (DMO). უმაღლესი განათლების მიღება ახალგაზრდებს ქუთაისში, ბათუმსა და თბილისში შეუძლიათ.

არსებულ საგანმანათლებლო და პროფესიული ინფრასტრუქტურას აქვს პოტენციალი შექმნას კრიტიკულად მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსი გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლისა და მისი ბუფერულ ზონაში სხვადასხვა პროგრამების განხორციელებისა თუ ძეგლის მართვაში მონაწილეობისთვის. კულტურული მემკვიდრეობის და გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის საკონსერვაციო თუ სხვა პრიორიტეტთან სასწავლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა ახალგაზრდების ადგილზე დასაქმებას შეუწყობს ხელს.

3.7.2. საკუთრება

2002 წელს საქართველოს სახელმწიფოსა და სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ხელმოწერილი საკონსტიტუციო შეთანხმების საფუძველზე, გელათის მონასტრის მესაკუთრეა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებელი ეკლესია (საკადასტრო კოდი: 39.07.31.362). მონასტრის ტერიტორია სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთადა დარეგისტრირდა 2023 წელს. საკადასტრო რუკის მიხედვით, მონასტერს გარს ეკვრის სოფლის

[54] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2023) ქალაქების და დაბების მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba.

[55] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/737/mosakhleobis-2014-tslis-saqoveltao-aghtseris-shedegebi

მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები, რომლებზედაც საცხოვრებელი სახლებია განთავსებული და ასევე ერთი არასასოფლო-სამეურნეო ტიპის ნაკვეთი (ილუსტრაციასაკუთრების რუკა).

კერძო საკუთრებაშია გელათის მონასტრის გალავნის შიგნით არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლით (რეგისტრაციის ნომერი: 39.07.31.121). აქ მცხოვრები ჯანგავაძეების ოჯახი საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული 'ძეგლის მცველის' მოვალეობას ასრულებდა, რამაც განაპირობა 2016 წელს მონასტრის ისტორიული გალავნის შიგნით მდებარე ქონებაზე კერძო საკუთრების უფლების რეგისტრაცია მონასტრის თანხმობითა და ხელშეწყობით. ჯანგავაძეების კარ-მიდამო მონასტრის დანარჩენი ტერიტორიისაგან ქვის კედლითაა გამიჯნული. რომელშიც ჩართულია არქეოლოგიური კვლევების შედეგად გამოვლენილი, სავარაუდოდ IX საუკუნის ეკლესიის ნაშთები[56].

სახელმწიფო საკუთრებაშია მიწის ნაკვეთები მონასტრის აღმოსავლეთ კარიბჭის მიმდებარედ (რეგისტრაციის ნომრები: 39.07.30.248; 39.07.31.007; 39.07.31.057), რომელზედაც განლაგებულია ავტოსადგომი, ვიზიტორთა ცენტრი და სუვენირების გასაყიდი დახლები. ასევე სახელმწიფოს საკუთრებაშია მონასტრის მიმდებარე ტყეები და მდინარე წყალწითელა, რომელიც ბუფერულ ზონას კვეთს.

რეგისტრირებული არ არის მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სასაფლაო, რომლის ტერიტორია თითქმის სრულადაა ათვისებული. მუნიციპალიტეტის მიერ სოფლის სასაფლაოსათვის ახალი ტერიტორიის გამოყოფა გადასაჭრელ საკითხად რჩება.

მიწის საკუთრების მხრივ განსაკუთრებულად საფრთხილოა მოსახლეობის მიერ სასოფლო თუ არასასოფლოსამეურნეო მიწების უკონტროლო რეგისტრაცია. მაგალითად, სოხასტერის მიმდებარე ტერიტორია კერძო საკუთრებაშია, აქ უკვე აგებულია ერთი შეუსაბამო დიზაინის საცხოვრებელი ნაგებობა, რომელიც ვიზუალურად იჭრება გელათის აღქმის არეალში. ასევე ინტენსიურად ხდება წყალწითელას ხეობაში თუ სორმონის ქედზე ახალი ნაკვეთების კერძო საკუთრებად დარეგისტრირება. ტრადიციული არქიტექტურის ნაცვლად, ფეხს იკიდებს სამკუთხა ასაწყობი კოტეჯები, რომელიც გაცილებით იაფი ჯდება.

კონკრეტული ქალაქმშენებლობითი შეზღუდვების და დიზაინის სახელმძღვანელოს არარსებობის პირობებში, მიწის რეგისტრაცია პოტენციური შეუსაბამო მშენებლობის წინაპირობად მოიაზრება. მიწის მესაკუთრეებისა და ძეგლის ისტორიული ლანდსაფტის დაცვის ინტერესებს შორის კონფლიქტი დღესდღეობის მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის ავტორიტეტით წყდება[57], თუმცა ეს პრობლემის გრძელვადიანი გადაჭრის საშუალებას არ იძლევა.

3.7.3. დასაქმება და ძირითადი ეკონომიკური სექტორები

ბუფერულ ზონაში მიზნობრივი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული კვლევა არ განხორციელებულა, ამიტომ წინამდებარე მონაცემები ეყრდნობა წინა მართვის გეგმაში მოყვანილ შეფასებებს (2017), მართვის გეგმის განახლების ფარგლებში განხორციელებულ საველე დაკვირვებებს და ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვას (2023-2024).

[56] თარიღი მითითებულია ისტორიკოს გ. გაგოშიძის მოსაზრების მიხედვით.

[57] სამშენებლო პროექტებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს უგზავნის შესაფასებლად. გარდა იმისა, რომ ეს მეტად ახანგრძლივებს განხილვის პროცესს, ასევე ართულებს შეფასებას.

გელათის მონასტრის ბუფერულ ზონაში მდებარე სოფლების გელათის, მოწამეთასა და კურსების მცხოვრებთა უმეტესობა მეტ-ნაკლებად ეწევა სოფლის მეურნეობას საოჯახო საჭიროებებისთვის – მათ შორის ის ოჯახებიც, რომელთა ძირითად შემოსავალს საჯარო სექტორსა და კერძო კომპანიებში დასაქმება წარმოადგენს. მოსახლეობის უმრავლესობისთვის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მთავარი საარსებო წყარო არაა. მოსახლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქტს ბაზრისთვის. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დასაქმებულია ქუთაისში.

გელათსა და მეზობელ სოფლებში ზოგიერთი ოჯახი გიშრის ხელნაკეთი ნივთების წარმოებითაა დაკავებული, რომელთა ნაწილი გელათის მონასტრის შესასვლელთან სახელდახელო სუვენირების დახლებზეც იყიდება.

ბუფერულ ზონაში ერთი-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორი ქვის მოპოვება და დამუშავებაა. ამ სექტორში ადგილობრივების შეფასებით მოსახლეობის დაახლოებით 60% პროცენტია დასაქმებული. მეოცე საუკუნეში სამთო მრეწველობა ფართოდ იყო გაშლილი, თუმცა ახლა მხოლოდ ორი ქვის კარიერი და რამოდენიმე ქვის დამამუშავებელი საამქრო მუშაობს. უშუალოდ სოფელ გელათში (მდ. წყალწითელას და რკინიგზის სადგურს შორის) სამი ასეთი საამქროა.

რეგიონის მზარდი მნიშვნელობის ეკონომიკური მიმართულებაა კულტურული, ეკო და აგრო ტურიზმი. ტურიზმის ეკონომიკურ მნიშვნელობას ადგილობრივი მოსახლეობაც ადასტურებს, სოფ. გელათში ოთხი საოჯახო სასტუმრო ფუნქციონირებს („ქორენა“, „ვილა გელათი“, „აგატი“ და „შატო გელათი“). ცალკეული ოჯახები ასევე აქირავებენ სხვადასხვა ფასისა და ხარისხის ოთახებს.,,ქორენა“ სტუმრებს ეკო და აგრო ტურებს და ტრადიციული იმერული სამზარეულოს მასტერკლასებსაც სთავაზობს.

ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, სტუმართმასპინძლობის ბიზნესის ხელისშემშლელ ფაქტორად რჩება სისტემური კანალიზაციის არარსებობა და წყლის შეზღუდული მიწოდება. კანალიზაციის სისტემა და ბიოტალი, რომელიც ვიზიტორთა ცენტრისთვის გაკეთდა 2014-2017 წლებში, არ ემსახურება სოფლის საჭიროებებს. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, წყალმომარაგების სისტემის გამრიცხველიანება, მეტად შეუწყობდა ხელს გელათში შეზღუდული წყლის რესურსების მდგრად მოხმარებას. სოფლების კეთილმოწყობის მხრივ ბოლო წლებში დადებითი ნაბიჯებიც გადაიდგა: შიდასასოფლო გზებზე მოეწყო ბეტონის საფარი, სოფლებში შეყვანილ იქნა საკაბელო ინტერნეტი.

3.7.4. ტრანსპორტი და მისაწვდომობა

ბუფერულ ზონაში საქალაქთაშორისო საზოგადოებრივ ტრანსპორტს კერძო მიკროავტობუსები წარმოდგენს. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, ქუთაისი-ტყიბულის დამაკავშირებელი რეისი გელათსა და კურსებს დღეში ოთხჯერ გაივლის, ხოლო ქუთაისი-გელათის რეისი დღეში ხუთჯერ სრულდება. ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო ხაზი ამ დროისათვის აღარ ფუნქციონირებს. სარკინიგზო ინფრასტრუქტურა და გელათის სადგური განახლებას საჭიროებს, თუმცა შპს საქართველოს რკინიგზის გეგმები ცნობილი არ არის.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებობა კერძო ტრანსპორტის სიჭარბეს განაპირობებს, რაც ტურისტული სეზონისა და დღესასწაულების დროს ტვირთავს ძეგლის მიმდებარე ავტოსადგომს და მისასვლელ გზას. ავტოსადგომის შეზღუდული ტერიტორია ართულებს მანევრირებას (იხ. ფოტო), რაც იწვევს სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხებას. ტურისტული ტრანსპორტის მოძრაობის გაუმჯობესება კვლავ რჩება დღის წესრიგში მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის და მონასტრის ფუნქციონირებისთვის.

ნაწილი 4

სამართლებრივი დაცვა და მართვა

DRAFT

4.1. გელათის სამონასტრო კომპლექსის სამართლებრივი დაცვის სტატუსი

გელათის მონასტერს ეროვნული ძეგლის სტატუსი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მიენიჭა. სტატუსის განახლება ახალი კანონმდებლობის შესაბამისად მოხდა 2006 წელს (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის ბრძანება უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ (3/133 30.03.2006) და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭების შესახებ (№665 7.11.2006)). 1994 წელს გელათის მონასტერი ბაგრატის ტაძართან ერთად იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში იქნა შეტანილი (18 COM XI).

ბაგრატის ტაძარზე წარმოებული ფართომასშტაბიანი სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპასუხოდ 2010 წელს ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ საფრთხეში მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში იქნა გადატანილი. 2017 წელს კომიტეტის გადაწყვეტილებისამებრ, სახელმწიფოს მიერ მომზადდა „ძეგლის საზღვრების მნიშნელოვანი ცვლილება“, რის საფუძველზეც ბაგრატის ტაძარი ამორიცხულ იქნა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის საზღვრებიდან, გელათის მონასტერი კი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში დარჩა, როგორც დამოუკიდებელი ობიექტი (41 COM 8B.31 და 41 COM 7A.20).

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 2013 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 9 იანვრის #03/5 ბრძანებით, გელათის მონასტერს განესაზღვრა გაფართოებული ვიზუალური დაცვის არეალი, რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ 2017 წელს მიღებულ იქნა, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ბუფერული ზონა.

ამავე პერიოდში, დამუშავდა და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს მიეწოდა გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მართვის გეგმის პროექტი. კომიტეტის 2017 წლის გადაწყვეტილებაში (41 COM 8B.31 და 41 COM 7A.20) ძეგლის მართვასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებში აღსანიშნავია მითითება ძეგლის მართვის სტრუქტურის ოფიციალურად დამტკიცების; ძეგლის მართვის საკოორდინაციო კომიტეტის შექმნის და მართვის გეგმისათვის იმგვარი სამართლებრივი სტატუსის მინიჭების შესახებ, რომლის საშუალებითაც იგი გათვალისწინებულ იქნება დაგეგმვის პროცესში. ასევე აღნიშნულია მიწის შესაბამისი ნაკვეთების დარეგისტრირების გადაუდებელი საჭიროება. მიუხედავად ამ მითითებებისა, მართვის გეგმას სამართლებრივი სტატუსი არ მინიჭებია, თუმცა გარკვეული ცვლილებები (იხილეთ 4.2) განხორციელდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხარეების მეტი ჩართულობისა და კოორდინაციისთვის.

4.2. ძეგლის მართვის ინსტიტუციები

მონასტრის რელიგიურ ცხოვრებას და გამოყენებას უძღვება გელათის მონასტრის თემი, რომელიც ქუთაის-გაენათის ეპარქიაში შედის და ექვემდებარება შესაბამის მიტროპოლიტს. მონასტერი პასუხისმგებელია ტერიტორიის მოვლა- პატრონობასა და უსაფრთხოებაზე მონასტრის საზღვრების ფარგლებში.

სამონასტრო კომპლექსის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მართვა ხორციელდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მისი

დაქვემდებარებული სტრუქტურების - კულტურული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მიერ.

საქართველოს კანონმდებლობით სამინისტრო წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზოგადი სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელებისა და კოორდინაციის მთავარ ორგანოს. მისი დაქვემდებარებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო კი უზრუნველყოფს ძეგლისა ავთენტურობისა და მთლიანობის დაცვას, მისი განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების შენარჩუნებას და ფიზიკური კომპონეტების კონსერვაციას. იგი წარმოადგენს ძეგლზე კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ნებართვის გამცემ ორგანოს და ძეგლის გარემოს მთლიანობის შენარჩუნების მიზნით, სააგენტო ასევე მონაწილეობს თვითმმართველობის მიერ ბუფერული ზონის ფარგლებში განვითარების პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და კანონის შესაბამისად მოქმედებს არაკანონიერი ან შეუსაბამო ჩარევის შემთხვევაში (სისხლის სამართლებრივი ქმედებები, სისხლის სამართლის სამართალწარმოებები). სააგენტო უზრუნველყოფს ძეგლისა და მის ბუფერულ არეალში დაგეგმილი და განხორციელებული ქმედებების შესახებ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისათვის დადგენილი წესით ანგარიშების წარდგენას.

ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი სააგენტოს სტრუქტურულ ქვედანაყოფს წარმოადგენს. მწირი ადამიანური და ფინანსური რესურსების და ადმინისტრაციული სირთულეებიდან გამომდინარე მისი ფუნქცია გელათის მონასტერთან მიმართებაში ძირითადად ძეგლის ფიზიკური მდგომარეობის ზოგადი მონიტორინგით, არქეოლოგიური ზედამხედველობით და სანებართვო პროცესში კონსულტაციებით შემოიფარგლება; მუზეუმ-ნაკრძალი ასევე მოიაზრება გელათის ვიზიტორთა მართვის სტრუქტურად, რომელიც უნდა გაუძღვეს ახალი ვიზიტორთა ცენტრის ფუნქციონირებას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტორთა ცენტრის შენობის მშენებლობა და კეთილმოწყობა დასრულებულია, მისი ამოქმედებისათვის კონკრეტული ნაბიჯები მუზეუმ-ნაკრძალისა და სააგენტოს მიერ ჯერ არ გადადგმულა.

2017 წლიდან სააგენტოს მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემა და გის პორტალი წარმოადგენს პლატფორმას დოკუენტაციის სისტემატიზაციის, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის და უწყებებს შორისი ინფორმაციის ეფექტური გაზიარებისთვის (https://memkvidreoba.gov.ge/). სისტემაში შესულია გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვდირეობის ძეგლის შესახებ კანონით გათვალისწინებული ძირითადი ინფორმაცია, საარქივო და განახლებული გრაფიკული და ფოტოდოკუმენტაცია.

კულტურული მემკვიდრეობის კანონმდებლობის შესაბამისად, ძეგლის მესაკუთრის მხრიდან ძეგლზე სამუშაოების წარმოებაზე გადაწყვეტილების მისაღებად, 2002 წლიდან, საქართველოს საპატრიარქოში ფუნქციონირებს მეთოდოლოგიური საბჭო - „ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის საბჭო“, რომლის შემადგენლობაშიც წარმოდგენილია როგორც სასულიერო, პირები, ასევე დარგის სპეციალისტები, სწორედ, ამ საბჭოს გადაწყვეტილება ხდება საფუძველი სახელმწიფოს (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს) მხრიდან რელიგიური სახის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გასაცემად. სახელმწიფოსა და საპატრიარქოში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედი ორი საბჭო, ხშირად, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილებებით, ვერ პასუხობდა ძეგლის დაცვის ინტერესებს. შესაბამისად, აუცილებელი გახდა ძეგლთან მიმართებაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესის ჰარმონიზება.

2014 წლიდან სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის პასუხისმგებლობები დაზუსტდა „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის დადებული თანამშრომლობის მემორანდუმით,"რომლითაც განისაზღვრა მართლმადიდებლური რელიგიური მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში თანამშრომლობის და კოორდინაციის ძირითადი ასპექტები. კერძოდ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში მოქმედ საბჭოებში, მოხდა საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლების მოწვევა; განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე, კი ინიშნება გაერთიანებული საბჭოები, რაც მეტად ეფექტურს ხდის ძეგლის დაცვისა და შენარჩუნებისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღების პროცესს.

2020 წლიდან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებით (N02-15) ამოქმედდა სააგენტოს „საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭო", რომლის შემადგენლობაშიც მოწვეულ იქნა ტერიტორიის მართვაში ჩართული ეროვნული და ადგილობრივი უწყებებისა და პროფესიული ინსტიტუციების წარმომადგენლები.

სააგენტოსთან არსებული სხვა საბჭოებისაგან განსხვავებით, მსოფლიო მემკვიდრეობის საბჭოს გადაწყვეტილება სავალდებულოა სააგენტოს გენერალური დირექტორისათვის და ნებართვის გამცემი ადგილობრივი ორგანოებისათვის. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებისთვის სპეციალიზირებული საბჭოს შექმნამ, გააძლიერა ინსტიტუციებისა და დარგობრივი სპეციალისტების მიერ ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმი.

4.3. მართვის განსაკუთრებული გარემოებები

უკანასკნელ წლებში გელათის სამონასტრო კომპლექსზე ჩატარებული არაეფექტური სარეაბილიტაციო და საკონსერვაციო ჩარევებით შექმნილი კრიზისის შედეგად, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს საპატრიარქოს შეთანხმებით, გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის კონსერვაცია-რეაბილიტაციის პროცესის მართვა საპარტიარქოსთან შექმნილმა დროებითმა კომიტეტმა გადაიბარა[58]. კომიტეტის მთავარ ამოცანად მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტისა და მისი მრჩეველი ორგანოების რეკომენდაციების[59] ზედმიწევნითი აღსრულება დაისახა.

სარეაბილიტაციო და საკონსერვაციო საკითხების პროფესიული გადაწვეტების მისაღებად დროებით კომიტეტთან დაფუძნდა ორი სათათბირო ორგანო - ეროვნული სამეცნიერო საბჭო და საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო, რომლებიც განიხილავენ გელათის სამონასტრო კომპლექსში განსახორციელებელი ყველა საკონსერვაციო პროექტს. შემდგომ ეტაპზე საპროექტო წინადადებები მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და მისი მრჩეველი ორგანოების მხრიდან ფასდება, განიხილება შესაბამისი საბჭოების მიერ და ნებართვა გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ინარჩუნებს ნებართვების გაცემის, ძეგლის მონიტორინგისა და საკონსერვაციო პროცესების

---

[58] 2023 წლის 6 აპრილს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

[59] მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44 COM7B.47 გადაწყვეტილება და 2022 წლის მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა, ICOMOS-ისა და ICCROM-ის ერთობლივი მისიის ანგარიში.

ზედამხედველობის ფუნქციას; სააგენტო ასევე წარმართავს სახელმწიფოს მხრიდან ოფიციალური არხებით კომუნიკაციას მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან.

4.4. ბუფერული ზონის დაცვა და მართვა

4.4.1. გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ბუფერული ზონის მართვაში ჩართული უწყებები

გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ბუფერული ზონის მართვაში წამყვანი როლი ენიჭება ტყიბულის, თერჯოლის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების თვითმმართველობას. თვითმმართველობა უზრუნველყოფს ტერიტორიების კეთილმოწყობის, კომუნალური სერვისების ორგანიზების საკითხებს. მათი როლი უმნიშვნელოვანესია სამშენებლო ნებართვების გაცემის მხრივ (საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მე-100 მუხლი), რომელსაც წარმართავენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმებით (”მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება).

ეროვნულ დონეზე კომპეტენციების ფარგლებში ჩართული არიან შემდეგი სექტორული უწყებები, რომლებიც გარდა დარგობრივი პოლიტიკის შემუშავება-წარმართვისა, ასევე ახორციელებენ კონკრეტულ პროექტებს:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციები:

- სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება).
- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (სახელმწიფო ქონების პრივატიზება/რეალიზებასთან, სარგებლობის უფლებით გადაცემასა და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მართვა).
- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო (სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ნავთობისა და გაზისა) სარგებლობის ლიცენზიების გაცემა).
- სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო (სივრცითი დაგეგმვის და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმარების პროექტების განხორციელება).

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციები:

- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო (მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, გეოლოგიური პროცესების და გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგი).
- სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების მართვა).
- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო (ბუნების დაცვის ეროვნული ტერიტორიების, ბიოსფერული რეზერვატების, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების სისტემის მართვა).

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო (ტყის მოვლა-აღდგენა და მდგრადი გამოყენება).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაცია: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო წარმართავს უძრავ ნივთებზე უფლებების რეგისტრაციას, საკადასტრო მონაცემთა აღრიცხვას.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციები:

- სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდი (მუნიციპალურ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში ინვესტირება, ქალაქების ურბანული განახლების, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, სხვ).
- სსიპ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (საერთაშორისო და სახელმწიფო მნიშვნელობის გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია).

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია კოორდინაციას უწევს რეგიონული პოლიტიკის განხორციელებას; შეიმუშავებს ან/და ახორციელებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებს და მონაწილეობას იღებს რეგიონული განვითარების ღონისძიებებში; კოორდინაციას უწევს საქართველოს მთავრობისა და სახელმწიფო უწყებების ურთიერთობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან.

4.5. ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები

კულტურის სფეროში მოქმედ ევროპულ კონვენციებსა და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც რატიფიცირებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ, 2017 წლიდან დღემდე არ განუცდია ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც ზეგავლენას მოახდენდა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის გელათის მონასტრის მართვის პროცესებზე. ეროვნულ დონეზე, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი რჩება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში არსებული ურთიერთობების მარეგულირებელი ძირითად ინსტრუმენტად. იგი აწესრიგებს ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ძეგლზე სამუშაოების, სანებართვო პროცედურების, დამცავი ზონებისა და სხვა საკითხებს.

უცვლელია კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სტრუქტურა (ძეგლის ინდივიდუალური და ზოგადი დამცავი ზონები), ასევე სხვადაასხვა კატეგორიის ძეგლებისთვის კანონით განსაზღვრული ინდივიდუალური დამცავი ზონების რადიუსები და რეჟიმები. გელათის სამონასტრო კომპლექსის მსოფლიო მემკვიდრეობის ბუფერული ზონა სამართლებრივად წარმოადგენს ინდივიდუალური დამცავი ზონის ვიზუალური დაცვის არეალს.

გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ბუფერული ზონის ფარგლებში კვლავ არ განსაზღვრულა ზოგადი დამცავი ზონები , თუმცა ინვენტარიზაციისას გამოვლენილი მასალა ცხადყოფს ამგვარი ზონების განსაზღვრის საჭიროებას. ზოგადი დამცავი ზონების განსაზღვრა რეკომენდებულია ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავებასთან ერთად ან მის წინმსწრებად.

2017 წლიდან დღემდე ეროვნულ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

2018 წლის პირველი იანვრიდან „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულ სამინისტროს (ეროვნული სააგენტოს) უფლებამოსილებებს დაემატა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურაში მონაწილეობისა და შესაბამისი დასკვნის წარდგენის ვალდებულება. აღნიშნული უფლება-მოვალეობის განხორციელება უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში განსახორციელებელი სამშენებლო საქმიანობით გამოწვეული კულტურულ მემკვიდრეობაზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენას.

2020 წლის 15 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებამ მოქალაქეებს ერთი მხრივ საშუალება მისცათ და მეორე მხრივ დაავალდებულა ისინი, რათა სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად, ასევე მუნიციპალიტეტებს დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის, გამოვლენის ან კულტურული მემკვიდრეობისთვის საფრთხის შემცველი გარემოების არსებობის შესახებ; ამასთან, დასახელებული ცვლილების თანახმად მინისტრს გაუჩნდა ვალდებულება გამოვლენილი (აღმოჩენილი) კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო აღრიცხვის შესახებ ინფორმაცია მოქალესთან ერთად ასევე აცნობოს მუნიციპალიტეტს. ამ ცვლილების მიზანია მიმდინარე კულტურული მემკვიდრეობის მართვის პროცესებში მოქალაქეებთან ერთად მუნიციპალიტეტების ჩართულობის გაძლიერება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის №2/6/1216 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტი, რომელიც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას და სხვა რელიგიური კონფესიებს ათავისუფლებდა ძეგლის მოვლა-პატრონობის ვალდებულებებისგან. აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, ძეგლის მოვლა-პატრონობის ვალდებულება მათ შორის დაეკისრა საქართველოს საპატრიარქოს და ვინაიდან გელათის მონასტრის მესაკუთრე გახლავთ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, მსოფლიო მემკვიდრეობის აღნიშნული ძეგლის დაცვა და განვითარება სახელმწიფოსთან ერთად, ასევე საქართველოს საპატრიარქოს პასუხისმგებლობად იქცა.

2018 წლიდან გაუქმნდა „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი გაუქმდა და მის ნაცვლად მოქმედებს **საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი.** კოდექსმა შემოიტანა და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით განმარტა ტერმინი - კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა, რომელიც წინამორბედ კანონში საერთო კონტექსტიდან ამოგლეჯილად იყო გამოყენებული.

მკაფიოდ გამოიკვეთა საქართველოს სივრცის დაგეგმარებასა და გენერალურ გეგმაში კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების მოთხოვნების გათვალისწინების აუცილებლობა. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, როცა ის იმავდროულად შედის კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ან მასზე ვრცელდება სხვა

დარგობრივი გეგმით დადგენილი რეჟიმი, უნდა შეესაბამებოდეს ამ ზონისთვის განსაზღვრულ რეჟიმს ან/და შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კოდექსის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შემთხვევაში, ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების განხორციელებისას სავალდებულოა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უპირობო გათვალისწინება (54-ე მუხლის მე-2 ნაწილი). კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია მტკიცდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმებით.

სიახლეა ისიც, რომ მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მშენებლობის ნებართვის გაცემის ან მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს 20 სამუშაო დღის ვადაში. ხოლო, განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში ნებართვის გაცემისთვის საჭირო ადმინისტრაციული წარმოების ვადა შესაძლოა გაგრძელდეს არაუმეტეს 20 სამუშო დღით, ხოლო კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის შემთხვევაში – არაუმეტეს 30 სამუშაო დღით.

2019 წლის 31 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის №255 დადგენილება **„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“,** სადაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მართვის სისტემაში შემავალი სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო განისაზღვრა უფლებამოსილ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოდ იმ შემთხვევაში თუ ნებართვის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში.

2017 წლის შემდგომ, სახელმწიფო აქტიურად იყენებს მსოფლიო **მემკვიდრეობის კონვენციის შესრულების სამოქმედო სახელმძღვანელოს 172 მუხლით განსაზღვრულ შესაძლებლობას,** მიიღოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მოსაზრება ძეგლთან დაკავშირებულ პროექტებსა და ინიციატივებზე. გელათის სამონასტრო ანსამბლთან დაკშირებული და მის ბუფერულ ზონაში დაგეგმილი პროექტები, როვნულ დონეზე პირველადი განხილვის შემდეგ, დამატებით შესათანხმებლად ეგზავნება მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს. ძეგლზე სამუშოებისა თუ დამცავ ზონაში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ნებართვა გაიცემა მხოლოდ ცენტრის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

„The World Heritage Committee invites the States Parties to the Convention to inform the Committee, through the Secretariat, of their intention to undertake or to authorize in an area protected under the Convention major restorations or new constructions which may affect the Outstanding Universal Value of the property. Notice should be given as soon as possible (for instance, before drafting basic documents for specific projects) and before making any decisions that would be difficult to reverse, so that the Committee may assist in seeking appropriate solutions to ensure that the Outstanding Universal Value of the property is fully preserved“. Operational Guidelines for the Implementation of the World Heritage Convention, Art 172.

ნაწილი 5

2024-2028 მართვის ციკლის ორგანიზაციული და სამოქმედო ჩარჩო

DRAFT

5.1. ორგანიზაციული ჩარჩო

წინამდებარე მართვის გეგმის მიხედვით 2024-2028 მართვის ციკლში მისი განხორციელების კოორდინაცია ხდება საქართველოს მთავრობის მიერ, მართვის გეგმის განხორციელების კოორდინაციისა და მონიტორინგისთვის შექმნილი უწყებათაშორისი ჯგუფის მეშვეობით. დროებითი კომიტეტი წარმოადგენს მართვის გეგმის განხორციელების წამყვან სტრუქტურას, მისი საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო საბჭოებით და ადგილობრივი ოპერატიული რგოლით. კულტურის სამინისტრო, შესაბამისი საქვეუწყებო სტრუქტურებითა და საბჭოებით. დარგობრივი ეროვნული უწყებები და ინსტიტუციები და თვითმმართველობები მონაწილეობენ კომპეტენციის ფარგლებში მართვის გეგმის შესრულებაში.

უწყებათაშორისო სამუშაო ჯგუფი, მიზანშეწონილია შეიკრიბოს წელიწადში ორჯერ, წლიური გეგმის შეთანხმებისა და შედეგების მონიტორინგისთვის.



ამგვარი სტრუქტურა კონცეფციით ჰგავს წინამორბედ გეგმაში შეთავაზებულ სტრუქტურას, თუმცა აუმჯობესებს მას იერარქიულად უფრო მაღალი სტატუსით, კოორდინაციის სამთავრობო დონეზე ატანით და საპატრიარქოს უფრო აქტიური როლით.

5.2. სამოქმედო ჩარჩო

ქვემოთ მოცემულია მე-2 თავში ჩამოყალიბებული მართვის სტრატეგიული მიზნების და ძირითადი მიმართულებების შესაბამისი კონკრეტული ამოცანებისა და ქმედებების მიმოხილვა, რომელთა განხორციელების დაწყება გადაუდებლად მნიშვნელოვანია 2024-2028 მართვის ციკლში. ქვემოთ მოცემული ტექსტი წაკითხულ უნდა იქნას დანართ 5.1-ში მოცემულ ცხრილთან ერთად, სადაც ქმედებების უფრო ვრცელი სპექტრია წარმოდგენილი.

წინამდებარე ამოცანების და ქმედებების დამუშავებისას საწყის წერტილად მიჩნეულ იქნა წინამორბედ მართვის გეგმაში მოცემული სამოქმედო პროგრამების ანალიზი, რომელიც გადამუშავდა თვითმმართველობების და ეროვნული უწყებების წარმომადგენლებთან, მონასტრის თემისა და მოსახლეობასთან შეხვედრებისას წამოჭრილი საკითხების და ძეგლის საკონსერვაციო პრიორიტეტების შესაბამისად.

მიმართულება 1: ინსტიტუციური უზრუნველყოფა და განვითარება

(სტრატეგიული მიზნები I, II, III, IV და V)

ქმედება 1.1: ძეგლის მოვლისა და მონიტორინგის ოპერატიული რგოლის შექმნა დროებითი კომიტეტის მანდატის ფარგლებში

როგორც აღინიშნა, პასუხისმგებელ სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობის ნაკლებობამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ინსტიტუციური მექანიზმების განვითარების გარშემო სამუშაო ფორმატში მსჯელობა. შესაბამისად, ინსტიტუციური განვითარების კონკრეტული ამოცანები რჩება 2023 წელს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მიღწეული შეთანხმების ჩარჩოში და ემსახურება დროებითი კომიტეტის ფუნქციონირების ხელშეწყობას, რომელიც სადღეისოდ წარმართავს ძეგლის გარშემო მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს.

დროებითი კომიტეტი უწზუნველყოფს საკონსერვაციო პროცესების დაგეგმვას, სამეცნიერო საბჭოებთან კონსულტაციას, შესაბამისი ნებართვების მოპოვებას, სამუშაოების ფინანსურ უზეუნველყოფას, განხორციელების მონიტორინგს, საჭიროებისამებრ სხვადსხვა მხარეებთან კოორდონაციას და საზოგადოებასთან ურთიერთობას. მის დაქვემდებარებაში მყოფი ძეგლის მოვლისა და მონიტორინგის ადგილობრივი ოპერატიული რგოლის არსებობა გააუმჯობესებდა ყოველდღიური საკითხების დროულ გამოვლენა-გადაჭრას. ოპერატიულმა რგოლმა ადგილზე უნდა უზრუნველყოს როგორც კვლევით და სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკურ მხარდაჭერა, ასევე ტერიტორიის მოვლა-დასუფთავება, უსაფრთხოების დაცვა და ანსამბლის კომპონენტების რეგულარული მონიტორინგი (ხელსაწყოების ფუნქციონირების პერიოდული შემოწმება, ხარვეზების შემთხვევაში სპეციალისტებთან კონტაქტი, მონაცემების მიმოცვლის კონტროლი). საწყის ეტაპზე, ასეთი რგოლი შეიძლება ერთი ადგილობრივი კადრით დაკომპლექტდეს, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს ძეგლის ტერიტორიას და დროებითი კომიტეტის მანდატის შესაბამისად განსაზღვრავს შესაბამისი სამუშაოების (დაცვა, დასუფთავება, სხვა) შესყიდვის საჭიროებებს.

პარალელურად ტექნიკური მხარდაჭერისა, მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი რგოლი დაეხმაროს დროებით კომიტეტს ბუფერული ზონის მოსახლეობის ინფორმირებასა და ჩართულობაში.

ქმედება 1.2: მართვის გეგმის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა

წინამორბედი მართვის გეგმის უმნიშვნელოვანესი ხარვეზად სამართლებრივი სტატუსის არქონა და უწყებათაშორისი ძალისხმევის ნაკლებობა მიიჩნევა. მოცემული მართვის გეგმით დასახული ამოცანების განხორციელების წინაპირობაა მართვის მონაწილე ძირითადი მხარეების მიერ კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებლობის აღება. ასეთი პასუხისმგებლობა შესაძლებელია განისაზღვროს მთავრობის მიერ მართვის გეგმის ოფიციალურად დამტკიცებით და მისი შესრულების კოორდინაციისა და მონიტორინგის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნით.

მიმართულება 2: სამართლებრივი რეგულირება და დაცვა

(სტრატეგიული მიზნები I, II, III, IV და V)

ქმედება 2.1. მართვის გეგმის ოფიციალურ სამოქმედო დოკუმენტად მიღება

იმისათვის რომ მართვის გეგმა ყველა მონაწილე მხარისათვის სავალდებულოდ შესასრულებელ დოკუმენტად იქცეს, მიზანშეწონილია მისი დამტკიცება საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

ქმედება 2.2. ბუფერულ ზონაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს კანონმდებლობითი დადგენილი წესით უნდა მიენიჭოს შესაბამისი სტატუსი და კატეგორია.

ქმედება 2.3. ბუფერული ზონის სივრცითი დაგეგმარება და ქალაქმშენებლობითი რეგულირება

ბუფერულ ზონაში მიმდინარე სამშენებლო განვითარების პროექტების შეთანხმება მრავალსაფეხურიანი და ხანგრძლივი პროცესია, რასაც მეტად ართულებს სათანადო სივრცითი დაგეგმარების და ქალაქმშენებლობითი გეგმების არარსებობა. ბუფერული ზონის მართვაში მონაწილე სამივე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა დაადასტურა ქალაქმშენებლობითი რეგულირების აუცილებლობა და გამოთქვა მზაობა, შესაბამისი სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყოფის შემთხვევაში, ჩაერთოს დოკუმენტების მომზადებაში. რადგანაც ბუფერული ზონის არეალი სამი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვრცელდება, და, ამასთან, გააჩნია განსაკუთრებული საერთაშორისო მნიშვნელობა, უპრიანია ამგვარი გეგმის მომზადებას სივრცითი მოწყობისა და ქაალქმშენებლობის ეროვნული სააგენტო გაუძღვეს. სააგენტოს მხრიდან მზაობა დადასტურებულია, თუმცა ქმედითი ნაბიჯების გადადგმას კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ოფიციალური მხარდაჭერა და მთავრობისაგან შესაბამისი ბიუჯეტის გამოყოფა ესაჭიროება. ქალაქმშენებლობითი გეგმა პრიორიტეტად უნდა ისახავდეს განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მახასიათებლების, მათ შორის ძეგლის აღქმის ვიზუალური დერეფნების და ისტორიული ლანდშაფტის დაცვას. ტექნიკური დავალება ქალაქმშენებლობითი გეგმების მომზადებისთვის შეთანხმებულ უნდა იქნას მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან.

ქალაქმშენებლობითი გეგმების მომზადების გადავადების შემთხვევაში, შესაძლებელია არსებული ვაკუუმი შეივსოს სივრცითი გადაწყვეტილებების მიღების დამხმარე სახელმძღვანელოთი, რაც გაუადვილებდა მოსახლეობას ისტორიულ ლანდშაფტთან ჰარმონიული სამშენებლო პროექტების მომზადებას. ადგილობრივების თქმით, კონკრეტული

წესების არარსებობა და პრეფერენციების ბუნდოვანება ყველაზე მეტად აბნევს ნებართვის მაძიებლებს და ახანგრძლივებს სანებართვო პროცესებს. **სამშენებლო დიზაინის სახელმძღვანელო** შექმნის ერთიან შეთანხმებულ ჩარჩოს, რომელიც მომზადდება ერთობლივად სივრცითი მოწყობის და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს, ტყიბულის, თერჯოლისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შესაბამისი უწყებების სპეციალისტთა ერთობლივი ჯგუფის მიერ, შეთანხმებულ იქნას მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და დამტკიცებულ იქნას შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

მიმართულება 3: კვლევა და დოკუმენტირება

(სტრატეგიული მიზნები I, II, III და V)

ქმედება 3.1: ძეგლის დოკუმენტაციის სისტემატიზაცია შესაბამის მონაცემთა ბაზაში

ძეგლის არსებული დოკუმენტაციის ძირითადი ნაწილი გაციფრულებულია და დღეისათვის თავმოყრილია როგორც კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ მონაცემთა ბაზაში[60] და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს დოკუმენტთა საცავში, ასევე დროებითი კომიტეტის მიერ შექმნილ სპეციალურ ვებგვერდზე[61]. თუმცა 2023 წლიდან ძეგლზე მიმდინარე კომპლექსური კვლევითი და მონიტორინგის სამუშაოები და მის შედეგად მიღებული ზღვა დოკუმენტაცია (ანსამბლის არქიტექტურა, კედლის მხატვრობა, არქეოლოგია) ქმნის მზარდ და გადაუდებელ საჭიროებას განისაზღვროს ამ დოკუმენტაციის სისტემაციზაციის გზა. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტაციის შენახვა შესაძლებელია კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ მონაცემთა ბაზაში, დაშვებისა და ადმინისტრირების არსებული შეზღუდვა დროებით კომიტეტს და მის მიერ დაქირავებულ სპეციალისტთა ჯგუფებს არ აძლევს ბაზასთან პირდაპირი მუშაობის შესაძლებლობას. ამასთან, გასააზრებელია გელათის მონასტერთან დაკავშირებული მოძრავი ძეგლების, ბუფერული ზონის ძეგლებისა და ობიექტების, ასევე არამატერიალური მემკვიდრეობის ელემენტების შესახებ და სხვა ინფორმაციის ურთიერთკავშირის სამომავლო საჭიროება და შესაძლებლობაც.

კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული მონაცემთა ბაზა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას აღნიშნული დოკუმენტაციის სისტემატიზაციის, შენახვისა და გამოყენებისათვის, თუმცა ასეთი შესაძლებლობის განხილვა უნდა მოხდეს ბაზის ტექნიკური და ადამიანური რესურსის სათანადო უზრუნველყოფის პირობით.

ქმედება 3.2: არქეოლოგიური კვლევა

გელათის მონასტერში ბოლო ათწლეულში განხორციელებული დაზვერვები და გათხრები და ტერიტორიის გეოფიზიკური კვლევა 2024 წლის მაისში, იმედს იძლევა, რომ შედგება ტერიტორიის სისტემური არქეოლოგიური შესწავლის პროგრამა და მისი განხორციელებისთვის 2024-2028 წწ. მართვის ციკლში გამოიყოფა ყოველწლიური ბიუჯეტი. აღნიშნული პროცესი აუცილებელია ძეგლის ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების, სადრენაჟე სისტემების, საპრეზენტაციო სივრცეებისა და ბერების საცხოვრებლების დაგეგმვა-პროექტირებისთვის. პირველ ეტაპზე აუცილებელია უკვე განხორციელებული

[60] www.memkvireoba.gov.ge
[61] www.gelatirehabilitation.ge

არქეოლოგიური კვლევების დეტალური კარტოგრაფიული ფიქსაცია როგორც მონასტრის ტერიტორიაზე ასევე ბუფერულ ზონაში.

გელათის მონასტრის ტერიტორიის გარდა, სისტემატური არქეოლოგიური კვლევებია განსახორციელებელი დოხორას მასივისა და წყალწითელას ხეობის ძეგლების შესასწავლად და არქეოლოგიური რუკის შესადგენად. ეს როგორც LIDAR ტექნოლოგიით, ასევე წერტილოვანი კვლევებით შეიძლება მოხდეს, ერთიანი საკვლევი ბადის ჩარჩოში.

სასურველია არქეოლოგიურ გათხრებში რეგულარულად ჩართული იყვნენ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტები, რაც დაეხმარება ადგილობრივი კადრების მომზადებას და გელათის არქეოლოგიური მნიშვნელობის შესახებ ცნობადობის ამაღლებას.

ქმედება 3.3: გელათის მონასტრის ისტორიული ლანდშაფტის კვლევა

გელათის ისტორიული ლანდშაფტის ჩამოყალიბების შესახებ ისტორიულ-გეოგრაფიული, ლანდშაფტური, არქეოლოგიური თუ სხვა კვლევები მწირი და ფრაგმენტულია. დროებითი კომიტეტის ინიციატივით მიმდინარე მრავალდისციპლინარული ნაშრომის - ,,სამაგიდო წიგნი - გელათი“ გამოცემა 2024 წლის ბოლოს ამ ვაკუუმს გარკვეულწილად შეავსებს. ნაშრომი, რომლის მომზადებაში მონაწილეობას იღებს საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების 25-ზე მეტი მეცნიერი, თავს უყრის არქეოლოგიურ, ისტორიულ, სახელოვნებო ცოდნას კომპლექსისა და მისი ისტორიული გარემოს შესახებ. მიუხედავად ამისა, მართვის გეგმის შემუშავების პროცესმა აჩვენა მრავალი უპასუხო კითხვა და თანამედროვე მრავალდისციპლინარული კვლევების აუცილებლობა.

ცოდნის ამგვარი კორპუსის შექმნა შეუძლებელია მხოლოდ ძეგლის მართვის ინსტიტუციის მიერ, უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო ინსტიტუციების მუდმივი ჩართულობის გარეშე. სახელმწიფოს მხრიდან (განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო) 2024-2028 წლებისათვის პრიორიტეტად უნდა დასახელდეს გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მრავალდისციპლინარული კვლევა და მიეცეს შესაბამისი მითითება ეროვნულ სამეცნიერო ფონდს და კვლევით-საგანმანათლებლო დაწესებულებებს ბიუჯეტების შესაბამისი მობილიზაციისთვის.

ქმედება 3.4: გელათის სამონასტრო ანსამბლის არქიტექტურის და კედლის მხატვრობის კვლევის გაგრძელება

2023 წლიდან მიმდინარე კედლის მხატვრობის, მოზაიკისა და სტრუქტურული კვლევის პროცესი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს ანსამბლის ყველა ნაგებობის სრულ შესწავლამდე. კლევის პროგრამამ ეტაპობრივად უნდა მოიცვას თვითეული ნაგებობა, გალავნის, სადრენაჟე სისტემისა თუ წყალმომარაგების სისტემის ჩათვლით. მომდევნო ეტაპზე კვლევამ უნდა მოიცვას გელათის მიმდებარე სოხასტერი და დოხორას მთაზე არსებული მცირე ეკლესიები. შეგროვილი დოკუმენტაცია სისტემატიზირებულ უნდა იქნას მემკვიდრეობის ეროვნულ მონაცემთა ბაზაში ან ძეგლისათვის სპეციალურად შექმნილ ციფრულ საცავში.

მიმართულება 4: კონსერვაცია და მონიტორინგი

(სტრატეგიული მიზანი I)

ქმედება 4.1: კედლის მხატვრობისა და მოზაიკის კონსერვაცია

ღვთისმშობლის შობის მთავარი ტაძრის, წმ. გიორგის კედლის მხატვრობის კრიტიკული დაზიანება წყლის ინფლიტრაციისა და ნესტის გამო განაპირობებს მართვის 2024-2028 ციკლში კედლის მხატვრობისა და მოზაიკის კონსერვაციის აბსოლიტურ პრიორიტეტულობას. სპეციალისტების მიერ დამუშავდა სამოქმედო გეგმები (იხ. დანართი 5.2 კონსერვაციის ინტეგრირებული გეგმა) და სახელმწიფოს ძალისხმევა ამ გეგმების განხორციელებისათვის იმედს იძლევა, რომ 2024-2028 წწ. მართვის ციკლში ეს გამოწვევები წარმატებით გადაიჭრება.

მიმდინარე ნაბიჯებიდან განსაკუთრებით მნიშნველოვანია მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან შეთანხმებული პროექტის საფუძველზე მთავარი ტაძრის სრული დროებითი გადახურვის მოწყობა, რაც წყლის ინფილტრაციის მიზეზების გამოვლენის, ადექვატური გადახურვის პროექტირების და განხორციელების შესაძლებლობას შექმნის.

გარდა ღვთისმშობლის შობის მთავარი ტაძრის, წმ. გიორგის ეკლესიის კედლის მხატვრობისა, კონსერვაციის საჭიროებებში შედის ანსამბლის სხვა კომპონენტების მიმდინარე საკონსერვაციო და მოვლის სამუშაოები. ქვის რეგულარული წმენდა-კონსერვაცია, კედლებზე ბიოდეგრადაციის მკურნალობა, გამოვლენილი არქეოლოგიური ნაშთების კონსერვაცია.

ქმედება 4.2: ანსამბლის არქიტექტურული კომპონენტების კონსერვაცია - გადახურვის გამოცვლა, ქვის კონსერვაცია.

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან შეთანხმებული პროექტის საფუძველზე მთავარი ტაძრის სრული დროებითი გადახურვის მოწყობა, მთავარი ტაძრის დეტალური არქიტექტურული და სტრუქტურული შესწავლის და შესაბამისი საკონსერვაციო ქმედებების შესაძლებლობას ქმნის. პირველ რიგში ეს გულისხმობს, ძეგლის იმგვარი გადახურვის პროექტის მომზადებას და განხორციელებას, რომელიც მაქსიმალურად დააზღვევს სამომავლოდ ინტერიერში წყლის შეღწევას და ამასთან თავსებადი იქნება ანსამბლის ისტორიულ იერსახესა და მის გარემოსთან. ამასთან, შესაძლებელი იქნება საფასადე ქვის მდგომარეობის დეტალური შესწავლა და შესაბამისი საკონსერვაციო სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელება. არქიტექტურული და სტრუქტურული შესწავლისა და კონსერვაციის პროგრამამ უნდა ეტაპობრივად უნდა მოიცვას ანსამბლის ყველა ძირითადი ნაგებობა.

ქმედება 4.3. ტერიტორიიდან წყლის გადაყვანა

ტერიტორიაზე ისტორიული სადრენაჟე არხები არქეოლოგიური გათხრებისას იქნა მიკვლეული, რაც ადასტურებს წყლის გადაყვანის საჭიროების აქტუალურობას. ტერიტორიაზე ადექვატური სადრენაჟე სისტემის მოწყობა აუცილებელია ძირითად ნაგებობებში აღმავალი ნესტის შესამცირებლად, და როგორც არქიტექტურული კომპონენტების ასევე კედლის მხატვრობის დაზიანების, არქეოლოგიური ფენების დასაცავად.

ქმედება 4.4: კონსერვაციისა და გამოყენების სტრატეგიული გეგმის მომზადება (კომპლექსური ძეგლის კონსერვაციის გეგმა)

მონასტრის ტერიტორიაზე პირველი რიგის სამუშაოებში ასევე განხილულ უნდა იქნას ბერების ისტორიული საცხოვრებლების რეაბილიტაცია-ადაპტაცია. 2024 წლიდან ერთ-ერთ შენობაში განთავსდა კონსერვაციის დროებითი ლაბორატორია. თუმცა შენობების გამოყენების საკითხის გრძელვადიანი გადაჭრა მიზანშეუწონელია კონსერვაციისა და გამოყენების ერთიანი სტრატეგიული გეგმის გარეშე. მანამდე, საჭიროა ელემენტარული უსაფრთხოების და წესრიგის ზომების მიღება (დამწვარი სახურავების და მორყეული ქვების მოხსნა და ღობის შემოვლება).

კონსერვაციისა და გამოყენების სტრატეგიულმა გეგმით უნდა შემუშავდეს და მიღებულ იქნეს ტერიტორიის ფუნქციური (ვიზიტორთა და მონასტრის საცხოვრებელ-სამეურნეო) ზონირების გადაწყვეტა და მის შესაბამისად ბერების საცხოვრებელი შენობების, აკადემიის და სხვა ნაგებობების რეაბილიტაციის, კონსერვაციისა და ადაპტაციის პროექტები; გეგმაში უნდა შევიდეს ვიზიტორთა ნაკადების სქემა, არსებული ვიზიტორთა ცენტრის ამოქმედების პერსპექტივის გათვალისწინებით და სოხასტერის ტერიტორიის გამოყენების შეთავაზებით. გეგმამ ასევე უნდა წარმოაგინოს მონასტრის განვითარების სტრატეგიული გადაწყვეტა, დოხორას მთაზე არსებული სამონასტრო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით.

ქმედება 4.5: კონსერვაციის მდგომარეობის მონიტორინგი

გელათის მონასტრის ეზოში, ღვთისმშობლის შობის და წმ გიორგის ეკლესიაში დამონტაჟებული მონიტორინგის ხელსაწყოები რეგულარულად აღრიცხავს ექსტერიერსა და ინტერიერში კლიმატურ მონაცემებს, ბზარების ცვლილებებს და სეისმურ მონაცემებს. დროებითი კომიტეტის ადგილობრივმა ოპერატიულმა რგოლმა უნდა უზრუნველყოს მონიტორინგის სისტემების შეუფერხებელი მუშაობა, რეგულარული ტექნიკური შემოწმება, შესაბამის სპეციალისტებთან კომუნიკაციით შენობების მდგომარეობის (გარემო ფაქტორები (ტენი, ტემპერატურა) და სტრუქტურა (ვიბრაცია, ბზარები, ენდოსკოპია, სონარული ტესტები)პერიოდული შემოწმება. მონიტორინგის შედეგები უნდა შეჯამდეს ყოველწლიურ ანგარიშებში. მართვის გეგმაში მოცემული განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მახასიათებლების მონიტორინგის ინდიკატორები წარმოადგენს აღნიშნული ანგარიშების შეფასების ჩარჩოს (იხ. თავი 6).

მიმართულება 5: ინტერპრეტაცია და პრეზენტაცია

(სტრატეგიული მიზნები I და II)

ქმედება 5.1: მსოფლიო მემკვიდრეობის ატრიბუტების ინტერპრეტაციის სახელმძღვანელოს შექმნა

არქეოლოგიური გათხრები და დაზვერვები, არქიტექტურისა თუ კედლის მხატვრობისა და მოზაიკის ბოლოდროინდელი სამეცნიერო კვლევები მეტად ამდიდრებს ძეგლის შესახებ აქამდე არსებულ ცოდნას. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამ ცოდნას თავი მოეყაროს ძეგლის ინტერპრეტაციის ერთიან შეჯერებულ დოკუმენტში, რომელიც ეკლესიისთვის, მართვის სახელმწიფო უწყებებისათვის, ტურიზმის ეროვნული სააგენტოსა და იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციისთვის, გიდების ასოციაციისა და

სტუმართმასპინძლობის ბიზნესში ჩართული აქტორებსთვის სამაგიდო სახელმძღვანელო გახდება.

მართვის მიმდინარე და მომდევნო ციკლებში აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვიზიტორთათვის და ფართო საზოგადოებისთვის უნდა მომზადდეს ძეგლის გზამკვლევები, ბროშურები, სატელევიზიო გადაცემები და სხვა მას-პროდუქცია.

აღნიშნული დოკუმენტი საფუძვლად უნდა დაედოს ძეგლისა და მისი გარემოს მუდმივმოქმედ პრეზენტაციას გელათის ვიზიტორთა ცენტრში და სხვა სივრცეებში რომელიც საპრეზენტაციოდ განისაზღვრება **გელათის მონასტრის კონსერვაციისა და გამოყენების სტრატეგიული გეგმის**[62] მიხედვით.

ქმედება 5.2: ძეგლისა და მისი გარემოს პრეზენტაციის დაგეგმვა (კონსერვაციისა და გამოყენების სტრატეგიული გეგმის ფარგლებში)

მონასტრის ტერიტორიაზე ვიზიტორთათვის საპრეზენტაციო სივრცის არარსებობა კვლავ რჩება გამოუსწორებელ პრობლემად. საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის თანამშრომლობით, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად შეთანხმებული პროექტით, რეგიონული განვითარების მეორე პროგრამის ფარგლებში აგებული ვიზიტორთა ცენტრი ჯერჯერობით გამოუყენებელი და დაკეტილია. ვიზიტორთა ცენტრის ამოქმედების შემთხვევაშიც, შენობის მცირე ზომიდან გამომდინარე, მეტად გართულდება აქ გელათის ისტორიისა და მნიშვნელობის სრულადფასოვნად წარმოჩენა.

2023 წლიდან დროებითი კომიტეტის ინიციატივით, დაიწყო სამუშაო გელათის მონასტრის გენერალური გეგმის[63] მომზადებისთვის. პროექტი განიხილავს მონასტრის ტერიტორიის ზონირების, სამონასტრო და ვიზიტორთა ზონების გამიჯვნის, მონასტრის სხვადასხვა სივრცეების ადაპტაციის, მათ შორის შშმ პირთათვის წვდომის შესაძლებლობებს. სამუშაო პროცესში ჯგუფთან გაზიარებულ იქნა მართვის გეგმის განახლების პროცესში დამუშავებული განსაკუთრებულ ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მახასიათებლების დაზუსტებული სქემა და ლანდშაფტის პანორამული ანალიზის მუშა ვერსიები.

მნიშვნელოვანია, რომ გეგმის მომზადების პროცესში გათვალისწინებულ იქნას მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთა შეთანხმებული კონსერვაციის გეგმის მიხედვით უკვე აშენებული ვიზიტორთა ცენტრის არსებობა.

გეგმამ პრიორიტეტად უნდა დაისახოს განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მახასიათებლების დაცვა და წარმოჩენა. მათ შორის: გელათის სამონასტრო ანსამბლის ისტორიულად ჩამოყალიბებული სილუეტის და მისი აღქმის მნიშვნელოვანი წერტილების შენარჩუნება; ანსამბლის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არქეოლოგიური ფენების შესწავლის, დაცვის და წარმოჩენის აუცილებლობა; ანსამბლის თვითეული არქიტექტურული კომპონენტის ფიზიკური მახასიათებლების დაცვისა და კონსერვაციის პრიორიტეტი; ანსამბლის გეგმარებითი სტრუქტურის და სივრცითი ხარისხის შენარჩუნება.

გეგმის შინაარსობრივი ნაწილი უნდა შეესაბამებოდეს ძეგლის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების ატრიბუტების ინტერპრეტაციის სახელმძღვანელოს.

[62] კომპლექსური ძეგლის კონსერვაციის გეგმა (კულტურული მემკვიდრეობის კანონი, მუხლი 27) რომელიც ასევე მოიცავს ტერიტორიის გამოყენებისა და განვითარების საკითხებს.
[63] სამომავლოდ სასურველია მოიცვას კონსერვაციისა და გამოყენების სტრატეგიული გეგმის ყველა საკითხი.

გეგმისთვის უნდა მომზადდეს მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასება და შეთანხმდეს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან.

ქმედება 5.3: საკონსერვაციო სამუშაოების საზოგადოებისთვის გაცნობა

მიმდინარე საკონსერვაციო სამუშაოების შესახებ დამთვალიერებელთა მუდმივი ინფორმირება მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებზე მიღებული და ფართოდ დანერგილი პრაქტიკაა. გელათში ამ საკითხის გადაჭრა გადაუდებლად აუცილებელია, იმის გამოც, რომ მართვის 2024-2028 ციკლში გელათის მონასტრის ტერიტორიაზე მასშტაბური საკონსერვაციო სამუშაოები იქნება გაშლილი და ტერიტორიის დიდ ნაწილს დროებითი გადახურვის მასიური ხარაჩო დაიკავებს. ამის გამო შეფერხებული იქნება ტერიტორიაზე დამთვალიერებელთა გადაადგილება.

პრეზენტაციის გენერალური გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნას მიმდინარე საკონსერვაციო სამუშაოების ჯეროვანი წარმოჩენის შესაძლებლობა (გარე სივრცეში ხარაჩოზე აღმართული მასიური ბანერები, შიდა საპრეზენტაციო სივრცეში ცალკე მუდმივად განახლებადი დარბაზი კონსერვაციის სპეციალისტებთან ერთად გადაღებული ვიდეორგოლებით, ვირტუალური რეალობით, ა.შ.).

ქმედება 5.4: საზოგადოებასთან ურთიერთობა

დროებითი კომიტეტის მიერ შექმილი სპეციალური ვებგვერდი საზოგადოების ინფორმირების მნიშვნელოვანი ღია რესურსია. მიმდინარე პროცესები ასევე რეგულარულად შუქდება კომიტეტის მიერ ორგანიზებული ბრიფინგებისა და პრეზენტაციების მეშვეობით. სასურველია აღნიშნული პროცესმა გრძელვადიანი სტრატეგიის სახე მიიღოს, რომლის მიხედვითაც გელათის საკონსერვაციო სამუშაოების ფართო საზოგადოებისთვის გაშუქება რეგულარულად გაგრძელდება, მომზადდება დოკუმენტური ვიდეომასალა, და სხვ.

მნიშვნელოვანია, რომ ცალკე ყურადღება დაეთმოს ადგილობრივ მოსახლეობასთან ჯეროვან კომუნიკაციას, ინფორმირებას და კონსულტაციას. ეს ფუნქცია შეიძლება ითაოს ადგილობრივმა ოპერატიული რგოლმა.

ქმედება 5.5: ბუფერულ ზონაში ტურისტული ბილიკების განახლება-კეთილმოწყობა-მოვლა

ბუფერულ ზონაში ტურისტული ბილიკების განვითარება წინამორბედ მართვის გეგმის ერთ-ერთ ქმედებად იყო განსაზღვრული. ეს ამოცანა ნაწილობრივ შესრულდა ასოციაცია ელკანას მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში. გელათიდან მოწამეთასკენ და დოხორას მთაზე მოხდა ბილიკების მარკირება და მანიშნების დაყენება. ეს მარშრუტები მისაწვდომია ონლაინ სხვადასხვა აპლიკაციების მეშვეობით. მარშრუტები უმეტესად ისტორიული გზების მიმართულებებს ემთხვევა, ამიტომ მათი გამოყენება ისტორიული ლანდშაფტის შესახებ ინფორმაციის შენახვასაც ემსახურება.

დოხორას მთაზე მონასტრის სამეურნეო ტერიტორიების შემოღობვისას, მხოლოდ ნაწილობრივ იქნა მხედველობაში მიღებული ტურისტული ბილიკების არსებობა. დღეს ბილიკების ნაწილი მონასტრის სამეურნეო ტერიტორიებზე გადის. ზოგ შემთხვევაში ღობეებში კარია დატანებული, თუმცა ფაქტია, რომ საჭიროა ტურისტული ბილიკების და მონასტრის სამეურნეო ღობეების გადაგეგმვა, მონასტრის თემთან შეთანხმებით.

ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით იგეგმება ტურისტული ბილიკების მონიტორინგის და მოვლა-პატრონობის პასუხისმგებლობაის ადგილობრივ ორგანიზაციებისთვის გადაცემა. იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციამ

დაადასტურა მზაობა ამგვარი პასუხისმგებლობის ასაღებად, შესაბამისი დაფინანსების გამოყოფის შემთხვევაში.

მიმართულება 6: განათლება და უნარების გაძლიერება

(სტრატეგიული მიზნები I, II, III, V)

ქმედება 6.1: ზოგადი საგანმანათლებლო კურსების ორგანიზება

აღნიშნული ამოცანა წინამორბედ მართვის გეგმაშიც იყო შეტანილი, თუმცა დღემდე განუხორციელებელი დარჩა. მიზეზებად საჭირო ინფრასტრუქტურის არქონა და ადამიანური და ფინანსური რესურსის ვერ მობილიზება შეიძლება დასახელდეს. მიმდინარე მწვავე საკონსერვაციო და ვიზიტორთა მართვის პრობლემებიდან გამომდინარე, საგანმამათლებლო პროგრამის შედგენა-განხორციელება 2024-2028 მართვის ციკლისათვის დროებითი კომიტეტის მანდატის ფარგლებში ნაკლებპრიორიტეტულია. ამ ამოცანის შესრულებისთვის 2024-2028 წლებში ძირითადი ნაბიჯები უნდა გადადგან პასუხისმგებელმა სახელმწიფო უწყებებმა (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო), საგანმანათლებლო და სხვა ინსტიტუციებმა. სააგენტოს საგანმანათლებლო მიმართულებით მნიშვნელოვანი გამოცდილება გააჩნია. საგანმანათლებლო სამსახურის მიერ წლების განმავლობაში ხორციელდებოდა საბავშვო საგანმანათლებლო პროგრამები („არქეოლოგია ბავშვებისათვის“, „კულტურული მემკვიდრეობა ბავშვებს“) თბილისში და ასევე მუზეუმ-ნაკრძალებში. კურსის შემუშავებისას შესაბამის შემთხვევაში რეკომენდებულია ასევე გამოყენებულ იქნას საქართველოს იკომოსის მიერ თარგმნილი და ადაპტირებული „კულტურული მემკვიდრეობის შესავალი კურსი საბაზისო და საშუალო კლასის მოსწავლეთათვის“.

ქმედება 6.2: კულტურული მემკვიდრეობის პროფესიული სწავლება

ადგილობრივ პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობა გიდების და სხვა შესაბამისი სპეციალობების სასწავლო პროგრამებში კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის ჩართვის მიზნით, მიუხედავად მცდელობებისა, განუხორციელებელ პერსპექტივად რჩება (საზაფხულო სკოლები, საველე პრაქტიკა, თეორიული კურსი, ა,შ). ამ ამოცანის შესრულებისთვის 2024-2028 წლებში ძირითადი ნაბიჯები უნდა გადადგან პასუხისმგებელმა სახელმწიფო უწყებებმა (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო), საგანმანათლებლო და პროფესიულმა ინსტიტუციებმა.

აქვე მოიაზრება ადგილობივი ოპერატიული რგოლის თაანამშრომლების უნარების გაძლიერება (ფიზიკური მდგომარეობის შეფასება, მონიტორინგის ხელსაწყოების გამოყენება, ანგარიშების მომზადება, ა.შ).

DRAFT

მიმართულება 7: მონასტრის განვითარება

(სტრატეგიული მიზნები I და II)

ქმედება 7.1 გელათის მონასტრის განვითარების დაგეგმვა

მონასტრის ფუნქციონირების პროგრამა მართვის წინამორბედ გეგმაში მოიცავდა როგორც ქცევის წესების შემუშავებას ვიზიტორთათვის, დიდი ჯგუფების დაშვების რეგულირებას, საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროცესების კოორდინაციას სამონასტრო ცხოვრებასთან, ასევე სამონასტრო საცხოვრებლების და ინფრასტრუქტურის კეთილიმოწყობას. რიგი საკითხები, როგორიცაა მაგალითად სარესტავრაციო პროცესების კოორდინაცია, დღეისათვის მეტ-ნაკლებად მოგვარებული და დარეგულირებულია, თუმცა მონასტრის გალავნის შიგნით ბერების საცხოვრებლები ხანძრის შედეგად თითქმის გამოუყენებელი გახდა.

მონასტრის გალავნის შიგნით სამონასტრო ნაგებობების რეაბილიტაციის საკითხის მოგვარება აუცილებელია დაიგეგმოს დოხორას მთაზე უკვე განვითარებული სამეურნეო და საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით. მონასტრის განვითარების გეგმამ უნდა მოიცვას მონასტრის ფუნქციონირების და განვითარების შესაძლებლობა მის ზოგადსაკაცობრიო განსაკუთრებულ ღირებულების მახასიათებებთან თანხვედრით. იგი არ უნდა არღვევდეს ისტორიულად ჩამოყალიბებულ სილუეტს, გელათის სამონასტრო ანსამბლის სივრცით ხარისხსა და გეგმარებას. იგი უნდდა ითვალისწინებდეს გელათის მონასტრის მიმართებას დოხორას მთაზე განლაგებულ სამლოცველოებთან, ისტორიულ გზებსა და ბილიკებს, ასევე ბუნებრივი გარემოს დაცვისა დაშენარჩუნების პრიორიტეტებს. გეგმა უნდა დამუშავდეს მონასტრის თემის ჩართულობით და ხელმძღვანელობით, შეთანხმებულ იქნეს შესაბამის ეროვნულ უწყებებთან და უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითად ქალაქმშენებლობით პრინციპებს.

გეგმისთვის უნდა მომზადდეს მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასება და შეთანხმდეს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან.

გეგმის მიხედვით ცალკეული არქიტექტურული პროექტების მომზადება და განხორციელება დაიგეგმოს ეტაპობრივად მომდევნო მართვის ციკლის ფარგლებში.

DRAFT

ნაწილი 6

მონიტორინგი

DRAFT

6.1. მართვის გეგმის განხორციელების მონიტორინგი

მართვის დაგეგმვა და განხორციელება წარმოადგენს დინამიური პროცესის ნაწილს, რომელიც დროთა განმავლობაში საჭიროებს კორექტირებას. მონიტორინგი ეხმარება იმის გაგებაში, სწორია თუ არა ესა თუ ის მიმართულება და მიაღწევს თუ არა აღნიშნულ შედეგებს. ამიტომ, პროგრესის გაზომვა აუცილებელია იმისთვის, რომ ძეგლის მართვა შეიცვალოს და გაუმჯობესდეს საჭიროების შესაბამისად. რეგულარული მონიტორინგი ეხმარება პრიორიტეტების ხელახლა შეფასებას ახალი პრობლემების და მიღწეული პროგრესის მიხედვით.

ტრადიციულ მართვაში მონიტორინგი არის მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის აუცილებელი პროცედურა, რომელსაც ორი მიზანი აქვს: ა) გაგება იმისა, თუ როგორ იცვლება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მდგომარეობა, ბ) გაგება იმისა, ხორციელდება თუ არა მართვის გეგმა და მისი სტრუქტურა და ამ პროცესს მოაქვს თუ არა მოსალოდნელი შედეგები.

მსოფლიო მემკვიდრეობის სისტემაში, მნიშვნელოვანია, რომ ძეგლმა შეინარჩუნოს განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება. ამისათვის მახასიათებლები (ატრიბუტები), რომელიც გამოხატავენ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებას შენარჩუნებულ უნდა იქნას კარგ საკონსერვაციო მდგომარეობაში. მახასიათებლების (ატრიბუტების) მდგომარეობის მონიტორინგი ეხმარება ნებისმიერი მნიშვნელოვანი საფრთხის რაც შეიძლება ადრე გამოვლენას და საჭირო ინფორმაციის შეგროვებას საფრთხის აღმოსაფხვრელად მანამ, სანამ ზიანი გახდება მეტად მძიმე.

2015 წლის მმართველობის გეგმის რევიზია, მართვის წინა ციკლში მიღწეული და ვერ მიღწეული შედეგების და ძეგლის მდგომარეობისა და საჭიროებების შეფასება საფუძვლად დაედო შემდგომი მართვის ციკლის ქმედებებს, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ზემოაღნიშნული სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად.

მართვის შემდგომი ციკლისთვის განისაზღვრა სხვადასხვა მიმართულებები. ამ მიმართულებების ფარგლებში სახვადასხვა ქმედების განხორციელების პასუხისმგებლობა სხვადასხვა ინსტიტუციებს ეკისრება, რომლებიც ასევე უნდა მონაწილეობდნენ მართვის გეგმის განხორციელების ერთობლივ შეფასებაში. მომდევნო მართვის ციკლის ფარგლებში ძეგლის მართვის ორგანოდ განიხილება გელათის მონასტრის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტი.

რეგულარული მონიტორინგის ღონისძიებები მოიცავს:

• პროგრესის პერიოდული (ყოველწლიური)ანგარიშგება მართვის ორგანოსთვის – ამჟამად გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტისთვის – პასუხისმგებელ სააგენტოების ან მიერ, რომლებიც ჩართული არიან მართვის გეგმის სხვადასხვა ქმედებების განხორციელებაში.

• პროგრესის შუალედური ანგარიშგება და მართვის სისტემის და გეგმის განხორციელების და ეფექტურობის შეფასება (Enhancing our Heritage Toolkit 2.0 გაწერილ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით) – საჭიროების შემთხვევაში ქმედებების რევიზია.

•პროგრესის კომპლექსური ანგარიშგება მართვის ციკლის ბოლოს და გეგმის განხორციელების დონისა და ეფექტურობის მიმოხილვა.

• პერიოდული ანგარიშის მომზადება UNESCO-ს პერიოდული ანგარიშგების მომდევნო ციკლისთვის.

მართვის გეგმის შექმნასა და განხორციელებაში ჩართული ყველა მხარე პასუხისმგებელია წვლილი შეიტანოს შეფასება-მონიტორინგში დროებითი კომიტეტის მხარდაჭერითა და ეროვნული სამეცნიერო საბჭოს დახმარებით შეგროვილი მონაცემების ინტერპრეტაციისა და პროგრესის შეფასებაში.

საკითხების მიმოხილვა და გეგმის განახლება მართვის ორგანოს ძირითადი პასუხისმგებლობაა. ოპერაციული სამოქმედო გეგმების მომზადება და მათი შუალედური რევიზია პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს აქვს ძეგლის რეგულარული ინსპექტირების კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობა. დროებითი კომიტეტი გეგმავს ადგილობრივი ოპერატიული ზედამხედველის აყვანას მარტივი მოვლის და შემოწმების (მაგალითად, ნაგვის გაწვდვა, ბალახის გაჭრა, ტექნიკური მოწყობილობების კარგი ფუნქციონირების და ადრეული მცირედი ჩამოშლის აღმოჩენა) პასუხისმგებლობით.

კონსერვაციის მდგომარეობის მონიტორინგის ძირითადი მიმართულებები მოიცავს ორი ძირითადი ეკლესიის სტრუქტურული მდგრადობის, ინტერიერის ჰიგროთერმული პარამეტრების და კონსერვაციის შემდგომი მდგომარეობის მუდმივ სპეციალიზებულ მონიტორინგს, რაც განხორციელდება მართვის ციკლის განმავლობაში დროებითი კომიტეტის და ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელობით მისი კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების ფარგლებში.

საერთაშორისო კონსერვაციის გუნდი, რომელიც ახორციელებს ძეგლის შესწავლა და კონსერვაციას, ამზადებს მონიტორინგის სპეციალიზებულ პროგრამებსა და შესაბამის პროტოკოლებს, მითითებებს მონაცემების ინტერპრეტაცაზე, ანგარიშგების მეთოდოლოგიებზე და სიხშირეზე. კონსერვაციის გუნდებმა მართვის ორგანოს უნდა მიაწოდონ სპეციალიზებული საკონსერვაციო რჩევები მონიტორინგის მონაცემების შეფასებისთვის და შესაბამისი ქმედებებისთვის.

6.2. განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მონიტორინგის ინდიკატორები

მონიტორინგის ინდიკატორები დაკავშირებულია ძეგლის განსაკუთრებულ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებასთან და მის ატრიბუტებთან, ასევე მართვის გეგმის მიზნებთან, რადგან მონიტორინგის ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის მსოფლიოს მემკვიდრეობის ძეგლის მდგომარეობის შეფასება, ინარჩუნებს თუ არა ის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებას.

გელათის მონასტრის დოკუმენტაციის საფუძველზე განსაზღვრულია ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მახასიათებლების (ატრიბუტების) და სტრატეგიული მიზნების ნაკრები (იხ. ნაწილი 1 და 2). თუ მიღწეულ იქნება, ეს მიზნები უზრუნველყოფს ძეგლის გრძელვადიან დაცვას და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების შენარჩუნება. ინდიკატორები და მონიტორინგის ქმედბებები განსაზღვრულია და დაკავშირებულია არსებულ სტრატეგიულ მიზნებთან.

იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ატრიბუტის მონიტორინგი მოითხოვს ადამიანური, ორგანიზაციული და ფინანსური რესურსების არსებობას, რომელიც ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი ძეგლის მართვისთვის. მონიტორინგისთვის შერჩეულ იქნა ძირითადი ატრიბუტები. ასევე ძეგლის ამჟამინდელი კონსერვაციის მდგომარეობის და ზემოქმედების არსებული ან პოტენციური ფაქტორების გათვალისწინებით.

განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების ატრიბუტების სამი ჯგუფისთვის განისაზღვრა 21 მონიტორინგის ინდიკატორი: ესენი არიან ის ატრიბუტები, რომლებიც დაკავშირებულია ძეგლის არქიტექტურულ ხარისხთან და გამორჩეულ დეკორთან, ასევე იმ ატრიბუტებთან, რომლებიც დაკავშირებულია სივრცული ხარისხთან და მონასტრის მნიშვნელობის სხვა მატერიალურ გამოხატულებებთან.

ამ ატრიბუტების არჩევა მონიტორინგის პროცესისთვის დაკავშირებულია მათ დიდ მნიშვნელობასთან ზოგადსაკაცობრიო ღირებულების შენარჩუნებისა და გადაცემისთვის და მათთან დაკავშირებულ მიმდინარე საფრთხეებთან.

მონიტორინგის ინდიკატორებიდან ზოგიერთი შეიძლება იყოს შესრულების ინდიკატორი (მაგალითად, სოფლების სივრცული დაგეგმვის ინსტრუმენტების მომზადება ან მიმდინარე კონსერვაციის სამუშაოების დასრულება). ასეთი ინდიკატორები შეტანილია, რადგან რიგი ქმედებები წარმოადგენს წინაპირობას ადექვატური საკონსერვაციო მდგომარეობის შენარჩუნების ან გაუმჯობესების, მაგალითად კედლის მხატვრობის და მოზაიკის შემთხვევაში.

სპეციალიზირებული ინდიკატორები და მათი გაზომვის მეთოდები წარმოდგენილია საერთაშორისო კონსერვაციის გუნდების მიერ დამუშავებულ მონიტორინგის გეგმებში[64]. მომდევნო მართვის ციკლის განმავლობაში ეს გუნდები განახორციელებენ მონიტორინგს აღნიშნული გეგმების მიხედვით.

სამომავლოდ შესაძლოა საჭირო გახდეს სხვა ინდიკატორების შემუშავებაც. მათი საჭიროების მიხედვით შემუშავება და დატესტვა მოხდება მართვის ციკლის განმავლობაში, რათა მხად იყოს მომდევნო მართვის ციკლისთვის. ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთი აქ წარმოდგენილი ინდიკატორებიდან შეიძლება ადაპტირდეს ან შეიცვალოს ტესტირების ფაზაში.

ცხრილში წარმოდგენილია ატრიბუტები, სტრატეგიული ამოცანები და ინდიკატორები. ასევე მითითებულია მონაცემების შეგროვებასა და ინტერპრეტაციაზე პასუხისმგებელი მხარე, სიხშირე, და თუკი არსებობს საბაზო მონაცემები. ცხრილი მიუთითებს როგორ, ვის მიერ და რა სიხშირით უნდა მოხდეს მონაცემების შეგროვება.

აუცილებელია ყველა პასუხისმგებელი აქტორის თანამშრომლობა მონიტორინგის პროცესში, რაც უნდა წარმოადგენდეს ინსტიტუციური თანამშრომლობის შეთანხმების ნაწილს.

[64] ხელმისაწვდომია გელათის რეაბილიტაციის კომიტეტის ვებგვერდზე.

შერჩეული ატრიბუტების მონიტორინგის ინდიკატორები					
ატრიბუტები	ამოცანები	მონიტორინგის ინდიკატორები	პასუხისმგებელი მხარე	პერიოდულობა	არსებული მექანიზმები
არქიტექტურული ხარისხი, გამორჩეული დეკორი	სტრატეგიული ამოცანა 1.1.: მონასტრის ეკლესიები, მათი გარე და შიდა არქიტექტურული და დეკორატიული ელემენტები, მოზაიკა, კედლის მხატვრობა, მოძრავი მემკვიდრეობა (ჯვარ-ხატები, ხელნაწერები, საეკლესიო ნივთები), სამრეკლო რეგულარულად შემოწმდეს შეთანხმებული პროტოკოლების მიხედვით და შესაბამისი ინსტრუმენტებით.	კედლის მხატვრობის და მოზაიკი საკონსერვაციო სამუშაოები განხორციელებულია (დასრულებულია 2027 წლისთვის)	დროებითი კომიტეტი, კედლის მხატვრობის და მოზაიკის საკონსერვაციო გუნდები	ყოველთვიურად	ინსტრუმენტები დამონტაჟებულია მთავარ ტაძარსა და წმ. გიორგის ეკლესიაში
		სტრუქტურული შეფასება დასრულებულია, სტრუქტურული გამაგრების პროექტი მომზადებულია საჭიროების შემთხვევაში.	დროებითი კომიტეტი, სტრუქტურული კონსერვაციის გუნდი	ერთჯერადი	მთავარ ტაძარში და წმ გიორგის ეკლესიაში.
		მუდმივი სტრუქტურული მონიტორინგი	დროებითი კომიტეტი, სტრუქტურული კონსერვაციის გუნდი	განგრძობითი (მონაცემების შეგროვება ორ თვეში ერთხელ)	მთავარ ტაძარში და წმ გიორგის ეკლესიაში.
		შიდა და გარე გარემო პირობების მუდმივი მონიტორინგი.	დროებითი კომიტეტი, სტრუქტურული კონსერვაციის გუნდი, კედლის მხატვრობის და მოზაიკის საკონსერვაციო გუნდები	განგრძობითი (მონაცემების შეგროვება სეზონურად)	მთავარ ტაძარში და წმ გიორგის ეკლესიაში
		კედლის მხატვრობის პერიოდული დათვალიერება.	დროებითი კომიტეტი, კედლის მხატვრობის და მოზაიკის საკონსერვაციო გუნდები	კონსერვაციის დასრულების შემდგომ, ორ წელიწადში ერთხელ.	მთავარ ტაძარში
არქიტექტურული ხარისხი, კარგად გათვლილი გეგმარება, სიდიდე და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა	სტრატეგიული ამოცანა 1.1: მონასტრის ისტორიული ბირთვის შემადგენელი სხვა შენობები, მათ შორის კარიბჭეები, აკადემიის შენობა, მონასტრის გალავანი, დავით აღმაშენებლის საფლავი, წყალმომარაგების სისტემა რეგულარულად	სპეციალიზირებული პროტოკოლები რეგულარული შემოწმებისთვის მომზადებულია 2024 წლის ბოლომდე.	დროებითი კომიტეტი	ყოველწლიურად	ნაწილობრივ
		რეგულარული შემოწმება ხორციელდება, ანგარიშები მიეწოდება მართვის ორგანოს.	დროებითი კომიტეტი და მისი ადგილობრივი ოპერატიული რგოლი	სეზონურად (ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენების	ნაწილობრივ

DRAFT

	შემოწმდეს შეთანხმებული პროტოკოლების მიხედვით და შესაბამისი ინსტრუმენტებით.			შემდეგ დაუყოვნებლივ)	
		მოვლა-პატრონობის ყოველწლიური პროგრამა მომზადებული და დანერგილია. მოვლა-პატრონობის ანგარიშები რეგულარულად მიეწოდება მართვის ორგანოს.	დროებითი კომიტეტი და მისი ადგილობრივი ოპერატიული რგოლი	პროგრამა მზადდება ყოველი ფისკალური წლისთვის.	
სიდიდე და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა	სტრატეგიული ამოცანა 2.2.: სამონასტრო ცხოვრება მოეწყოს ძეგლის განსაკუთრებულ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებასთან თანხმობთ.	ძეგლის კონსერვაციისა და გამოყენების სტრატეგიული გეგმა მომზადებულია ზოგადსაკაცობრიო ღირებულების ატრიბუტების დაცვით, მომზადებულია მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასება.	დროებითი კომიტეტი, სტუდიო მილუ	ექვემდებარება გადახედვას მართვის მომდევნო ციკლებში	შემუშავების პროცესში
		ძეგლის კონსერვაციისა და გამოყენების სტრატეგიული გეგმა გაგზავნილია მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში კომენტარებისთვის	დროებითი კომიტეტი		
		მონასტერის განვითარება და შენობების შესაბამისი ადაპტაცია შეთანხმებულია დროებითი კომიტეტის ეროვნულ სამეცნიერო საბჭოსთან, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან,	დროებითი კომიტეტი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო		
კარგად გათვლილი გეგმარება, სიდიდე და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა	სტრატეგიული ამოცანა 1.2.: კონსერვაციის მაღალი ხარისხით შენარჩუნდეს გათხრების შედეგად გამოვლენილი ღია და მიწით დაფარული არქეოლოგიური ნაშთები, მათ შესახებ ინფორმაცია სათანადოდ წარედგინოს დამთვალიერებელს.	მონასტრის კომპლექსური არქეოლოგიური რუკა მომზადებულია.	დროებითი კომიტეტი		პროცესშია
		არქეოლოგიური ნაშთების შემოწმება ხორციელდება არქეოლოგების მიერ, საკონსერვაციო საჭიროებები განსაზღვრულია.	დროებითი კომიტეტი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო		
		ბროშურა ან სხვა დამხმარე მასალა მომზადებულია	დროებითი კომიტეტი, კულტურული		

DRAFT

		არქეოლოგიური ნაშთების და სამონასტრო კომპლექსის საპრეზენტაციოდ.	მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო		
სივრცითი ხარისხი	სტრატეგიული ამოცანა 1.6: განაშენიანებისგან დაცულ იქნეს სამონასტრო ანსამბლის მიმდებარე ტერიტორია და დოხორას მთის ისტორიული ლანდშაფტი.	ზონირების პრინციპები და გაიდლაინები მომზადებულია	დროებითი კომიტეტი		
		სივრცითი მოწყობის გეგმა , განაშენიანების შეზღუდვის მითითებით, ბუფერული ზონისთვის მომზადებულია და დამტკიცებული	მუნიციპალიტეტები, სივრცითი და ურბანული განვითარების სააგენტო		
		მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების მეთოდი ინტეგრირებულია სამშენებლო ნებართვების გაცემის პროცესში	კულტურის სამინისტრო, კულტურული მემკვდირობის დაცვის ეროვნული სააგენტო, სივრცითი და ურბანული განვითარების სააგენტო, მუნიციპალიტეტები		
		ანგარიშგება ბუფერულ ზონაში გაცემულ ნებართვებთან დაკავშირებით.	მუნიციპალიტეტები, დროებითი კომიტეტი, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო	ყოველწლიური	
		მიწის ნაკვეთების სტატუსის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	მუნიციპალიტეტები, დროებითი კომიტეტი, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო, სივრცითი და უბრანული განვითარების სააგენტო	ყოველწლიური	
		ლანდშაფტის ვიზუალური პანორამული ანალიზი ცვლილებების დასაფიქსირებლად	დროებითი კომიტეტი	მართვის ციკლში ერთხელ	ლანდშაფტის ვიზუალური პანორამული ანალიზი მომზადებულია 2024
		გაცემბული ნებართვების აეროფოტოებთან შედარება	მუნიციპალიტეტები	მართვის ციკლში ერთხელ	

DRAFT